

652
1970

064105340
20240101000



1

2

7

•

6

შინაარსი

ქოჩოხი

მ. ვარშანიძე — ლექსები	3
ვ. ჯაყელი — „სტამბოლის კაჟი“. მოთხრობა	9
ლ. სეიდოშვილი — ლექსები	18
ბ. ჩხაიძე — ხახუტა. დოკუმენტური მოთხრობა	22
მ. ღვინთაძე — რიწა-ჯღვა-რიწა. ლექსი	44
ბ. სამსონია — სკოლის გახსენება. მოთხრობა	45
ლ. ანანიძე — *** (მინდა, რომ ხსოვნა...). ლექსი	53
ნ. მოდუბაძე — სიცოცხლის საიდუმლოება. მოთხრობა	54

ფ. ენგელსის დეპადების

150 წლისთავი

ბ. ჯორჯენაძე — ენგელსი მხატვრული ლიტერატურის შესახებ	60
--	----

წ ე რ ი ლ ე ბ ი

ალ. გოგორენიძე — იან ამოს კომენსკი — დიდი ჰუმანისტი	75
--	----

ჩვენის პუბლიკაცია

ხ. ვარდოშვილი *** (ბათუმო). ლექსი	83
--	----

წიგნების მიმოხილვა

ქ. შავჭულიძე — გიორგი სალუშვაძის ახალი ლექსები	85
ი. ჯავახიშვილი — ვეფხისტყაოსანი ძალღოვნილები აშარიდან.	90

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
შურობა

საქართველოს საზოგადოება
მწერლების კავშირისა და
აჭარის განუყოფილების
ორგანო

რედაქტორი ა. შონია

სარედაქციო კოლეგია: ხ. ახვლედიანი, მ. ვარშანიძე (პ. მგ.
მდივანი), პ. ლორია, აღ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.

ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდივნის — 33-72.

ხელმოწერილია დასაბუჯდად 7.12. 1970. საბეჭდო 6, საგამომცემლო 5 თაბახი.

შეკვეთის № 5427, ემ 00414, ქალაქის ზომა 60X90, ტირაჟი 2.040.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9
(ლუქსემბურგის, 22).

აჭარის უშრნალ-გაზეთების გამომცემლობა

ჩემი ოცნების მხარე

* * *

როს მივდიოდი მტკვრის დაწყვილებით,
 თითქოს გულს მედო ქვეყნის იმედი,
 ჩამოეკრიფა ციდან წვიმები
 და გულზე ეწყო, როგორც სიმები.
 აუღრიალებდა ამ სიმებს ალბათ,
 ამნაირ ხმებს მაშ რა გამოსცემდა?!
 შემოდგომური შვენოდა კაბა,
 ზედ რომ ეხატა ჩემი ოცნება.
 ხანდახან უცებ სადღაც ქრებოდა,
 რაღაც მკორტნიდა მე უსაშველოდ,
 ასე მეგონა, მეკარგებოდა,
 მეკარგებოდა მე საქართველო.
 ხანდახან გზად რომ დამახანებდა,
 რა მაყოვნებდა განა მე ვიცი?!
 წინ მივილტვოდი და მახარებდა
 ჩვენი აწმყო და ჩვენი მერმისი.
 მე მახარებდა ზარზმა თუ უღე
 სხვა აღტაცებით და მოგონებით.
 და მახარებდა სიცოცხლის ბუდე,
 სად იზრდებიან ქართლის ლომები.

მტრედებს ვუცქერი კარზე საფარის,
 თითქოს ჩამძახის ვიღაც ნალართით:
 „ვარ მშვიდობის და სიბრძნის საფარი —
 სული ქართული, სული მაღალი!“
 სივრცეს გააბობს ხმა საცნაური
 და მე ამ ხმაში ბოლმაც შევიცან...
 ლანდო, ჩანს სისხლით გადაცვარული
 დაბლა მიწა და მაღლა შენი ცა.
 მაშ, სტევი — მშვიდობა იყო ზმანება
 და წამიერი იყო სიმშვიდე,
 როცა ძერწავდი მტრედებს თავნებას,
 არც რას გაქებდნენ, არც რას გიშლიდნენ...
 აწ კარის თაღზე დაგოგმანებენ
 და ვით უფროთხოვენ ძილს ანგელოზებს,
 არც მშორდებიან, ვერც თავს ვანებებ,
 არც ღუღუნებენ, არც მიზეზობენ...
 შენ სულის მოთქმას ვინ დაგაცლიდა,
 შენ ბრძოლის ველი მუდამ გეძახდა.
 მიგიხვდით ჭირსა, ჩვენც ხომ კაცნი ვართ...
 შენი გაქცევა რისთვის გვეძრახა.
 მე რას დავეძებ ბედს ათაბაგის,
 ბედი მკლავს, ბედი მამულიშვილთა,
 ვინც იყო ქვეყნის ძარღვიც და ჩანგიც,
 ხან არ ეძინა, ხან იშიმშილა.
 ხან სად იომა, ხან სად დაეცა,
 ანუ სამარე სად გაეთხარა...
 შენი სამშობლო ვით არ დაგეცვა,
 და მტრისთვის თვალი არ დაგეთხარა!
 ბედი მკლავს, ბედი მამულიშვილთა,
 ვინაც ომობდა, ვინც აშენებდა...
 მტრედებს ვუცქერი მშვიდად, არც მშვიდად
 და გადამედო ნაზი მშვენება.
 ... და სამნი უცებ ჰა ტაძარს მოსწყდნენ,
 მიუღუღუნეს მტრედებმა მესხეთს...
 მეც ჯეჯილი და სავარდე მოვრწყე,
 და ძმურად ვუწვდი ძმებს მესხებს მეც ხელს...
 დე, იფარფატეთ მტრედებო ცაში,
 დღეს ხომ მშვიდობა არ არს ზმანება,

დე, გაილუმპონ ვაჟკაცი ცვარში,
მხარი აუბან ლამაზმანებმა.
ფესვამოთხრილი ვაზი ფეხს იდგამს,
წყარონი მთების ძარღვებს მოჰყვება,
ლამაზო, შენი სიშორე მბინდავს, —
შენ ხარ თუ ვაშლი წითელლოყება?
მესხეთის მიწავ ედემნაირო,
მესხეთის ცაო, ნატვრად სამზერო,
შენს დიდ წარსულზე ცრემლით ვშაირობ.
ღღეს ხომ გეკუთვნის ლექსი საზეო!

* * *

მტკვარს მივეყვებით და... დიდს, დიდს ვოცნებობ,
გული ამალღდა, გული განორჩდა,
ჩუმაღ მგოსნებო, ჩუმაღ მგოსნებო,
აი, რუსთავიც უკვე გამოჩნდა, —
დიდი პარნასი
ერთიანი საქართველოსი.
რამდენს პარავდნენ,
რამდენს ებრძოდნენ,
რეკდა ზარი წარღვნის შემოსვლის.
ველარ გავუძელ ფიქრების ფრთხილს,
რალაც საბრალოდ თავი შევიცან.
ჩუმაღ მგოსნებო, იყავით ფრთხილად,
აი, გამოჩნდა რუსთაველიცა,
ბრძენი მგოსანი
ერთიანის, ჩვენის სავანის,
მისკენ მივიწვევთ, მაინც შორს არი,
მოკლედ ვის უჩანს გრძელი სავალი?
ბრძენი ხელს გვიქნევს,
აღარ ვიცი რალას ვოცნებობ...
სულო იფიქრე, დიდხანს იფიქრე...
ფრთხილად მგოსნებო, ჩუმაღ მგოსნებო!

* * *

თმოგვი... თმოგვი.. თმოგვი....
სასწაულების ბნელი ლეგენდა,
და ჩემკენ თითქოს მოგვს მოსდევს მოგვი,
ჰაუ, რამდენი შემომეგება!
შტუმარიო?

შემხედეს ეჭვით,
ვაჰმე, ვეგონე მტერი ეგება!
მომხდურს, მომპარავს ელოდნენ მუდამ,
და იყვნენ ფხიზლად,
რამდენი საღღაც გადაიხიზნა, —
მამულეთიდან აიკრა გულა.
სპარსმაც, მონღოლმაც და ოსმალომაც
მოგვსრა, გაგვქურდა...
ვით შრიალეზდა ოცნების აფრა
გულის შემძვრელი,
მე შევებრძოლე იმ ფიქრებს მძაფრად,
თუმც ამოებრტყვა ველარ შევძელი,
გული მივანდე სხვა ლტოლვა-სწრაფვას
და სანადიმოდ მოვიხმე ძმები,
გულით გულზედა მიხუტებულსა
მსურდა მეკონა მესხური ძნები.

* * *

სამამულო ომში ჩემს თანამებრძოლებს
ჰობარეთლებს სოლომონ ბერიძეს, ბაგ-
რატ ჯვარიძეს და ალექსი ზედგენიძეს.

იმ თოვლ-ქლოფაში, ძმებო,
მუხაც რომ ყრყოლად იძვრის,
ვიბრძოდით სამშობლოსთვის,
ვინ იღირსებდა ტკბილ ძილს.
გახსოვთ ის ღამე — ზარის,
ყიჟინი ბუხაიძის?!
იმ ღამეს მოჰკლეს... დილით
ვმარხავდით გმირ კაპიტანს...
რამდენი ჭამა მიწამ
ნახატი ვით კალმითა!..
რად უნდა ფიცი სიტყვას,
რად უნდა ბჭობა ღმერთის,
როს ვარძიაში მოველ,
ვიკითხე ჰობარეთი,
როგორ მწყუროდით ნახვად,
გზა გადამეხმო უცებ,
და აქარაში ახლა
ლოცვას ვაბარებ ფურცლებს.

ო, პირველქმნილო!

ოცნებათა ღვთის კარებს ვაღებ,

ხელი ნარნარად რომ შეახო თამარმა ძვირმა.

ვერა, ვერ მივწვდი შენს სიღრმესა და შენს სიმაღლეს,
ჩემო ვარძია.

შენი გენია მოგვაფხიზლებს მუდამ უთუოდ,

შენდა გალობად შავთელი ხომ სულმა წასძლია.

ცეცხლით და ქარით დაშაშრულო, გადათუთქულო,

შენ ახლაც მოჰკლავ შურიტ ათას მავანს ღვარძლიანს.

შენი სიჩუმე თუ გუგუნი, თუ მერმისობა,

შენი ფრესკები თუ ლანდები, ჩემი განძია,

შენით, რუსთველო, აქ ზეიმობს მარადისობა,

უკვდავთა სულის ნათებაო, ნაზო ვარძია.

საოცრებათა საოცრებავ, შენ არას გცნობენ?!

ნუ ინაღვლებ, არაფერია.

ბევრი აიკრავს გუდა-ნაბადს, წაიღებს ცოდვებს,

დატოვებს ამა წუთისოფელს მრავალფერიანს,

შენ კი იქნები...

შენ კი იქნები... განა ქალაღზე?!

აქ პარნასია დიდი პოეტის,

აქ რუსთაველი ლოცვებს ღაღადებს.

* * *

„ეს საფაშოა, სატახტო და...

ესეც რაბათი“.

ვერაგობა და შური, შუღლი, კირთაქვებს ხვრეტდა.

სელიმ, ქართულმა გულმა შენ არ მოგცა რახათი,

ქებათა-ქება შენ, ქართველ მხედარს!

„მიშკარბაშ, ძმაო, ერეკლეს უთხარ, —მისი ვარ გულით“.

სწერდი ხვაშიადს... უმხელდი გუმანს,

და ძმებმა შენი მშობლიური სცნეს სიყვარული,

მოგანდეს სული ვაჟკაცს და გულადს

მიესალამე ციციანოვს... ფიქრი გაანდე,

ამაღლებულო განგების თუ ღვთის შთაგონებით.

როცა კისერზე შენ ნაჯახის პირი დაგადეს,

მხოლოდ მე მოველ სინანულით, ყვავილთ კონებით.

რად გინდა ტახტი, სიმაღლისთვის თავი მოგკვეთეს,

მოდო, შეხედე ხარაჩოებს.. სცან რას აგებენ...

თუ კაცი ვარგა, გაჩენილა თუნდაც მოკლე დღით.

წუთისოფელში თავის გზა-კვალს უნდა აგნებდეს.

ფრთები მოუსხამთ მესხებს, თითქოს მაღლა მიჰფრენენ,
ხნულში თესავენ იასა და მხოლოდ გულის ვარდს:
მათი სათქმელი ვერ გამოვთქვი, ვერ შევიფერე,
მინდა მესხური ძნები შევკრა სიყვარულისად,
ვით დავივიწყოთ სერიყანა, გოლგოთას სერი.
ხიხაძირიდან სტამბოლამდე დაჰქუხე სელიმ:
ეს გურჯისტანი არ შერჩება დიდხანსო სულთანს...
შენ გითქვამს, მერე მამულიშვილს რომელს არ
უთქვამს?!

იყავ ქართველი ქედუხრელი, გააგდა ლაჩარი,
ამად გიგონებთ შვილნი ქებითა...
ჰოი, ნათობენ მნათობები მესხეთ-აჭარის
საუკუნოდ,
არც ჩაქრებიან.





ჯამად ჯაყელი

„სტამბოლის კაჟი“

ამბობენ, თურქები ჭიდაობაში განთქმულნი არიანო, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ მათმა გაქონილ-გაზიმშიმეხულმა ფალანგებმა ბეჭები არა-ერთხელ დასდეს ქართულ ხალიჩებზეო.

ჭიდაობა ჭიდაობაა და გასაკვირი ის იყო, რომ ახლა კრივისათვის ირ-ჯებოდნენ და სდებდნენ თავს.

იქნებოდა სადამოს რვა საათი, როცა სულთანდარბაზს სპორტულ-მა ჟრუანტელმა დაუარა.

სასახლე გაჰყვანილი იყო კრივის მოყვარულებით, მოდას აყოლილი აღა-ბეგებით, თავმომწონე ვაჭრებითა და „კიტმიჯი“ მოხელეებით, ფე-რად სათვალეებიანი უცხოელებითა და ადგილობრივი მდაბიო მოსახლეო-ბით.

აქვე იყვნენ მთავრობის წარმომადგენლები, ქალაქისთავები, მრავალი ჯურის წითელფესიანები, პელენიკათი თავმხრებშემოსილი ქალები, ალი-მები და მოალიმები, საროლიანები და ბინბაშები.

საპატიო რიგებში ისხდნენ ვიღაც მისიონერები, ვენეციელი საქმო-სნები, სომხები, ბერძნები და ქართველი მოგზაურები, „როსტოვ ველიკის“ თავადები და ცნობილი მხატვარი მოკრიცკი — აივანოვსკის დიდი თა-ყვანისმცემელი, აივანოვსკისა, რომელმაც რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე შვიდი წლით ადრე შესრულებული ნახატის „თურქი ქალიშვი-ლის“ მშვენიერებით გააბრუა ულამაზესი აგარაკითა და უსათნოესი ცოლით განთქმული, ბრწყინვალე პოეტი ტიუტჩევი, რომლის ჭეშმარი-ტი პოეზიის წინაშე ჭკვიან, ხუჭუტა თავს გულწრფელად ხრიდა თვით აღ-ექსანდრე პუშკინი.

ეს ის დრო იყო, როცა ელგუჯას, მზალოს, კობასა და სხვათა ბედ-ზე გულშეყუჩებული ყაზბეგის სული მის სხეულს ედავებოდა და იმორ-ჩილებდა...

ეს ის დრო იყო, როცა ბერძენი ნორმან ხაფიზი თურქეთის გზებზე „ვეფხისტყაოსანს“ ლოცვასავით ზეპირად კითხულობდა, დიდი მეცნიერის, ფილოსოფოსისა და ასტრონომის — აბუსერიძე ტბელის გონების თვალს ელაციცებოდა და დედის სულს უგინებდა ვარსკენ პიტიასს ულამაზესი და უსათნოესი მეუღლის, ქრისტეს რჯულისათვის წამებული შუშანიკის დილეგში ჩავდებისათვის.

ეს ის დრო იყო, როცა უკვე შეხნიერებული, ცხოვრებისაგან გაწბილებული, მუჭაჯირობისათვის ამაოდ დამაშვრალი და ამის გამო სინანულნაგემი ვამეხ გობრონელი რიზელ ბეგს თოფან რიზეს უთანხმდებოდა თურქეთში დაუთ ვამეხოლლად ცნობილის, თავისი შვილის დავითის ქორწილის დღის დასანიშნავად. მას თოფან რიზელთან დამოყვრება იმიტომ უხაროდა, რომ ადრე სერასკირობისათვის თავგადადებულს, თურქეთის მიწაზე ღირსებაუპოვნელსა და მამის ღალატისათვის დაძრახულს გავლენიან პირებთან დაახლოება-დამოყვრება საზოგადოებრივ ყურადღებას მიათბობდა. ეს კი მისი უკანასკნელი იმედი და ნატვრა იყო, ოღონდ ეს იმედი არ გასწყვეტოდა და არც აინტერესებდა თოფან რიზელის ქალიშვილი რძლად გამოადგებოდა თუ არა, ან სარძლო მახინჯი იყო თუ უნაკლო. მთავარი ის იყო, რომ ცნობილ ბეგს უმოყვრდებოდა და ამით უბრალო შეკრებულობაშიც კი დარბაზის საპატიო სავარძლისაჲც უჩუმრად მიჩოჩდებოდა.

* * *

სპორტდარბაზი ბუბუნებდა მოკრივეების გამოჩენის მოლოდინში. ვაჭრები იმაზე მსჯელობდნენ, თუ დღევანდელი საღამო რამდენ ღირას შემოუტანდა თურქეთის ხაზინას. სტუმრები და მისიონერები თავიანთ ქვეყნებსა და მათს მოკრივე-მოჭიდავეებს აქებდნენ.

ძვირფასი აბრეშუმითა და ზავერდით გაწყობილ მოაჯირზე ფაშები ნარგილეს აბოლებდნენ და წინასწარ ირჩევდნენ თავიანთ ფალავნებს. უცებ გაისმა დუდუკების ხმა. მას მოჰყვა არღანი. გულზე ელეთ-მელეთის მომდები მელოდია რომ ჩათავდა, მეცერემონიეები მიმოდგნენ და გზა დაუთმეს მეზურნეს. ამანაც არც აცია და არც აცხელა, ფილტვების საბერველით მიაწვა ქარახსის ყელში გაჩრილ ჭიბონის ენას და უცნაური მელოდიები მიმოქარგა ქარახსის თვლებზე აცეკვებული თითებით.

შემოვიდნენ სპორტულ ტანსაცმელში გამოტკეპნილი ტანგაზიმზიმებული მოკრივეები. პირველი ორიოდ ნახტომით ფიცარნაგზე აიჭრა და ხალხს რომ მიესალმა, რინგის ერთ კუთხეში გაჩერდა დღევანდელი ასპარეზობისათვის სრული მზადყოფნის ნიშნად.

მოწინააღმდეგე მძიმე, ღინჯი ნაბიჯებით ავიდა კიბეებზე და დამსწრეთა მისასალმებლად შემობრუნდა. ხელებზე მძიმე ხელთათმანი ეცვა და მუშტები ისე მოეჭიმა, ეტყობოდა, მხოლოდ შეტევის ჟინით იყო შე-



პერობილი. თმები ჰქონდა მოკლედ შეკრეპილი, შავი და ხშირი. მისი
ლი და ოდნავ შეერთებული წარბების ქვემოდან დამარტყანებელი ცე-
ცხლით ანათებდნენ ბრიალა, შავი თვალები. ვიწრო, მოქნილი, მწვეარი-
ვით გაღებული წელი კოხტად ჰქონდა დაყენებული. ცალკეული ნაკვთები
მკაცრად ჩამოსხმული ტანისა სიცოცხლის ხალისს ამჟღავნებდნენ, მაგრამ
სახეზე მაინც ედო მსუბუქი სევდა და აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ეს
სევდაც განუმეორებლად შეენოდა ჭაბუკს.

ხალხს თავი დაუჭრა და ოდნავ გაიღიმა. გასწორდა, რინგის მოპირ-
დაპირე კუთხეში მიდგა, ახმახ თურქ მოკრივეს თავი დაუჭრა და მსაჯს
შეხედა. მსაჯმა ბრძოლის დაწყება ანიშნა და ისინი ერთმანეთისაკენ მიი-
წვივნენ. ისევ აჭყიპინდა ზურნა, მაგრამ ახლა — სულ სხვა ხმასა და ჰანგე-
ბზე. ჯერ მუსიკალური ბგერების ნაპერწკლები ჩამოჰყარა, მერე ბრძო-
ლის რიტმში ჩადგა და გაახელა მოკრივეები. მოწინააღმდეგეებს ბევრი აღ-
არ დაუყოვნებიათ, ეცენ ერთმანეთს, დააყარეს მუშტების სეტყვა, ერთმა-
ნეთი მიაგდ-მოაგდეს და კიდევ უფრო გაცხარდნენ. ამ უსაშველო მუშტის
ცემაში უკანასკნელად მოისმა საბედისწერო ბრავიანი და ერთი დამანგ-
რეველი ღარტყმით თურქი დაეცა. წაქცეული წამოაყენეს და გამოიყვანეს,
ხოლო გამარჯვებულს მძიმე ხელთათმანის ხელი აუწიეს:

— დაუთ ვამეხოლლი..

დარბაზში გამაყრუებელი ხმაური და ტაშისცემა ატყდა. ყველაფერს
მოითმენდნენ, მაგრამ სტვენა და ყიჟინა ნამეტანი აუტანელი გახდა და საქ-
მეში ზაფთიები გავიდნენ.

ერთ-ერთმა ფაშამ თავისი ჯეელობა მოიგონა და ალბანელ სტუმარს
ყურები გამოუჭედა ტყუილ-მართლითა და თავისთავის ქება-დიდებით.

დუნაის სანაპირო ქვეყნებში სახელგანთქმული ქართველი მოკრივე-
ების ერთმა ჩგუფმა, რომლებსაც გადაწყვეტილი ჰქონდათ სტამბოლიდან
გემით გამოგზავრებულიყვნენ ბათუმისაკენ, ერთმანეთს შეხედეს და ჩაი-
ლაპარაკეს:

— არ ხუმრობს ეგ სულძალი თათარი დაუთ ვამეხოლლი.

„თათარი“ რა საკადრებელია და შვიდი წლის შემდეგ თურქეთში გა-
ზრდილი, ახლა უკვე ოცდაორი წლის ქართველი ჭაბუკი დავით გობრონე-
ლი რატომღაც, განსაკუთრებით დღეს, მართლაც არ ხუმრობდა და ისე ოს-
ტატურად მუშაობდა თავისი ფოლადის მუშტებით, გეგონებოდათ, არათუ
მხოლოდ თურქი მძლეოსნების „ცემით“, არამედ ყველა იმათი ყბების ჩა-
ლეწვით უნდა გული მოიოხოს და მოიჯეროს, ვინც გახდა საყვარელ პა-
პა აღათანგთან და მარანეთელ ბიძია მანუჩას ლამაზ ვარდოსთან დაცილე-
ბის მიზეზი. და ესეც ცემდა და ცემდა, ცემდა ისეთი ჟინით, როგორიც ჩა-
აგონა პაპა აღათანგმა ხალხისა და ქვეყნის მოღალატე კონსტანტინეს წი-
ნააღმდეგ. და მზად იყო ეცემა ყველა, მათ შორის ვამეხ მამაიაც კი, რომე-
ლიც უსინდისოდ განუდგა აღათანგ გობრონელს.

დარბაზი, როგორც იქნა, დაცხრა და მეზურნემ ახალი გასაწვევი და-
უყრა.

რინგზე შემოიჭრა ცნობილი თურქი მეომრისა და სარდლის ოსმან
თაშის შვილიშვილი, რომლისთვისაც დღევანდელ გამარჯვებას ძალიან დი-
დი მნიშვნელობა ჰქონდა: თუ გაიმარჯვებდა, სულთნის ქალიშვილს ცო-
ლად შეირთავდა და მომავალ კარიერას ძალიან საიმედო საფუძველს და-
უდებდა, ხოლო თუ დამარცხდებოდა, იტალიაში გადავიდოდა და სიცი-
ლიელ ვაჭრებს დაუდგებოდა გემზე მტვირთავად.

ძველი მოკრივეები, მოჭიდავეები და სხვა სახეობის სპორტსმენები
განსაკუთრებით იმიტომ ვერ იტანდნენ დავით გობრონელის წარმატებას,
რომ ის არენას თითქმის თავბრუდამხვევი სისწრაფითა და სიძლიერით
მოევლინა და ყველასათვის მოულოდნელი გამარჯვებები მოიპოვა. ამი-
ტომ მათ თანაც აინტერესებდათ ენახათ ნამდვილი კრივი, თანაც არ ები-
ტნავებოდათ დავითის ჩრდილში დადგომა.

დავითი მართლაც მოულოდნელად მოევლინა სპორტულ არენას.
მას შემდეგ, რაც ბორჩხადან აჭარაში გამოქცეული დააკავეს, ნერვიული
გახდა. ამის თაობაზე განთქმული მენავე და ძალოსანი ჭოროხის შენაკა-
დთან სცემა და ათრია. გადაწყვიტა იმ წელს შეჯიბრებაში მონაწილეობა
მიეღო.

ორი-სამი წლის განმავლობაში ჭაბუკმა მოკრივემ ბრწყინვალე წარ-
მატებები მოიპოვა ართენისა, ტრაპიზონისა და სხვა ქალაქებში, მედალი
მიიღო ანკარაში და ახლა, სტამბოლში მუშტების კოხით უმასპინძლდება
მოწინააღმდეგეს.

მოწინააღმდეგე ერთი დარტყმით ნოკაუტში რომ ჩააგდო, ზიზლით და-
ხედა და ლამის დააფურთხა — ჩუჩელა ყოფილხარ და რინგზე რას მოძ-
რებოდით, მაგრამ წაქცეულმა ათამდე დათვლა არ აცალა, მოხვეტა თავი-
სი სხეული და ელდანაკრავი წამოდგა, ვამეხოლის შეუბღვირა და მის
მიმართ გულში ბოღმა ჩაიდო. მიხვდა, ძალით ვეღარაფერს გახდებოდა
და წასჩურჩულა: „ჩემგან ასი ოქრო... სხვა შენ იცი! სულთნის ქალიშვილ-
ის შერთვას ვაპირებ, შენ უნდა შემიწყო ხელი“...

დავით გობრონელმაც იმავე ხმით წასჩურჩულა: „ასი ოქროთი იტა-
ლიაში წადი და სიცილიელ ვაჭრებთან სერმია დასდე. ერთი შენც გამოს-
ცადე, როგორია სამშობლოდან შორს ცხოვრება... სულთნის ქალიშვილის
თხოვას აპირებ? ახლავე შეგიწყობ ხელს და მოგათხოვებ“, — თქვა და
ისე მაგრად გაარტყა, ტომარასავით დააგდო ძირს. მეორე გამარჯვება ჭა-
ბუკი მოკრივისა დარბაზმა თავაწყვეტილი ხმაურით აღნიშნა და... დავით
გობრონელს ბოსტან-შეპერიდან მოტანილი ვარდის ორი კონა და ერთი
დამპალი კვერცხი ერთდროულად მოხვდა.

ბეგები ბალკანურ სიგარეტებს აბოლებდნენ, ხანუმები ძლიერო აქებ-
დნენ, გოგონები მოკრივეთა მძაფრ მოქნივაზე ფრთხებოდნენ და გამარჯ-



გებულის სალამზე კისკისებდნენ. ფრანგი კი დაუთ ვამეხოლლის მოსყიდვის გეგმებს ადგენდა, რომ საკუთარ საბრძანებლოში გამართულ შეჯიბრებებზე შემოსავლით ჯიბე გაესქელებია. ქართველი რჩეული სპორტსმენები, რომლებიც აქ გასართობად მოვიდნენ, თვალს ადევნებდნენ მოკრივე დაუთ ვამეხოლლის ბრძოლის მანერებს და იძახდნენ, სტამბოლის კაჟია ეგ სულძალი თათარიო.

თათარი რა სახსენებელია და ნამდვილი ქართველი დავით ვამეხოლ-ლი უფრო ფიცხელ ბრძოლებს მოელოდა.

შესვენება გამოაცხადეს და მაყურებელი სკამებიდან წამოიორღა. იმათს სჯა-ბაასს საზღვარი აღარ ჰქონდა. ზოგიერთი გაწბილებული აღა, რომლის ფალავანი ნოკაუტში ჩავარდა, ნაძლევით წააგებინა და ხასიათი წაუხდინა, შარბათს ყიდულობდა და შეექცეოდა. ისინი კი ვინც იმთავითვე დაუთ ვამეხოლლის ირჩევდა ფალავნად, გაბადრული მიმოდიოდა და ხელში ქერიბანის მსხვილმარცვლებიან თესპეს ატრიალებდა ზედმეტის სიამოვნებით.

ამ დროს სასახლეში სულთნის ქალიშვილი თემებს ისწორებდა, სარკის წინ ტრიალებდა და საბედნიეროდ თავისთავში მცირეოდენ ნაკლსაც ვერ პოულობდა. მსახური გოგონების ჩაგონებით წინასწარ დარწმუნებული იყო, რომ ცნობილი ოსმან-ფაშის შვილიშვილი, განათლებული ვაჟკაცი და მოკრივე უთუოდ გაიმარჯვებდა. ის კი არ იცოდა, თუ მისმა რჩეულმა დღეს რამდენჯერ მოადინა რინგზე ბრავვანი.

ახალგაზრდები გაიძახოდნენ:

დაუთ ვამეხოლლი სტამბოლის კაჟიაო, და დასასვენებლად ნოხგაგებულ ტახტზე გაშხლართულ გობრონელს შიკრიკს უგზავნიდნენ, შენთან შემოგვიშვიო.

* * *

საყვირის ხმა დოლის ბაგაბუგთან ერთად გუმბათებში ექოდ დაბუზუნდა და ხალხმა იგრძნო, რომ ასპარეზობა გრძელდებოდა.

მაყურებლებმა ადგილები დაიკავეს და იმ ვიწრო შემოსასვლელისაკენ დაიჭირეს თვალი, საიდანაც გობრონელი უნდა შემოსულიყო. საყვირი მიწყდა და შემოსასვლელის ჭრელი ფარდები მეზურნემ შემოარხია, მოდიოდა და თვით რინგამდე მოუძღოდა მოკრივეებს...

ახლა კიდევ უფრო გამხეცდა გობრონელი და ფეხზე არ დააყენა ტან-მალალი თუ ჯუჯა, შემზარავად თმაწვერაბურძენული თუ თავმოხოტრილი მოკრივე. დიდხანს ისმოდა მუშტების ბაგა-ბუგი ზედ გულისფიცარზე. მუშტების სეტყვა ხშირად გაოფლიანებულ, შავგვრემან სახეებზეც მოდიოდა. ისმოდა მკერდიდან მოულოდნელად ამომსკდარი ბგერები, რომლებიც ხშირად ამოგმინვას უფრო წააგავდა.

ეცემოდნენ და დგებოდნენ რინგზე.

ეცემოდნენ და გაჰყავდათ მოსაცდელში. გაჰყავდათ მხოლოდ დამაჯერებელი რცხებულნი.

სულთანდარბაზი გუგუნებდა. აღელვებული ხალხი ადგილზე ველარ ჩერდებოდა. ზოგი უკმაყოფილოდ ბუტბუტებდა, ზოგიც ნატრობდა, მისულიყო და გობრონელის ხელები, მუშტები, კუნთები ხელის ცეცებით მოესინჯა, გაეგო, იმისთანა რა გამძლეობა ჰქონდა ამ ყმაწვილ კაცს, რომ ფეხზე აღარავინ დააყენა.

დავით გობრონელისათვის ამ წარმატებებს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. გამარჯვების შემდეგ ის არ ელოდა რაიმე კარიერას და არც არაფრად სჭიროდა ცნობილ მოკრივეს სახელ-დიდება. მისი ერთადერთი სურვილი იყო გულის მოჭრება. აგერ თითქმის ერთნახევარ ათეულ წელზე მეტია ძალად მოაცილეს საყვარელ ბაბუა აღათანგს, ხოლო ვარდო-შვილის ასავალ-დასავლის მიგნება ჩიტის რძესავით დაუძვირდა.

და აი, ახლა რინგზე აქოშინებულმა სრულიად მოულოდნელად და უადვილოდ მოიგონა, თუ როგორ მიბეგვა ჭოროხზე განთქმული მენავე ჯირჯილ ახმედი, რომელიც ისე ღონიერი იყო, რომ ხერთვისიდან დაწყებული, მდინარის დინების საპირისპიროდ, ნაპირნაპირ მიათრევდა დატვირთულ ნავს გრძელი თოკითა.

დავითმა დოინჯი შემოიყარა და გაიღიმა.

ეს ღიმილი ძალიან წააგავდა პაპისეულ გემრიელ ღიმილს, რომელიც ყველაზე ახტაჯანა გოგოსაც კი გულში სამოთხის ჩიტს შეუფერებდა.

თითქოსდა ვერ დაიოკაო გული, მსაჯს ანიშნა, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, გამოეცხადებია, ხომ არავინ იყო მსურველი მაყურებელთაგანი, შებმოდნა გამარჯვებულს. თვითონ კი კუთხეში მიდგა, კვლავ შემოიყარა დოინჯი და მორჩილად დადრია თავი. ისინი, რომელთაც უკეთესი სანახობა არსად ეგულებოდათ, დაინტერესებული იყვნენ გაგრძელებულიყო ეს სპორტული საღამო, და იძახოდნენ — გადით, ნუ გრცხვენიათო. მაგრამ ჯერჯერობით ვერავინ ბედავდა.

დარბაზის მეხუთე რიგიდან ჩურჩული მოისმა: ეტყობოდა, მსურველები იყვნენ, მაგრამ ვერ ბედავდნენ. ერთმა თურქმა, ოდესღაც სახელგანთქმულმა მოჭიდავემ, იცოდა, რომ იქ ცნობილი ქართველი ძალოსნები ისხდნენ და მიმართა თხოვნით — თუ ინებებდნენ აქაც დაეცვათ საქართველოს სპორტული ღირსება.

— საწყენიცაა და სასიხარულოც, — თქვა მან, — რომ ამ ახალგაზრდა ვამეხოლომ ფეხზე არ დააყენა სტამბოლის სახელგანთქმული მოკრივეები.

ქართველი ბიჭები შეირხნენ, შეხალისდნენ და ერთ-ერთ ტანჩამდგარ ახალგაზრდას მიმართეს.

— აღეჭი, არსენა არაგველო, და ასწავლე ამ ტლუ თათარს ათამდე დათვლა, აჩვენე შენი ოყიანი მუშტი.

არსენამ გაიღიმა და წამოდგა.

ის იყო, გობრონელი კიბეებზე ჩამოსვლას აპირებდა, რომ ხალხი შეიძრა და ყიჟინა ასტეხა. მწვრთნელმა დავითი გააფრთხილა:

— ჰკვიანად იყავი. დაღლილი ხარ და სირცხვილი არ მაქამო. აი შეხედე ვინ მოდის! — ცნობილი ქართველი ძალოსანი არსენა არაგველი. სააკაძის სიამაყე და მარაბდელის თვითდაჯერება მოაცილებს. დანარჩენი შენ იცი.

დავით გობრონელმა შეხედა არსენა არაგველს და სიამოვნებით გაიღიმა. ახლა სრულებითაც აღარ ესმოდა მწვრთნელის სიტყვები. მისი გული და გონება ქართველი კაცის მოულოდნელმა გამოჩენამ მიიპყრო, რომელსაც მუშტებით კი არა, მხოლოდ სალამით უნდა შეხვდე, ძმურად ჩაეხვიო, გადაკოცნო, წინაპართა ამბავი მოაყოლო, სახლში მიიბატიყო და რითაც შეგიძლია, პატივი სცე.

არსენა არაგველმა სპორტული ტანსაცმელი ჩაიცვა და რინგთან ვიწრო შემოსასვლელში შემოიჭანა ვაჟკაცის ბეჭები.

„რა ლამაზი ქართველია!“ — გაისმა გოგონების ჩურჩული. ვერც ხანუმებმა და ხათუნებმა დაფარეს აღტაცება. მათთვის სულერთი იყო, ვინ გაიმარჯვებდა. მთავარი იყო, ლამაზი და ძლიერი მამაკაცების ბრძოლა ენახათ, გამარჯვებული იმ ღამეს თავიანთ გმირად ელიარებინათ.

არსენა არაგველი ვერ წარმოიდგენდა თუ დაუთვამეხოლლი ქართველი იყო. მას ის წმინდა თურქად, ანდა, როგორც ხშირად თვითონვე ამბობდა, თათრად მიაჩნდა და გადაწყვიტა მასთან მხოლოდ გოლიათის მუშტებით ელაპარაკა.

დავით გობრონელმა იცოდა, რომ საქმე ჰქონდა ქართველ ვაჟკაცთან და მუშტებს მრისხანება გამოაცალა: აბა, სანატრელ ქართველს მუშტით როგორ უნდა ელაპარაკოს. „ო, ცუდ ადგილას შემხვდი არსენა არაგველო, აქ მხოლოდ არენა და ძალას ძალა უნდა გაეპასუხოს გულისა და მოყვასის სიტყვების მაგივრად“.

იქნება სჯობდა დაეთმო, მაგრამ მაშინ ხომ წყალში ჩაყრიდა მის დღევანდელ სახელ-დიდებას!

არსენა არაგველი შეიჭრა რიგნზე, ხალხს ჩვეულებრივ მიესალმა, კუთხეში მიდგა და დაუთვამეხოლლის თავი დაუკრა.

ბრძოლის წინ გამოაცხადეს:

— სახელგანთქმული ქართველი სპორტსმენი არსენა არაგველი და „სტამბოლის კაჟი“, თურქი ათლეტი დაუთვამეხოლლი!...

გავარდა ტაში და უმაღლესი საინტერესო შედეგის მოლოდინში.

ერთნი გაიძახოდნენ — ქართველი წამში წაიქცევიაო.

მეორენი წყრებოდნენ — დაუთვი დაღლილია და არ უნდა ეკისრა ამ მხეტთან შეხებაო.

გაისმა სტვენის ხმა და არსენა არაგველი გავეშებული გაიწია დავითისაკენ. დავითმა გაიღიმა და გვერდით მიდგა. არსენას ეგონა, ოინს მიწყო ბსო და დასწრების ხერხით ისე მაგრად გაარტყა, დავითმა თვალებიდან ლამის ნაპერწკლები გადმოჰყარა. სანამ თვალებში გაბმული ვარსკვლავები განიბნეოდნენ, მეორე მოულოდნელი დარტყმა მიიღო და დაბარბაცდა. მსაჯმა დაუსტვინა და თვალებიც დაუბრიალა, რათ არ იბრძვი, რა უბედურება გჭირსო.

დავითს გულის ძარღვი ჩასწყდა, რომ მთელ დარბაზში ერთმა მაყურობელმაც კი არ იცოდა მისი ხვაშიადი, ხოლო ეს დალოცვილი არსენა სცემს და სცემს უმოწყალოდ. ბევრი აღარ უფიქრია, ღრმად ჩაისუთნქა, მებრძოლის სახე მიიღო, კუნთები დასძაბა, მოიქნია და ერთი ძლიერი დარტყმით არაგველი რინგის ბაწარზე გადაწვინა. არსენა ფიქრობდა, რომ დავითი იქვე იდგა მუშტებდაღესილი და გადაწყვიტა შემოტრიალებამდე მომზადებულიყო საბრძოლველად, იმავე წამში ჩაბმულიყო კრივის ქარამოტში, მაგრამ ამოდ, შემოტრიალებისთანავე დაიძაბა თუ არა, დაინახა, „თათარი“ რინგის კუთხეში ხელებჩამოშვებული იდგა.

ხალხი ჩოჩქოლობდა. ზოგს ეგონა — დაუთი გამარჯვებებმა გაამეტირესო, ზოგსაც მიაჩნდა, მოწინააღმდეგეს იგდებსო.

ეს კიდეც არაფერი, ვერვინ გაიგო თუ რატომ ასწია დავითმა ხელები და მოწინააღმდეგეს ანიშნა: „ბარი ბარსა ვიყოთო“. ვერც არსენამ ამოიცნო ასეთი მოძრაობის აზრი და მკაცრად უთხრა:

— მოიწი, თათარო, თუ შეგიძლია! — და თავდაჯერებულის ნაბიჯებით გაქანა.

ერთი მოქნევის შემდეგ დავითი განგებ „ნოკაუტში“ ჩავარდა, რომ ათის დათვლამდე მაინც მოეფიქრებია — ებრძოლა თუ არა. ეს ახლა მისთვის პრობლემად გადაქცეულიყო, რადგან არსენა არაგველის სახეში რატომღაც მთელი მარანეთი წარმოედგინა და რამდენსაც გაარტყამდა, ასე ეგონა, მის ცისფერ ოცნებად გადაქცეულ მარანეთს, იმ ლამაზ მთებსა და ფორენგის წყაროს სცემდა, სცემდა ყველას და ყველაფერს, რაც დაკავშირებული იყო მარანეთთან, მესხიერებაში ჩარჩენილი ადამიანის ძვირფას სახესთან ერთად.

„წაქცეული“ გობრონელის დანახვაზე ხალხი აყაყანდა, ზოგი განაწყენდა, ზოგი გაბრაზდა, ვინ კიდეც ახარხარდა.

— ცხრა... ათი! — ჩაესმა გობრონელს და მარდად წამოხტა, ბევრმა იქ მსხდომმა თვალებს არ დაუჯერა ეს საოცრება. სპორტსმენს ცეცხლი შეუკიდა ხალხის ხარხარმაცა და ოხვრამაც, ყიფინამაც და სტვენამაც, მაგრამ განსაკუთრებით ატკინა გული და სანაცვლოდ დასძაბა იმ ერთმა სიტყვამ, არაგველმა თათარი რომ უწოდა.

— თათარს თურქეთში რა უნდა, ბიჭო. თათარი სათათრეში ცხოვრობს, ვოლგისპირეთში, აქ კი დარდანელის სრუტეა... მე არც თათარი ვარ

და არც თურქი, მარანეთელი გობრონელი ვარ, ალათანგ გობრონელის და
დიში. ნამდვილი ქართველი, გაიგე? — გამწარებით შესძახა დავითმა და
აღარ დაელოდა, არსენამ ეს გაიგო თუ არა, მოწყვეტით დაარტყა და რინ-
გის სვეტზე მიაგდო. მყისვე მიეჭრა, ძირს დაცემა არ აცალა, ყველასაგან
მოულოდნელად თავისკენ შემოატრიალა, მთელი ძალით ჩაეხვია, აკოცა და
ატირდა.

მსაჯმა დარბაზის დგანდგარს ველარ გაუძლო და საყვედურებით მიეჭ-
რა დავითს. ამ უკანასკნელმა გაზიზზილებული მკლავი დაწვებზე ჩამოისვა,
ცრემლები მოიწმინდა, მსაჯს ნიკაპქვეშ ამოჰკრა — რად ერევი ჩემს საქმე-
შიო, რინგიდან გადახტა, ვინც გზაზე გადაეღობა, ყველა მიღეწ-მოღეწა
და ცოფიან მხეცივით გაიჭრა კარებში.

არავინ იცოდა, რა მოელოდა დავითს: წესრიგის დარღვევისათვის
სასჯელი თუ გამარჯვებისათვის გვირგვინი. მას ახლა არც ერთი უღირდა
რამედ და არც მეორე.

დარბაზში მსხდომი ქართველი ბიჭები არსენა არაგველს მიეჭრნენ და
ჰკითხეს, რაში იყო საქმე. არსენამ, ამ ლომივით ბიჭმა, ცრემლები ვერ შე-
იკავა და ბავშვური სლუკუნით უთხრა:

— მუჰაჯირი ყოფილა... აჭარელი მუჰაჯირი ყოფილა, მთელ საქართ-
ველოში სახელგანთქმული ალათანგ გობრონელის შვილიშვილი! კრივიც
ვიღაცების სიძულვილით დაუწყია... არ ვიცოდი თუ ქართველი იყო... თა-
ვის დროზე ვერ გავუგე დავით გობრონელს. ო... რა ბიჭი ყოფილა!..

მეორე დღეს მთელ სტამბოლში ძებნა გამოაცხადეს, მაგრამ ვერსად
იპოვეს „შეშლილი“ მოკრივე. არც ქართველი ბიჭები სდუმდნენ ამ მოუ-
ლოდნელი და გულსატკენი ამბის გამო. მეორე დღეს გემით ბათუმში გამგ-
ზავრების გადაწყვეტილება უკუაგდეს და ქვეყანა შეაჯერეს დავით გობ-
რონელის საპოვნელად, მაგრამ ამაოდ.

იმ დღიდან დავით გობრონელი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მხოლოდ
ერთი თვის შემდეგ გავრცელდა ამბავი, რომ გობრონელი ვიღაც რიზელის
ქალის თხოვას აპირებს, სპორტზე კი საერთოდ იღებს ხელსო.



11-375

* * *

ნეტარ არიან შენი ღედები,
ნეტარ არიან შენი მამები,
რამეთუ ღვანან შენი ქედები,
მწვანე ზვრები და ოქროს ყანები.

ნეტარ არიან, რამეთუ შვილნი
გონიერებას ისმენენ შენსას.
შენ ხარ ვენახი და ჩვენ — წყურვილით
შეკეთებულნი სახმილში შეშად.

* * *

ჰაუ, რა მზეა, რა ოქროა,
უცნაურია ამისთანა...
კახაბრის ქარმა დაუქროლა,
სახლებს ახადა თავისქალა.
ხეხილს გიჟივით შემოუდგა,

კაბა-ჯუბანი მოახია,
ბარაქიანი შემოდგომა
თითქოს დამყოლი მოახლეა.
ჰაუ, რა მზეა, რა ოქროა,
უცნაურია ამისთანა...

* * *

საქართველო არ ვიცი მთაწმინდის გარეშე,
მთაწმინდა არ ვიცი უთქვენოდ.
გამხადე შენი სიყვარულის ფარეშად,
ჩემო უთქმელო...
საქართველო არ ვიცი სიყვარულის გარეშე.

ზეცას შერჩენია
აზრის ნაკვალევი:
დღისით ეჭვებია —
ღამით ვარსკვლავები.

წინანდლის დები

სით არიან ჭავჭავაძის
ენამჭევრი ქალები?!.
ღუმს მარანთან ძველი ნაძვი
ნახევრადნამთვრალევი.

თითქოს კაბა შარი-შურით
სიოს გამოედვა.
გაიელვა ხეთა შორის
ნინო გრიბოედოვამ.

ღამე დაცლილ თვლებს ავსებს,
ვიღაც უკრავს მაზურკას,
რაც დესპანი მოკლეს სპარსეთს
სამი თვეა მას უკან.

მოტრფიალე კაცის სუნთქვა
აჰყვა ნაძვს და ტირიფებს,
გრიგოლისთვის „ძმაო“ უთქვამს
და გზები გაიირიბნენ.

პეტერბურლით მიმავალი
წიგნებს სწერდა კატინას.

მოგონებამ ორივე ღაი
ცხარე ცრემლით ატირა.

განერიდა სოფელს ტატო,
გული უცემს ორჭოფით;
ხოლო ტატო მარტოდ-მარტოდ
ჩრდილს მიჰყვება კოჭლობით.

განა კოჭლობს? მის ორეულს
დასცინის გზად დარეტილს...
შეუმჩნევლად ჩაიქროლებს
დადიანი კარეტით.

შეირხევა ტანი ნაძვის,
ნაძვის, ცამდე ასულის;
სით არიან ჭავჭავაძის
ენამჭევრი ასულნი;

გახარჯული წინანდელი
სითბო და კაეშანი,
საოცნებო წინანდალი
მრავალ ფიქრთა ამშლელი.

ს ი ნ ა თ ლ ე

რა გინდოდა აქ... ქარი ადებს ფანჯრებს.
შემოეყო თათი გაბრუებულ ღამეს.
მწოლიარე სხეულს, მინებებულ სულს,
როგორც ბავშვი, ლეკვის ნაკბენ ფუნჩულა-
ხელს,
უბერავდა სულს.

რა გინდოდა აქ... ჩაღრმავებულ თვალებს
უთქმელობის ღამე ჰპირდებოდა რას?
რა გინდოდა აქ..
სად მიჰყავდი უპოვართა
და ცდუნების მდინარეში
მინებებულ ნავს?

რა გინდოდა აქ?! რა გინდოდა აქ?!

ჰ უ ლ ა ჰ უ ჰ ი

დღის მოსვლას ჰგავდა გამოჩენა შენი ანაზღად
გალაღებული ჰულაჰუბით და ცის ღიმილით.
შემოეფინა ჩემს ჭაღარას ნათელი შენი
და ვერცხლისფერი ახმაურდა წყარუნით სულში..

დაღამებული მზის ობობამ გამახალისა
და ჰულაჰუბი გახდა ჩვენი სამყაროს მიჯნა..
ხოლო მანამდე ვაცხოვრებდი გახანგრძლივებულ
წვიმებთან ერთად ჩაკიდებულ ნალვლიან თვალებს..

ტკივილის განცდით დაღლილი სულის
დროშებით მოდის ღამაში დილა,
მოაქვს ხმაური, სითბო და ფიქრი
მოსალოდნელი განცდებით სავსე,
და განვლილ დღეთა ვნებების ექო...

და თვალი შენი ვით ჰულაჰუბი
ტრიალებს ყველა საგნის გარშემო.

ო, ჩემო სულის ნათელმხილველო,
გაუსინათლე თვალეზი დღეებს,
შემომიდექი კეთილი ხილვით,
რომ საწუთროთა დღენაკლულობა
შენით შეივსოს და გახდეს სრული,
მოვიდეს დღე და რძისებრ სივრცეში
ეკიდოს შენი მზის ჰულაჰუბი,
რომელშიც ცურავს ჰაეროვანი
ნაკვეთებით სავსე შენი სხეული
და ატრიალებს თავის გარშემო
უკიდევანო სამყაროს ჩემსას.

ო, ჩემო სულის ნათელმხილველო
გადამახედე უსაზღვროების
და შენი სიბრძნის თვალსაწიერზე





გრიგოლ ჩხაიძე

ხ ა ხ უ ტ ა

ის ახლაც თვალწინ მდგას: მკვირცხლი, თვალგაბრწყინებული, მუდამ მოღიმარი, ტკბილი მოსაუბრე, მოსიყვარულე, უანგარო და თავდადებული მეგობარი.

სავალდებულო სამხედრო სამსახურს ერთად ვიხდიდით, ერთ ათეულში ვიყავით.

ერთმანეთს ძმობას ვეფიცებოდით, ერთ ტახტზე გვეძინა, ერთად ვდგებოდით, ერთად ვჭამდით და, ალბათ, ვერაფერი გაგვყრიდა, თუ არა... ომი.

ქალაქ კრემენეცის მისადგომებთან მთელი ღღე-ღამის უძინარებს ჩავვთვლიმა. ყუმბარის ძლიერმა აფეთქებამ ფეხზე წამოგვავდო.

— პირველ ნათლობას გაუმარჯოს! — დაიძახა ვიღაცამ და ჩვენებურ ქართული აქცენტით ორსართულიანი რუსული გინება მიაყვლა.

— მგონი გადავრჩით, — ვთქვი და აფორიაქებულ მეგობრებს გადავხედე. მამულს თავი წამოეყო და პირდაპირ მე მიმზერდა.

— ჰა, მამულ, დაიჭი! — მივაძახე, სწრაფად დავიხარე, ჩემს ფეხებთან დაგდებულ გახურებულ ყუმბარის ნამსხვრევს დავწვდი და ვესროლე. მამული დაიხარა, ნამსხვრევი ფრთხილად აიღო, ხელის გულზე ნაკვერჩხაღივით შეათამაშა და მომიბრუნდა.

— გუგული, იცი რას გეტყვი, — მშვიდად მითხრა მამულმა.

— ჯერ არა, როცა მეტყვი, მეცოდინება, — არ ვაცალე სიტყვის დამთავრება და თვალით ვანიშნე ყუმბარით ამოთხრილი ორმო. ვეებერთელა

შავ ორმოს თავზე წაადგა, ყურადღებით დააქცერდა და მცირე დუმის
შემდეგ კვლავ მომიბრუნდა.

— ამ ყუმბარის ნამსხვრევს კარგი სუნი არ უდის! — თქვა და შორს
გასტყორცნა, ფუ გამჭედი გაგიწყდესო.

— კი, საშინელი მყარია, შენ ნუ მომიკვდები.

— მყარია და... ვინ იცის, კაცი ვართ..

— ჰო, კაცი ვართ და ქუდი გვხურავს, ქეჩის კი არა, რკინისა. —
კვლავ ჩავეჩხირე საუბარში და ხელი მუზარადზე დაეუბრაახუნე.

— მაცაღე, გითხრა; მე და შენ ამდენი ხანია მეგობრები ვართ, სკო-
ლაში ერთად ვსწავლობდით, გახსოვს ბიჭო, ერთ მერხზე ვისხედით!

— მახსოვს, ჩემო კარგო. ისიც კარგად მახსოვს, შენ ხუთოსანი იყა-
ვი, მე კი... ეჰ, არ ღირს... ისიც ვიცი, რომ შენ აჭარაში პირველი მათემა-
ტიკოსი, პროფესორი უნდა ყოფილიყავი. გულს ნუ გაიტეხ, მომავალი წი-
ნაა. ერთი ამ ომს მოვრჩეთ და...

— ვინ რა უნდა გამოსულიყო, მაგას თავი დავანებოთ, პროფესორო-
ბა, ალბათ, ჩემი ოცნება იყო. ომი ომობანა როდია. ჰო, იმას გეუბნებოდი,
დიდი ხნის მეგობრები ვართ, მაგრამ შენ ჩემსას არ ყოფილხარ, ჩემს
დედას არ იცნობ. იცი, ბიჭო, როგორი დედიკო მყავს? რომ დავგინახავს,
მთელ ალამბარს ფეხზე დააყენებს. ძმები მყავს, არწივივით ბიჭებია. ჩემი
სულეიმანი, ჩემი ღურსუნი და ხასანი, იცოდე, სირცხვილს არ გვაჰმევენ.

— ინდაურს?

— ინდაურიც იქნება, ბატიც იქნება...

— მაშ, მოვდივარ, შენს ქორწილში მოვდივარ ჩემო ხახუტა. მრავალ-
ჯამიერ, მრავალჯამიერ... პიტლერელებს ღდინს გავაცლით, მაგათ ბელგია
და ჰოლანდია ნუ ვგონივართ!

— სახლში თუ მიმასწარი, იცოდე, პირველად ჩემსას მიხვალ, ალამ-
ბარში. ჩემს დედიკოს მოიკითხავ, ჩემს ძმებს მოიკითხავ. — სიტყვა აღარ
დაამთავრა, სწრაფად მიბრუნდა, იქვე ახლოს სახლის ჭერში აძვრა, ისლი
აშალა, სახურავში თავი და ხელები გაჰყო, ღურბინდი მოიმარჯვა და
ბრძოლის ველს გახედა. ირგვლივ მობიბინე პურის ყანებს სიმძიმისაგან
თავთავები დაეჩინდრათ. უპატრონოდ მიტოვებული პირუტყვი შესეოდა
და გულსაკლავად ანადგურებდა. მცხოვრებლებს სახლები გამოეკეტათ და
გახიზნულიყვნენ. ჩვენს უკან ქალაქის თავზე ცეცხლის ალი იგრაგნებოდა,
მალლიდან კი ივნისის მზე გვაცხუნებდა და მარილიანი ოფლი წურწურით
ჩამოგვდიოდა. ჩვენი უბანი დროდადრო დუმდა. ბიჭები სახელდახელოდ
სანგრებს თხრიდნენ.

— ჰა, მამუდ, რა ამბავია შენს სამწყსოში? — ავძახე ქართულად.

— „არსიდან ხმა, არსით ძახილი“. — მომიჭრა მოკლედ.

— ეგ ილიამ თქვა, შენ რას ბრძანებ ახალს?

— ჯერჯერობით ვერაფერს, მგონი მკვდარი საათი აქვთ ფრიცებს.

— ჰოი, ნუმც გაღვიძნათ! — მიაწყველა რიზა ტაკიძემ.

— ამინ! — თითქმის ერთად გაიმეორეს ბიჭებმა.

იქვე, ჩვენს მახლობლად, მემიზნე გრიგოლ გიორგაძის ქვემეხი იდგა, ხოლო მარცხნივ, ეკლესიის ეზოში, ბურჭულაძისა და ილო ცინცაძისა. ბიჭებს ალუბლის ხეები დაეჭრათ და ქვემეხები საგანგებოდ შეენილბათ. ყველანი ბრძანებას ელოდნენ. გიორგი გვენეტაძემ კონვერტიდან თეთრი ძაფი ამოიღო, და ვინ იცის, მერამდენედ აჩვენა ამხანაგებს.

— ა, ბიჭებო, აი შინიდან მივიღე, ამისიგრძეა, თურმე, ახლა ჩემი ბიჭი.

— კარგი ერთი, სხვასაც კი ჰყოლია ბიჭი, ინჟინერო (გიორგი პროფესორით მეტყვევებ-ინჟინერი იყო და სამხედროშიც ინჟინერს ვეძახდი). ეგ ძაფი რომ მიიღე, მერე ასი პარასკევი გავიდა. — გამოაჯავრა რიზამ და კრინით სიმღერა წამოიწყო.

— არა, ძმაო, ახლა მივიღე, ამ კვირაში. — დაიწყო გულუბრყვილოდ თავის მართლება გიორგიმ.

— ეჰ, ვინ მაცალა, თორემ ბიჭები ეგება მეც კი მყოლოდა. ახლა რაღა, აფერი. — გულდაწყვეტით ამოიოხრა ვილაცამ.

ჩვენთან ჯერ კიდევ არ იგრძნობოდა ომის შიში და საშინელება. ვინ კვლავ ძველებურად ოხუნჯობდა, მღეროდა კიდევ. ვინ რას ამბობდა და ვინ რას. მიუხედავად იმისა, რომ ომის მეორე დილას საზღვარს ოთხმოცი კილომეტრი გვაშორებდა, მაინც ოპტიმისტურად ვიყავით განწყობილი და პირველ მარცხს ვხსნიდით მხოლოდ იმით, რომ საზღვართან, როცა მტერმა შემოგვიტია, ჩვენ არ ვიდექით, თორემ...

ჩვენს წინ, სამ კილომეტრზე, გზის მარჯვნივ პატარა სოფელი იყო. ჩვენსა და იმ სოფელს შორის გადიოდა ცეცხლის ხაზი. მტრის გამოჩენასაც იქედან მოველოდით და საგანგებოდ ვუთვალთვალავდით. შუადღემ მოატანა, ის-ის იყო ფრონტულად უნდა გვესადილა, რომ სროლა გახშირდა.

— ტანკი. ტანკი! — სახლის სახურავიდან გადმოგვძახა მამუღმა. — ჩვენ სანგრებს მივაშურეთ და შაშხანები მოვიმარჯვეთ. ზოგი ხელყუმბარების გაწყობას შეუდგა.

— აბა, სად! — ჰკითხა ბატარეის უფროსმა, რომელიც იქვე, მამუღის გვერდით სახლის ჭერში ცეცხლის მილთან იჯდა და მტერს უთვალთვალავდა.

— ორიენტირი პირველი, მარცხნივ 0,15.

— არის, ვხედავ! — გაიმეორა მეთაურმა და ბრძანა...

იმ წუთშივე ერთდროულად დაიგრიალეს ქვემეხებმა და ოთხი ყუმბარა გაფრინდა მტრის ადგილსამყოფელში. ოთხს ოთხი მიჰყვა, კიდევ ოთხი, სროლას მოწინააღმდეგეებმა სროლითვე უპასუხეს. შეზანზარდა მთელი ფრონტი.

მტერმა არ დააყოვნა, ჩვენს განლაგებაში მზვერავი მაკორექტირე.

ბელი თვითმფრინავი გამოგზავნა. ჯგუფური ცეცხლი შევაგებეთ, ავტომატით შაშხანებით ტაკა-ტაკი, მაგრამ თვითმფრინავმა ცაში, ჩვენს თავსაწიგნად მოთ წრე შემოხაზა, ფრთები ნელა გადააქან-გადმოაქანა და... სეტყვა-სავით დაგვიშინეს ყუმბარები. ირგვლივ ყველაფერი კვამლში გაეხვია, მაგრამ ახლაც უვნებლად დავრჩით.

— ბედი, ბედი... — ჩამოგვძახა მამუდმა და მალლიდან ღურბინდით გადმოგვხედა.

— ბედი კია, მარა ყოველთვის კოკა წყალს არ მოიტანს. — გაეხუმრა ივანე ჩხიკიშვილი.

— არ მოიტანს და სხვა კოკა დაიჭერს მის ადგილს. ასეა, ჩემო ძამია. „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“ — ჩაარუსთაველა რამიზ ცივაძემ და შეხვეულ პაპიროსს ენა გაუსვ-გამოუსვია.

— რამიზა, შენ ის გირჩევენია გვითხრა, რადომისლში დღენიამ თოვლი რატომ ჩაგიყარა შარვალში!

— რომელი ხარ შენ? — გაცხარდა რამიზი.

— მე იგი ვარ, გუშინ რომ ვიყავი, ვერ მიცანი, რამიზავ?

— ნეტავი თქვენ, სალექსოდ და საშაიროდ თუა ჩვენი საქმე — ახლა საუბარში ყველაზე მაღალი და ღირსი ღურსუნ კარზალოლი ჩაერია. ჯიბეებში სახლიდან მიღებული ბოწოწოდ დაჭრილი თუთუნის ეგულეობდა, დიდხანს იქექა და რომ ვერ იბოვა, მემედ რევაზიშვილს შეეხვეწა:

— ჰე, მემედავ, მასვი ბიჭო შენი მყარალი მახრუჯა. დარდი მინდა კვამლში გავახვიო. სამაგიეროდ სახლში რომ მივალ, გონიოდან ერთ გოდორ ფორთოხალს ჩემი ზურგით გამოგიტან.

— ერთი სახლში მიმიყვანე და რად მინდა შენი ფორთოხალი... ჰა, მოსწი უსასყიდლოდ.

— ერთი ამას უყურე, მწვანეკონცხელი კაცი გონიოს ფორთოხლებით უნდა გააკვირვოს ამ გაგანია ბრძოლაში. შენ, თუ ვაჟკაცი ხარ, გერმანელი დააჭერინე ამას, თორემ დარდით კვდება, ხომ ხედავ, აგერ მთელი დღეა ომობს და ფრიცი ჯერ თვალითაც არ უნახავს. — შეუსისინა ნიკოლოზ ნაცვლიშვილმა.

— ღმერთო კი მომკალი, რა სჭირს მაგას სხვისი დასახმარებელი, სიგრძე აკლია თუ განი, თვითონ ვერ დაიჭერს? — ახლა მემედს ღურსუნ შამილაძე გამოექომაგა და შაშხანა პურის ყანაში ეულად მოხეტიალე ვეებერთელა კერატს დაუმიზნა საფეთქელში.

— არ ესროლო, ბიჭო ღურსუნავ, ცოდვაა! — ერთხმად მივაძახეთ აქეთ-იქედან.

— კი ბატონო, ღორი ცოდვაა.. მე, მე არ ვარ ცოდვა, სკვინჩასავით რომ მიბათქუნებენ მაგი უპატრონოები ამ სიმწრით გაზრდილ ბაღანას! — წყენით გვითხრა ღურსუნმა და შემართული შაშხანა მიწყაილზე დაუშვა.

ჩვენს მარჯვნივ და მარცხნივ ჰაერში წითელი ფერის შუშხუნები აიჭრნენ. აკაკანდნენ ტყვიამფრქვევები, აყეფდნენ ნალმტყორცნები.

— ჰე, ბიჭებო, გვიტევენ მაგი რჯულძაღვები! — გადმოგვძახა მალედიან მამულმა. დაიქუხეს ჩვენმა ქვემეხებმა. მტრის პოზიციები ცეცხლსა და შავ კვამლში გაეხვია. გზატკეცილზე გერმანელთა ტანკი გამობობლდა, სისწრაფე აიღო და გამოქანდა. ბურჭულაძემ იმარჯვა, ხიდს პირდაპირი დამიზნებით ზედიზედ დააყარა ყუმბარები. ხიდი ჩაინგრა და ზედშემდგარი ტანკი თან ჩაიტანა. მტრის პირველი შემოტევა მოვიგერიეთ. მოწინავე ხაზიდან გამხეცებული ცხენი გამოქანდა, დაჭრილმა მხედარმა უზანგიდან ფეხის გამოღება ვერ მოასწრო. ცხენი მორბოდა და უკანა ფეხებით მხედარს უმოწყალოდ ფლეთდა. ცხენს წინ გადაუვდექით, მაგრამ ვერ დავიჭირეთ, არ დაგვცნებდა. ვიღაცამ თავში ტყვია დაახალა. ცხენი ყალყზე შედგა, მიწას დაენარცხა და მხედარი ქვეშ მოიქცია. ეს იყო ჩვენი იმდღინდელი ბრძოლის პირველი სისხლი, სისხლი, რომელმაც ყველას ჟრუანტელი მოგვგვარა და ხასიათი წაგვიხდინა.

* * *

დაღამდა. უკანდახვეა გვიბრძანეს. დავიხიეთ. მტერი ფეხდაფეხ მოგვდევდა. მამული მუდამ გვერდით მედგა. ჰეი, რა ყოფილა უძილობა. დაღლილ-დაქანცულები ხელი-ხელჩაკიდებულნი მივდიოდით, თვალები რომ დაგვეხუჭებოდა, ქუთუთოებს ხელით ვიზელდით, ვცდილობდით რაიმე დაგვენახა, მაგრამ ძალით გახელილი თვალებით ვერაფერს ვხედავდით. მოვდიოდით ბრმად. ერთმანეთის მხარზე ჩამოკიდებულებს ზეზეურად ვვეძინა.

— ბიჭო, მგონი დავბრმავდი, ვერაფერს ვხედავ! — შემომჩივლა მამულმა.

— ჰო, ღამ-ღამობით ასე ემართებათ საწყალ ქათმებს.

— მერე რა გვეშველება?

— ქათმებს დაკვლა, ჩვენ ფეხის დათბილვა, რბილი ლოგინი და ტკბილი ძილი, ანდა ნალვერდალზე მოთუშული საქონლის ღვიძლი. ხომ კარგია. — ვცადე საუბარში მხიარულების შეტანა.

— კარგია, კარგი დაგემართოს...

ჩვენს ზურგში მტერმა საჰაერო დესანტი ჩამოსხა და უკანდასახევი გზა მოგვიჭრა. გზადაგზა ბრძოლებში ამხანაგები დაეკარგეთ. ვახევდით ჯგუფ-ჯგუფად, ხშირად თითო-ოროლა.

ტყის განაპირას, გზის მახლობლად მიტოვებულ ზარბაზნებს წავაწყდით. ეტყობოდა, მტერს ეს მიდამო ჰაერიდან დაებოძა. ცხენები დაეხოცათ. ჩვენებს მოკლული არტილერიისტების დამარხვაც ვერ მოესწროთ, ხელუხლებლად მიეტოვებინათ რამდენიმე ყუთი გაუსროლელი ყუმბარა-ზარბაზნები მწყობრიდან გამოეყვანათ. ერთ ზარბაზანს კი მხოლოდ საკე-

ტი და პანორამა აკლდა, სხვაფრივ წესრიგში იყო. საკეტი იქვე ბუჩქებში ვიპოვეთ, ზარბაზანი დიდის ვაი-ვაგლახით გზის ტყიან მონაკვეთთან მოვავორეთ, წესისამებრ შევნილბეთ, საკეტი გავუყეთეთ და საიმედოდ გავამაგრეთ. ყუმბარებიც მოვზიდეთ, წყლის საწრეტ თხრილში თავშესაფარი სანგარი გავთხარეთ. სამუშაოს რომ მოვრჩით, უკვე ქანცგაცილები გზის პირას შამხნარში გულალმა გავგორდით. შუალამე გადასული იყო. დიდხანს ვდუმდით. ცაზე ვარსკვლავები ძველებურად ციმციმებდნენ. საღდაც ჩვე-გან შორს ბომბდამშენებმა ფრთები დაიბერტყეს და დედამიწა შეაზანზარეს. მამუდს არაფერი უთქვამს, ეტყობოდა, რალაცაზე ღრმად ფიქრობდა. იქნებ სახლზე, დედაზე, ძმებზე, ამხანაგებზე, სწავლაზე, ვინ იცის? დიდ-ხანს უსიტყვოდ ვუტყერდი მთვარის შუქზე მის მზით გარუჯულ სახეს. მინდოდა ამომეკითხა, რაზე ოცნებობდა ჩემი მეგობარი. მოთმინება არ მეყო და მყუდროება ისევ მე დავარღვიე.

— ჰა, მამუდ, გძინავს?

— არა, არ მეძინება. — თქვა და მხარი იცვალა.

— არ გეშინია?

— რისი, სიკვდილისა!

— ჰო, თუგინდ სიკვდილისა!

— „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა“.

— ნეტავ ვიცოდე, რას ვაპირებთ ჩვენ! — ვკითხე და მთვარის შუქზე თვალებში ჩავხედე.

— ვინ ჩვენ! — ისე იკითხა, თითქოს მთელი ასეული ვიყავით.

— მე და შენ!

— რას? — კვლავ გაიმეორა ჩემი კითხვა. — აი რას: გერმანიის დიდი იმპერიის პირისპირ შეხვედრას. რითი გვჯობია ჩვენ პრუსიელები? არაფრით. რატომ დატოვეს ჩვენებმა საზღვარი, ანდა ეს გაუსროლელი ყუმბარები? ხომ შეიძლება ამ ოცმა ყუმბარამ მტრის ოცი ჯარისკაცი ან უფრო მეტიც იმსხვერპლოს? რა თქმა უნდა, შეიძლება. ერთი მითხარი, მაშ რატომ ვიხევთ უკან და არ ვუტევთ მტერს? რატომ არ ვაკეთებთ იმას, რის გაკეთებაც შეუძლია თითოეულ ჩვენგანს? აი, ჩვენ მტრის თავზე დავაქუხებთ ამ ოციოდე ყუმბარას...

— მერედა რას გავხდებით ამ ოცი ყუმბარით?

— როგორ თუ რას! დე გაიგონ, რა შეგვიძლია ჩვენ, საბჭოთა ჯარისკაცებს. დე იგრძნონ ჩვენი ძალა და ძლიერება, გაიგონ, რომ მეომრები ვართ, დიდი სუვოროვის და ბაგრატიონის შთამომავალნი და არა სასაკლაოზე მირეკილი ცხვრის ფარა... გასაგებია!

— გასაგებია.

— მაშ ასე, ამ მრისხანე ყუმბარებს მტერს დავაყრით, მთლიანად თუ ვერ მოვსპობთ, ჩვენს ვალს მოვიხდით, პირნათელი ვიქნებით სინდისისა და სამშობლოს წინაშე.

— მერედა, ვინ გაიგებს, რომ შენ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ყოფილმა ფრიადოსანმა სტუდენტმა, კომკავშირელმა მამულ ახმედის ძე ხახუტაიშვილმა, სკოლაში ხახუტას რომ გეძახდით, იმ ბიჭმა ერთი ზარბაზნითა და ერთი ჯარისკაცით, რაღაც ოციოდე ყუმბარით შენგრაბენი მოუწყე ჟიტომირ-ბერდიჩევის გზაზე მესამე რაიხის ესესელთა ასეულს, დივიზიას, იქნებ არმიასაც კი...

— გაიგებენ თუ არა, ჩემო ძმაო, ეს ჩვენი საქმე არ არის. „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსაო“, თქვა რუსთაველმა.

— ეჰ, „სიკვდილი მაინც ძნელიაო“, აღმოხდა თურმე სოლომონ ზურგიელიძეს. — ვთქვი მე და მამულს შევხედე. მან ყურადღება არც კი მიჰქცია ჩემს ნათქვამს, ისე განაგრძო.

— იქნებ კიდეც გაიგონ, თუ არა და ხომ მაინც იტყვიან, გზის ამაღა ამ კილომეტრზე ორი უცნობი, უშიშარი საბჭოთა ჯარისკაცი თავს დაესხა ჰიტლერელთა კოლონასო. გამარჯვებულნი მოვლენ აქ, ამ ადგილას და ქუდს მოგვიხდიან.

— ამინ! — ვუთხარი და მოკაშკაშე ცაზე ვარსკვლავების თვლას შევუდექი. ეჰ, „ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები“... ირგვლივ ყველაფერი მდუმარებამ მოიცვა. ძილი არ მეკარებოდა, რაღაც არ მასვენებდა და კვლავ მამულს მივუბრუნდი.

— ხახუტავ, ბიჭო, მისმენ?

— ჰო, გისმენ, გისმენ!

— როგორ ფიქრობ, რა გადაარჩენს ჩვენს ქვეყანას?

— უპირველეს ყოვლისა, სამშობლოს სიყვარული, ჩვენი თავდადება და მისი უკიდევანობა.

— ეს როგორ გავიგოთ?

— სრულიად უბრალოდ. ერთი თავგანწირული კაცი, რაც არ უნდა იყოს, მეტს თუ არა, ერთ მოწინააღმდეგეს მაინც გაიყოლიებს საიქიოს.

— მერე, ეს რა გამარჯვებაა!

— გამარჯვება უმსხვერპლოდ არ ხდება, მითუმეტეს ომში. როგორც გითხარი, ერთმა რუსმა ერთი გერმანელი რომ წარიტანოს, მალე დედამიწაზე გერმანელთა სინსილა აღარ იქნება. აი, უბრალო არითმეტიკული ჭეშმარიტება.

— მაგრამ, შენს უბრალო არითმეტიკულ ჭეშმარიტებას, ვგონებ, დამტკიცება მაინც სჭირდება.

— ამას ჩვენ თვითონ დავამტკიცებთ პირველი ფაშისტის გამოჩენის-თანვე.

— გერმანიამ რომ გაიმარჯვოს?

— ეს არ მოხდება.

— რატომ?

— ქვეყანაზე ბევრი ყოფილა ჰიტლერივით მსოფლიო ბატონობის

სურვილით შეპყრობილ-დამთხვეული, მაგრამ არასდროს არცერთ მათგანს არ გაუმარჯვნია. ეს ისტორიული ჭეშმარიტებაა.

— მაშ, რა მოუვა ჰიტლერს?

— ის, რაც ნაპოლეონს მოუვიდა თავის დროზე, არც მეტი, არც ნაკლები.

— ესე იგი, კაპუტი!

— კაპუტი!.. არ გეძინება?

— არა.

— დიდი ბრძოლის წინ საჭიროა მშვიდი ძილი. ეს ვინ თქვა?

— მგონი კუტუზოვმა. კუტუზოვი ვაჟკაცი იყო...

— ჰო, იყო აბა, ახლა ჩვენც დავიძინოთ, მაგრამ რიგრიგობით, სიფრთხილეს თავი არ სტკივა. იწილო, ბიწილო... რასა იქმ, ჩემო კარგო, შენი რიგია, უნდა იგუშავო. გაგიჭირდეს, გამაღდე. მხოლოდ გახსოვდეს, შენ აქ გაბარია სახელმწიფო საზღვარი და მძინარე მეგობარი. „გახსოვდეს ვისი გორისა ხარ!“.

— არის, მახსოვდეს ვისი გორისა ვარ!.. ძილი ნებისა, მეგობარო!

ინათა. ირგვლივ ცადატყორცნილი ფიჭვები საამო სურნელებას აფრქვევენ. ვეებერთელა არყის ხეებს ტოტები მკლავებივით გაუშლიათ, ახლად ამობრწყინებულ მზის სხივებზე ღამის ცვარ-ნამით დასველებულ თეთრ, ქათქათა ტანს იფიცებენ. ბუნება ისე საამო და მშვიდია, თითქოს აქ, ამ ქვეყანაზე არაფერი მომხდარა. ვსხედვართ უსიტყვოდ, მუნჯებით. ვუცქერით ბუნების ამ თვალწარმტაც მშვენებას და სიცოცხლეზე ვოცნებობთ. ეჰ, სოფელო, რამიგან ხარ...

უეცრად მოტორების ხმა მოგვესმა, დავიმალეთ. მალე გზატკეცილზე ორი ავტომატიანი მოტოციკლისტი გამოჩნდა.

— მზევრავებია, გავატაროთ. — თქვა მამუდმა. მალე მოტოციკლისტებმა ჩაგვიქროლეს და ჩვენც შვებით ამოვისუნთქეთ.

აი, პირველი ბრძოლა უკვე მოვიგეთ. ახლა მოთმინებით უნდა ველოდოთ ჩვენს ბოროდინოს. მოულოდნელობა, აი ჩვენი ძალა და ძლიერება. „პირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვიტკირსა“. ჰო, სულ დამავიწყდა, გათენდა და ჯერ კიდევ არ მივსალმებივართ ერთმანეთს.

— „რაც უნდა გეჩქარებოდეს, ჩემო ბეჟან, პირველად გამარჯვების თქმა გმართებს!“ თქვა ვინ?

— ტარიელ გოლუამ.

— მაშ, გამარჯობა შენი, ჩემო მამუდ! როგორ ბრძანდებით, ხომ კარგად. — მამუდმა მკლავები გაშალა: მკერდზე მძლავრად მიმიკრა და გადამკოცნა.

— ჰეი შენ, ბათუმელი საცოლე ხომ არ გაგახსენდა, ჩემო მთავარსარდალო! თუ მემშვიდობები?

— არა, რა ღროს დამშვიდობებაა, ბიჭო, წინ კიდევ ბევრი ბრძოლა მოგველის. ეს ისე, სასიყვარულოდ... ადგილებზე! მოდიან, მაგათი...

გზატყეცილზე ჯერ კოლონის თავი გამოჩნდა. იგი გველივით მოიხლა-ზნებოდა და რაც უფრო გვიახლოვდებოდა, მით უფრო იზრდებოდა.

— არ დაგავიწყდეს, ბიჭო, ჩემი ალამბარი, დედაჩემი აიშე ხახუტაი-შვილი!

— ერთი შენ, რა ღროს ალამბარი და მანდარინებია, ჯერ მაგდებურ-გის კარები უნდა შევლევწოთ!

— არის, შევლევწოთ! — მომადახა, ზარბაზნის საკეტი გახსნა და ლუ-ლაში გახედა.

— კოლონას ტანკი გამოეყო და სვლას უმატა.

— მაგან. მგონი რაღაც იგრძნო. მომეცი ჯავშანმჭრელი.

— არის ჯავშანმჭრელი!

ზარბაზანმა დაიგრილა, ტანკს მუხლუხა შემოძვრა, ადგილზე შემო-ბრუნდა, კოლონას გზა გადაუხერგა და გვერდი მოგვიშვია. კოშკურა სწრაფად ჩვენსკენ მოაბრუნა, ზარბაზანი გაგვისწორა, მაგრამ სანამ ჩვენ აღმოგვაჩენდა, მეორე გასროლამ ცეცხლის ალში გახვია იგი.

— ესეც თქვენ, მხეცებო! — გახარებულმა მივაძახე და ახლა შრაპ-ნელიანი ყუმბარა შევაგდე ზარბაზანში. მამუდი ერთხელ დამიზნებულ ზა-რბაზანს ცოტათი ასწორებდა და კვლავ ავტომატურად ზედიზედ აქუხებ-და. გერმანელები ხაფანგში გამომწყვდეულ ვირთხებივით აწრიალდნენ. კოლონამ სცადა გაშლა, მაგრამ მოუხელთებელ ადგილზე გვეყავდა გამო-ჭერილი. ჩვენი ზარბაზნის ფარზე დროდადრო ტყვიები ეხეთქებოდნენ, სხლტებოდნენ და საშინლად წიოდნენ.

— მამუდ, ბიჭო, ყუმბარები გვითავდება!

— მოიტა, რაც არის, ამ ჯოჯოხეთს ისიც შევუნთოთ! ესეც თქვენ, ფა-შისტებო! ბიტტენ, ბიტტენ! — მიაძახა და უკანასკნელი ყუმბარა გაუ-გზავნა.

— აბა, ახლა ღროა, სანამ გონს მოვიდოდნენ, გავეცალოთ! — თქვა და მიწაზე გაწვა. ღრმა თხრილით, როგორც იქნა, ტყემდე მივფორთხდით და სულმოუთქმელად მოგკურცხლეთ. ჩვენს უკან, გზატყეცილზე ცეცხ-ლის ალი გიზგიზებდა. იწვოდა მანქანები და განუწყვეტლივ ბათქი-ბუთქი გაჰქონდა მტერს.

* * *

ეშმაკმა იცის, თუ რამდენი ვირბინეთ. მივრბოდით უკან მოუხედავად, უგზო-უკვლოდ, ტყე-ტყე, პურის ყანებში და საძოვრებზე გავლით. ქანტი გამოგველია, ილაჯი გავგიწყდა. დასახლებულ ადგილებს გვერდს ვუვლი-დით, სოფელში შესვლა გვეშინოდა, ვაი თუ სადმე გერმანელებს წააწყ-დომოდით:

— ა, მამუდ, ცოცხალი ხარ?

— ვარ, ვარ! — მიბასუხა და გზა განაგრძო.

— ეე, ბიჭო, შევისვენოთ. აბა, სანამ უნდა ვირბინოთ ასე ბეკოს თო-
ხარიკივით. გამძვრა სული და ავია.

— უნდა ვირბინოთ სანამ შეგვეძლება, უნდა ვირბინოთ. — დაბეჯითე-
ბით თქვა და კვლავ გზა განაგრძო.

— ჰოდა, მე მეტი აღარ შემიძლია, ჩემო ძამია! გავთავდი საწყალი
კაცი. ხომ ხედავ ენა ნასიცხარ მწვეარივით მივარდება პირიდან, სუნთქვა
მიჭირს, სუნთქვა... არ გეცოდები!

— მაშ, რა ვქნათ, ტყვედ ხომ არ გინდა დავნებდეთ? ნუთუ გგონია
თავზე ხელს მოგვისვამენ?

— რაო! საიდან სადაო, ეგ ფიქრადაც არ გამივლია გულში. შორს
ჩემგან გერმანელები! მგონი, სჯობს მტერს სადმე მოხერხებულ ადგილზე
ჩავესაფრდეთ და ერთხელ კიდევ ვუჩვენოთ ჩვენი ვაჟკაცობა, თორემ ამ
უგზოდ ხეტიალში სადმე სული გაგვძვრება, ან ვინმეს წავეფეთებით და
სულ უსახელოდ ჩაგვაძაღლებენ, ძაღლისშვილები.

— არა! გერმანელები ჩვენ ასე უყურადღებოდ არ დავგვტოვებენ
რაკი იქ მკვდრებს ვერ გვიბოვნიან, კვალში დაგეშილ ნაგაზებს ჩაგვიყე-
ნებენ, უსათუოდ მოგვძებნიან. საჭიროა ვიჩქაროთ, რაც შეგვეძლება
შორს გავეცალოთ, იქნებ, როგორმე კვალი ავუტრიოთ.

მობიბინე პურის ყანიდან მთავარი გზა უნდა გადაგვეკვეთა. გარემო
ფრთხილად დავზვერეთ, ეტყობოდა, დიდი ხანი არ გასულიყო, რაც აქ გე-
რმანელებს გაევლოთ. გზას მათი დაუნდობლობის სისხლიანი კვალი და
ახალი ნამუსრევი აჩნდა. იქვე, გზის პირას, თხრილში ახლად მოკლული
და გაძარცვული წითელარმიელების გვამები უწესრიგოდ ეყარა.

— ჰეი, ბიჭებო! ბიჭებო! ვაჟკაცებო! ვაი თქვენს დედებს! ეჰ, რა ცუდ
ფეხზე ამდგარხართ... — იმათი ხილვით გული დაგვეწვა.

— აბა, ჩქარა! — ვუთხარი მამუდს და თვალით დახოცილებზე ვანი-
შნე. მამუდმა გაკვირვებით შემომხედა და მხრიდან შაშხანა ნელ-ნელა ჩა-
მოაცურა.

— რა იყო!

— როგორ თუ რა იყო, ჩქარა, თორემ გვიანდება...

— რა, შენ ამათ გაცოცხლებას აპირებ თუ დამარხვას! სისულელეა,
მოგვისწრებენ და ზედ წაგვაკლავენ.

— არა, ბიჭო, ესენი ხომ ჩვენებია, ჩვენი ბიჭები, ჩვენი ფორმა
აცვიათ... ეჰ, ნეტავ მაგათი გაცოცხლება შემეძლოს და...

— ახლა ჩვენ მაგათ ვერაფერს ვუშველით.

— შენ ეს მითხარი, ძაღლები გეშს ხომ ყნოსვით იღებენ?

— ჰო.

— აბა, რას უდგეხარ, ამათ ჩქებები და ფეხსახვევები სასწრაფოდ გავაღწეო
ვხადოთ, სამაგიეროდ ჩვენი ღვეუტოვოთ. ჩვენ კი მაგათი ჩავიცვათ.

— რათა!

— სუნი გამოვიცვალოთ, მეგობარო, სუნი და აქედან მოვუსვათ. დაე,
იფიქრონ, რომ ის მეზარბაზნეები, რომლებმაც ამ ცოტა ხნის წინათ უთა-
ნასწორო ბრძოლაში მათ ყოფა უტირეს, ესენია და არა სხვა ვინმე. დაე,
ჩვენი ღღევანდელი დიდება მაგათი დიდება იყოს. ჩვენ ერთი საქმისათ-
ვის ვიბრძვი, სამშობლოსათვის...

— შენ მაგ მონოლოგებს თავი დაანებე. რადგან მასე სჯობს, იყოს მა-
სე, მხოლოდ ვიჩქაროთ. — მითხრა მამუდმა და საქმეს ხელმარდად შე-
ვუდექით. გაგვიჭირდა, მაგრამ ეს ოპერაციაც ჩინებულად ჩავატარეთ.

მოკლულები გერმანელებს გაეძარცვათ, მათთვის ჯიბეები ამოებრუ-
ნებიან.

— აი, ხახუტა, ღმერთი ჩვენსკენაა! — მივაძახე და იქვე ნაპოვნი წე-
კოიანი ქისა დავანახე.

— ეს რაღაა! — გაიკვირვა მან.

— წეკოა, ბიჭო, წეკო.

— მერე რა ჯანაბად გინდა ეს წეკო, დატოვე მაქ.

— როგორ თუ დავტოვო! რატომ? ამათ ახლა აღარაფერი სჭირდებათ.
თავიანთი ვალი პირნათლად მოუხდიათ სამშობლოს წინაშე. გაუსროლე-
ლი ვაზნაც კი არ დარჩენიათ.

— წეკო რად გინდა, შენ ხომ არ ეწევი... დადე მაქ!

— აი, უყურე, გერმანელ ძალებს მოვაწევინებ! — ვუთხარი მამუდს
და თვალით ვანიშნე, იქაურობას გასცლოდა. მამუდი მიმიხვდა, გზა მარ-
ჯვედ გადაჰკვეთა და იქვე, შორიახლოს ლოდინი დამიწყო. მე ქისა გავხ-
სენი, წეკო ჩვენს ახალ ნაფეხურებზე მოვაბნე და მამუდს წამოვწეე.

— მოვიდნენ ახლა და დაყნოსონ ჩვენი ნაფეხურები. ვნახოთ რო-
გორ გეშს აილებენ.

— აბა, მალე, — ამაჩქარა მამუდმა.

— მიდი და მოგყვები. — მივაძახე და ნაბიჯს ვუმატე.

— მგონი გასჭრის შენი სიფრთხილე.

— ფიქრი არ უნდა.

— როგორც ვხედავ, შენ ამ საქმის პროფესორი ხარ. მიკვირს, საღ
გამოიქექე ასე.

— „თავი თუ შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“. — თქვა ვინ?

— რუსთაველმა.

— იდიდოს მისი სახელი!

— დიდება მის სახელს!

ორი კილომეტრიც არ გაგვივლია, რომ გზის იმ მონაკვეთიდან,

სადაც დახოცილი ჯარისკაცები მივატოვეთ, ძაღლების გამაღებულად ყველა
გნასი მოგვესმა.

- ალბათ დაგეშილმა ნაგაზებმა ჩვენს ძველ კვალს მიაგნეს, ხახუტა!
- ჰო, ალბათ...
- ახლა ჩვენი კიდევ წინ წაწევა უაზრობაა.
- ძაღლებმა თუ ახალი გეში აიღეს, შორს ველარ გავეჩქევით, წამო-
გვეწევიან და...

- რაღაც უნდა ვიღონოთ.
- ძაღლებთან ბრძოლა არც თუ ისე ადვილია.
- ფიქრი ნუ გაქვს, ჩვენ ხომ სნაიპერებს ვჯობნივართ.
- ვითომ?

— ვითომ არ უნდა მაგას, შენ არ იყავი ხის წვერიდან შაშხანით ნი-
გუზალივით შავი ყორანი რომ დააყირავე? ჰოდა, იმედია ძაღლსაც არ
ააცდენ.

- მთავარია, ახლოს არ უნდა მოვუშვათ.
- სადმე კარგი მაღლობი უნდა შევარჩიოთ.

ადგილი გარემოსთან შედარებით ამაღლებული შევარჩიეთ.
უქნიდან ტყე გვფარავდა. წინ კი გაშლილი საძოვარი იყო. ასე რომ, შეუძ-
ნეველად ვერ მოგვეპარებოდნენ.

ყოველმხრივი თადარიგი დავიჭირეთ, ყველაფერი წინასწარ ავწონ-
დავწონეთ, რათა ვაუკაცურად დავხვედროდით გერმანელ ძაღლებს. საღა-
მომდე საფარში შემართული შაშხანებით გარინდული ვიჯექით. და, კაცმა
სიმართლე რომ თქვას, შიშიც არ გვაკლდა. არ გვინდოდა უსახელო სიკე-
დილი.

გადავრჩით.

როგორც ჩანს, ჩვენმა მოხერხებულობამ გასჭრა, ვერ გვიპოვეს გერ-
მანელმა ძაღლებმა. ალბათ იმ მკვდრებად ჩავგვთვალეს, რომლებმაც თა-
ვიანთი სიკვდილის შემდეგაც ესოდენი ძმობა და სამსახური გაგვიწიეს, სა-
შუალება მოგვცეს, შური გვეძია მათი სიკვდილისათვის.

დაღამდა. აქ დარჩენა არ შეიძლებოდა. მთელი ღლეღამის მშვი-
რებს კუჭი მოსვენებას აღარ გვაძლევდა. ხახა გაგვიშრა და უწყლობით
ტუჩები დიდი ხნის ნაგვალავ მიწასავით დაგვეშუშხა და დაგვისკდა. რაღაც
უნდა გვეღონა, მეტის მოთმენა აღარ შეგვეძლო.

— მშია, ბიჭო, მშია! — გავაგრძელე ბოლო სიტყვა და მამუდს მივუ-
ბრუნდი. იგი ჩაჯდა, ხელი მაღლა აიშვირა, თითები გაშალა და დაიწყო:

— ამან თქვა მშიაო, ამან თქვა, რომ არ გვაქვს, რა ვჭამოთო, ამან
თქვა ღმერთი მოგვცემსო, ამან თქვა, რომ არ მოგვცესო?...

— აი, ამან თქვა მოვიპაროთო. — დავუმატე მე და მამუდს მარჯვენა
ხელის ნეკი ვაჩვენე.

— ჰო, მეტი რა გზა გვაქვს, უნდა მოვიპაროთ! — მითხრა მამულმა და თვალი ჩამიკრა.

— მოვიპაროთ, მაგრამ რა? როგორ და რანაირად? ეჰ, სადაა ახლა ჩემი ზაიცევი? ხელად გამოაძვრენდა რაიმე სასუსნავს. — ვინატრე „ხელ-მარჯვე“ ზაიცევი, რომელიც ჩვენს შორის უკვე აღარ იყო.

— ზაიცევი აღარ არის. ჩვენ წავიდეთ, რაც შეგვხვდება ის მოვიპაროთ, პასუხი კი ამ წყეულმა ომმა აგოს. ღმერთმა იცოდეს, რომ ჩვენ ქურდები არა ვართ.

მიწიდან ფეხები და წელი ძლივს ავითრით, წავედით. მივდივართ დიდი სიფრთხილით, ერთი წინ, მეორე კი ღამის სიბნელეში თვალის საწივ-რზე დაშორებით. მალე ბადრი მთვარე ტყის კენწეროებს ასცილდა და არე-მარე ხელისგულივით გადაანათა. ახლა უფრო მეტი სიფრთხილე გვჭირდებოდა, რომ სადმე ჩასაფრებულ მტერს ზედ არ მივადგეთ. ვიარეთ, ვიარეთ და პირველი რაც წინ შეგვხვდა ეს იყო მინდორში ჩვენსავით გზააბნეული ძროხა. ალბათ ნახირს ჩამორჩა და გერმანელებმა ვერ იპოვეს.

— ეჰ, ჩვენი ბედი!..

აბა, ძროხა რად გვინდოდა, დაგვეკლა? რით? რუსული ხიშტით ძროხა არ დაიკვლება, რომც დაგვეკლა ჩვენ ხომ ჩინგისხანის ან ბათო ყაენის მონღოლები არ ვიყავით, რომ უმი ხორცი გვეჭამა. მოგვეხარმა?

რით?

ჭურჭელიც არ გექონდა, მერე ძროხა ცოდვა არ იყო, ერთი კილოგრამი ხორცისათვის სიცოცხლეს რომ გამოგვესალმებოდა? ჩვენ ხომ ჯერ კიდევ გულჩვილი ბიჭები ვიყავით. შეგვეცოდა საწყალი ძროხა. მერედა როგორი ნაღვლიანი თვლებით შემოგვცქეროდა. რაი მერე, რომ ის უენო ძროხა იყო, მას სადღაც ხომ ხბო ყავდა? მაშასადამე ის დედა იყო...

სხვა გზა არ იყო, გვშიოდა. გადავწყვიტეთ მოგვეწველა...

— გუგული!

— გისმენ.

— რა ვქნათ ახლა ჩვენ?

— უნდა მოვამოცოთ. იცი რას ქვია მომოცება?

— ბიჭო, ნუ მომკალი, ვინ ოხერს მოვამოცო ახლა აი?

— ვის და თვითონ უნდა მოლეჭო, აი ასე, — ხელის ცერი პირში ჩავიდე და წუწნა დავუწყე. მამულს გაეცინა.

— მოვლეჭო, რავა, ხბო ვარ თუ?

— არა, მოზვერი.

— კაი ერთი, თუ ღმერთი გწამს, გთხოვ ნუ მაწვალე. ეს ოხერი კუჭი ისედაც კისერში ამომდის, ღღეს გერმანელებს ძლივს გადავურჩი, ახლა ამ სამგლეს აკვლიებ ჩემს თავს! რას ეტყვი მერე დედას, სახლში რომ მიხვალ?

— არაფერსაც არ მოგკლავს. აბა, შენ დამიჭირე, აი, ასე. — ვაჩვენე

მამუდს, თუ როგორ გაეჩერებინა ძროხა. ცალი მუხლით ჩავიჩოქე, ძროხის ძუძუს ერთი ცერი პირში ჩავიდე და ღვინის გადმოსაღებ რეზინის მილი-
ვით მოვქაჩე.

მამუდს სიცილი აუტყდა.

— დამცინი ხომ?

— არა, არა, — იუარა ხელად.

— აბა ახლა მე დაგიჭერ და მარცხენა მხრიდან შენ მოწოვე. ვნახოთ, ერთი რა ხბოც ხარ.

— ოჰო!

— ოჰო არ უნდა მაგას, აბა, ჩქარა, თორემ... — რა გზა ჰქონდა, იკადრა უკადრებელი, ძროხას პატარა ბოჩოლასავით შეუჯდა და ძუძუ პირით მოქაჩა. რძე სასულეში გადაცდა და ხველება აუვარდა.

— მასე არა, ბიჭო.

— აბა, როგორ? — სული ძლივს ამოიტყვა.

— როგორ და ხბოსთვის ხომ გიყურებია? ცხვირპირით უნდა უჯიქო, მაგას ძუძუს შეთელვა ქვია ჩვენში.

— ეჰ, არ გაყავდე ასე გამოჭერილი, მე შენ შეგთელავ რომ უნდა ისე. მამასხრებ ხომ?

— როგორ გეკადრება. აი, ახლა მე მიყურე. — დავამშვიდე მამუდი და ძროხის მოსაწველად მოვემზადე. კიდეც კარგი, რომ მთლად ქალაქელი ბიჭი არ ვიყავი. ბევრჯერ მენახა დედაჩემი როგორ წველიდა ძროხას. მამუდს ძროხა რქებით დავაჭერიანე. ჩავცუცქდი. ოფლიან-მტვერიანი მუზარადი მუხლებს შუა მოვიქციე და ძროხის ძუძუს ცერები მჯიღებით მაგრად მოვქაჩე. ჩხრ... ჩხრ... აჩხრიალდა ფოლადის მუზარადის ფსკერზე ქათქათა სითხე. მალე თავზე ქაფი მოიყენა. ვიწყე პავლოვის ძაღლივით ნერწყვის გამუდმებული ყლაპვა. მამუდს მოუთმენლობა უფრო და უფრო დაეტყო, ისიც აწრიალდა.

— ჰე, ბიჭო მალე, მალე! — ხშირხშირად მაჩქარებს. ეტყობა, ნერწყვით მასაც აევსო პირი. როგორც იქნა, ცდუნებას გავუძელი, სანამ მუზარადი რძით პირამდე არ გავავსე, არ მოვეშვი.

ჰა, გაივსო მეთქი ვთქვი და მამუდმაც ძროხის რქებს ხელი უშვა, ტაში შემოჰკრა და მე მომიბრუნდა. მე კი ველარ მოვასწარი, მუზარადისათვის ორთავე ხელი წამევლო და უკან დამეხია, ჩექმის ქუსლი რაღაცას წამოვდე და... ეჰ, წავიფორხილე. რძიანი მუზარადი ხელიდან გამიცურდა, მწვანე მოლზე უხმოდ გაგორდა და თეთრი ტბორი დააყენა. სიმწრისაგან სული ყელში მომეხინა, თანაც მეცინებოდა და თანაც მეტირებოდა. ძროხას რას ვერჩოდი, ერთი კი დაწირებული გინება ჰიტლერს გავუგზავნე და ცარიელ მუზარადს უენოდ დავწვდი. მამუდი გაშეშებული იდგა, მე შემომძქეროდა, თაფლისფერ თვალებში ნამი ჩადგომოდა და ნაღვლიანად იღიმებოდა.

— მე გულზე ვსკდები, ბიჭო, შენ რა ყველის ვაჭარივით იღრიჭები! მამუდს გაეცინა.

— რა გაცინებს, ხომ არაფერი მოგელანდა?

— არაფერი. ისე ჩემდა უნებურად გამეცინა. „ნარინჯინის ველი“ ხომ გახსოვს?

— კი! — მივახალე გაბრაზებულმა.

— ჰოდა, კოსტაია მომაგონდა, ის გაჭირვებული შენსავით იპარავდა რძეს...

კვლავ დავიჭირეთ, მოვეფერეთ, შევეხვეწეთ, სამადლოდ ერთი მუზარადი რძე კიდევ მოეცა. მოგვცა (რისთვისაც ახლაც, ამდენი ხნის შემდეგ დიდი მადლობით ვიხსენებ მას და მის კეთილშობილ შთამომავლობას).

მალა ჭამაში მოდისო, ხომ გაგიგონიათ. ჰოდა ჩვენ ჭამამდიც მაგარი მალა გვქონდა. ვერ ამოგვივსო მარტო რძემ გამგელებული მუცელი.

— ეჰ, სადაა ახლა ერთი ნენეს გამომცხვარი ნაცრიანი კვერი, რას ჩავფუნჩავ ამ უღუღარ რძეში და გავსისინდები, — ინატრა მამუდმა და ტუჩები მოილოკა.

— აბღალი ხარ შენ.

— რატომ.

— ახლა, აქ ნენას გამომცხვარი ნაცრიანი კვერი მქონდეს, თორემ რძეში სულაც არ ჩავფუნჩავ.

— აბა! — გაიკვირვა მეგობარმა.

— უბეში ჩავიდებ, ბიჭო, და სანამ ცოცხალი ვიქნები მთელ ფრონტს შემოვატარებ. ხანდახან ამოვიღებ, ვაკოცებ, ვაკოცებ და სულ მაძლარი ვიქნები.

მამუდს თვალები ჩაეცრემლა.

როგორც კი ცოტათი დაენაყრდით და სული მოვითქვით, წამოვდექით. უკვე ძილის დროც აღარ გვქონდა. ვარსკვლავებით მოჭედილ კამკამა ცაზე დიდი დათვის თანავარსკვლავედი მოვნახეთ. მხარეები კარგად გავარკვეით, გზას დავადექით და საუბარი გავაბით.

— მაშ ასე, გერმანელები მოდიან და მოდიან, ნეტავ სანამ ივლიან ასე დაუსჯელად?

— მანამ ვიდრე ცხვირს არ მოუნგრევენ და კაიზერთან არ გაგზავნიან..

— სადაა, ბიჭო კაიზერი?

— ბაბუაჩემის მამასთან, გასაგებია?

— გასაგებია.

— აქ სადღაც ახლოს სოფელი უნდა იყოს, მეტი სიფრთხილე გემართებს.

— როგორ მიხვდი, რომ სოფელია?

— მჭვარტილის სუნი მცემს.

ასე ნელი საუბრით, ჩვენდა იღბლად ერთი სოფლის განაპირას გრძე-

ლი თოკით დაჩაირებულ ცხენს წავაწყდით. იგი ძოვდა და დროდადრო ჯიშვით ფრუტუნებდა, რითაც თავი გასცა.

— აა, ცხენი!.. ვისია ნეტავ ეს უპატრონო? — მკითხა გახარებულმა მამულმა.

— ალბათ ჯაგლაგია და ჯარში არ გაიწვიეს, თორემ აქ ვინ დაუტოვებდა გერმანელებს სახედნად და საწვალეზლად.

— ჯაგლაგი კი არა ბედაურია, ბიჭო, ვერა ხედავ ამ ცეცხლივით თვლებს როგორ კაჟავს. ცხენი კი არა ნამდვილი რაშია, რაში.

— რაც არ უნდა იყოს ღეზერტირია მაგი. რა ეკადრება ახლა მაგას? ქვეყანა იქცევა და მაგი არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს მის გადაჩენაში.

— წავიყვანოთ და საველე სასამართლოს გადავცეთ, არა?

— არავითარი სასამართლო! ვბრძანებ: დღეისამიერიდან ცხენი სახელად (სახელი იქვე შევუტრიეთ) „შევარდენი“ ჩაირიცხოს სავალდებულო სამხედრო სამსახურში და მოსავლელად გადაეცეს რიგით წითელარმბელ მამულ ხახუტაიშვილს.

ბრძანება იმ წამსვე შესრულდა. „შევარდენი“ ავხსენით, მომადლო ჯირკთან მივიყვანეთ, მოვეფერეთ, უდროოდ შეწუხებისათვის ბოდიშიც მოვუხადეთ და ავმხედრდით. მე წინ, მამული ჩემს უკან შემოჰდა და კრინით შემოსძახა:

„აჲუ, აჲუ ცხენო!
მგელის დასაჰმელო,
უნაგირი ვერ ვიშოვე,
როგორ გაგაჰენო“.

— მოიცა, მამულ, ასე არ ივარგებს.

— აბა, როგორ?

— ჩვენ ხომ ირგვლივი თავდაცვა გვჭირდება, ასე კი შესაძლოა უკნიდან წამოგვეპარონ და...

— მაშ, როგორ მოვიქცეთ?

— აი, როგორ: (შევეცადე მხიარულება შემეტანა ჩვენს საბრძოლო მოგზაურობაში). შენ შებრუნდი, ე. ი. პირი კულისკენ ჰქენი, მე წინ დავიჭერ თადარიგს. ფიქრი ნუ გაქვს, მტერი ვერ დაგვასწრებს. — მამულს სიცილი აუვარდა, დიდხანს ცაბცახებდა მისი განიერი ბეჭები.

— რას ამბობ, ბიჭო, ვინმემ რომ დაგვინახოს!

— ღმერთმა ნუ ქნას, ცოლს არ მოგცემენ. ჰაუ, უცოლოდ დარჩები, აჲუ ცხენო!.. აია შენი ბედაური? ნახე იქნებ ნიშადური გაქვს, თორემ დავიღუპეთ.

— ნიშადური მქონდეს თორემ მე თვითონ...

— წინ! — უბრძანა „შევარდენს“

- ე, ბიჭო გადაუთარგმნე, თორემ არ მიდის ეს ოხერი.
- ვპერიოდ! — კვლავ უბრძანა და რაც ძალი ჰქონდა ფერდებში ფეხის ქუსლები უთავაზა. შევარდენი უხალისოდ დაიძრა ადგილიდან.
- რავა მიჩაქჩაქებს ეს უპატრონო!
- მაგას ფიცი თუ არ მივაღებინეთ, სადმე გვიღალატებს.
- არავითარი ღალატი.
- მოღალატეს ტყვია შუბლში. წინ, წინ, ჩვენო „შევარდენო“! — ერ-
თხელ მეც შევუტეე „შევარდენს“ და ქუსლი ვკარი. მეტი რა გზა ჰქონ-
და, აძუნძულდა და მანამ გვატარა სანამ კარგა მაგრად არ დავიშავეთ
ერთი ადგილი და ვაი დედა არ ვიძახეთ.
- ბიჭო, ხახუტავ, ახლა ნამდვილად წახდა ჰიტლერის საქმე.
- რას ატყობ?
- როგორ თუ რას ვატყობ? გარემოცვაში გვყავს მომწყვდეული.
- როგორ, საიდან! — გაიკვირვა მამუდმა.
- მათემატიკოსი კაცი ხარ და მაგას ვერ მიხვდი შენით?
- რას ბიჭო!
- აი, რას. ჩვენები ხომ ახლა გერმანელების წინ არიან?
- არიან.
- ე. ი. მათ ხომ ფეხდაფეხ გერმანელები მიჰყვებათ?
- ჰო, მიჰყვებათ.
- გერმანელების უკან ხომ ჩვენ ვართ?
- ვინ ჩვენ!
- აი, მე და შენ.
- ჰო.
- ე. ი. გერმანელები ორ ცეცხლს შუა გვყავს გამოჭერილი. აჩუ,
„შევარდენო“. ვპერიოდ, შე სამგლე!
- გენიოსი ხარ, ჩემო ძმაო, გენიოსი. — უკანასკნელი სიტყვა „გენიო-
სი“ მამუდმა გაგრძელებით წარმოსთქვა და „შევარდენს“ ქუსლებით
შეუტია.
- მთელი ღამე ვიარეთ. ირიჟრაჟა. წინ პატარა სოფელი გამოჩნდა.
- მამუდ.
- გისმენ.
- აი, ჩვენს წინ სოფელია.
- მერე?
- დროა დავქვეითდეთ. იქნებ იქ გერმანელებია. სიფრთხილეს
თავი არ სტკივა.
- ამ ნაძვზე ასვლა შეგიძლია? — მკითხა და გაშოტილ ნაძვს
ქვემოდან ახედა.
- კი მაგრამ, ნაძვზე რა ჯანდაბა მინდა!
- კაკალს ხომ ვერ დებერტყავ ნაძვიდან? აძვრები და თვალყურს

ადევნებ სოფელს. ვინ გავა, ვინ შემოვა. ჩვენებს გერმანელებიდან ხომ გაანსხვავებ, მეტი არაფერი.

— ოჰო, რა მაღალია ეს წყეული. ნეტავ რამ გაზარდა ამისიგრძე? რა აცოცდება ახლა ამაზე? ხომ ხედავ ტოტები მარტო კენწეროში აქვს. იქამდე მთელი კილომეტრია... იქედან კი წუთიც არ დაგვირდება კაცს, რომ საიქიოში ამოჰყო თავი... მოიტა ღურბინდი!..

— ასეა თუ ისე ერთ-ერთი უნდა ავიდეთ.

— ასვლით კი ავალ, მარა?..

— რა მარა?

— არაფერი. აბა, მიჭოპიტე. — მამული ხეს მიეყრდნო და მხრით შემიღვა. როგორც იქნა ავჭოპე და ნაძვს კენწეროში მოვექეცი. მამულს ქვემოდან გული არ უთმენს და ხმადაბლა ხშირ-ხშირად ამომძახის:

— ხედავ რამეს?

— კი, კი.

— აბა, რას?

— ეგერ, იმ ეზოში შენი დიდი ნენე დაბაჯბაჯებს.

— მე შენ მოგცემ დიდ ნენეს, სკვინჩასავით ჩამოგაგდებ მაქედან!

— კაი, ახლა შენც გერმანელი ნუ გახდები, მოიტა სული მოვითქვა.

— აბა მისმინე. აი, სოფლის შესასვლელში, მარჯვენა მხარეს, რომ ლერწმით დახურული, ცისფერი სახლია, ერთი ლამაზი გოგო გამოგვანგვალდა და ჭასთან მივიდა. ხელში ვედრო უჭირავს. ო, ჰო, ჰო, რა გოგოა, მჰუ!.. ჭაში ჩაიხედა, თმები შეისწორა, ალბათ თავისი თავი დაინახა და თმის ვარცხნილობა არ მოეწონა. აი, წყალი ამოიღო და კვლავ იმ სახლს მიაშურა.

— მერე?

— მერე არ ჩანს.

— მაგი გასწავლეს ორ წელიწადს ჯარში? ასე უნდა მოხსენება?

— ეხედავ, სახლიდან კვლავ ის გოგო გამოვიდა, მას ჯარისკაცი გამოჰყვა, წითელარმიელი.

— რა იცი, წითელარმიელია?..

— სიფათში ეტყობა. ჯარისკაცი რაღაცას ეხვეწება.

— რას?

— მაგი არ ვიცი.

— ჩამოდი.

— არის ჩამოვიდე. ვა, როგორ ჩამოვიდე?

— როგორც ადი ისე.

როგორც იქნა ჩამოვედი. ჩექმები ჩავიცვი და მამულს მივუბრუნდი.

— საქმე კარგად არის, მეგობარო, სოფელში ჩვენებია. წავიდეთ, შევეუბრთდეთ.

— ცხენით? — იკითხა მამულმა.

— არა, ფეხით, ცხენი ხელით წავიყვანოთ, სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

სოფელს ფრთხილად მივუახლოვდით. აქა-იქ გუშაგები შევნიშნეთ. სამაგიეროდ მათ ვერ შეგვნიშნეს, სანამ ზედ არ მივაღდექით.

ჩვენი თავი ჩვენ თითონ გავეცით, გუშაგებს შორიდან დავუძახეთ და ყურები დავაცქვეტინეთ. იქ მართლაც ჩვენები აღმოჩნდნენ. დიდი სიხარულით მიგვიღეს. სახელდახელოდ ოცეული შევადგინეთ და ახლა უფრო გაბედულად წავიწიეთ წინ, თუმცა, წინ კი არა, უკან აღმოსავლეთისაკენ. მოვდიოდით მტრის პარალელურად. გზადაგზა გვემატებოდნენ და გვემატებოდნენ უკან დახეული უტანკო ტანკისტები და უზარბაზნო არტილერიისტები, მფრინავები, მესანგრეები, ქვეითები და დაქვეითებული კავალერიისტები, ჩანთებიანი და უჩანთო სანიტრები, თოფიანი და უთოფო ვაჟაკები. ნათქვამია, ზღვა წვეთებმა შეადგინესო და ჩვენც ასე წვეთწვეთად ავზღვავდით.

შუადღისას მზვერალებმა გაცნობეს, ჩვენს წინ სოფელში უკვე გერმანელებიაო. ატყდა ერთი ფაცი-ფუცი, კამანდრობა. დავნაწილდით კოლონებად. გადავწყვიტეთ სოფელზე ორი მხრიდან იერიშის მიტანა. ალბათ ჩვენს სარდლობას უკვე ჰქონდა ამ უბანზე ჩვენი არსებობის შესახებ ცნობა. დავასწორეს და კონტრშეტევა წამოიწყეს. მტერს მოულოდნელად ცეცხლის ურავანი დაუშინეს. თავის ძირითად ნაწილებს მოწყვეტილი, წინსვლით გათამამებული მტერი კონტრშეტევას არ ელოდა, მაგრამ მაშინვე იწყო შემხვედრი ბრძოლისათვის გაშლა. ჩვენც ვისარგებლეთ შექმნილი მდგომარეობით და მტერს ზურგიდან დავარტყით. მტერი დაიბნა. იგი მართლაც, ორ ცეცხლშუა მოემწყვდა. იწყო ძალების სასწრაფოდ გადაჯგუფება.

ფრონტის ეს მცირე უბანი ერთ წუთში მდუღარე ქვაბად გადაიქცა. ყველაფერი ერთმანეთში აირია და აიზილა. მალე ცას „იუნკერსებიც“ ჩამოეკიდნენ. აკვნესდნენ დაჭრილები.

ცოტა მიწყნარდა თუ არა სროლა, წინ! — დასცა ყიჟინა ჩვენმა მეთაურმა. მაშინვე ადგილს მოვწყდით, ბათქითა და ვაშას ძახილით ვეკვეთეთ გერმანელებს. პირველი დამხვდურები ხიშტებზე რომ ავაგეთ და ზურგს უკან გადავიქნით, დანარჩენები შედრკენ და აქა-იქ გზა გვიტოეს. აი, ჩვენს შესახვედრად მალე ჩვენებიც გამოჩნდნენ. კვლავ გაისმა გაბმული ვაშა.

— მომყევით! — დაიძახა მამუდმა და წინ გაიჭრა ჩვენების შესახვედრად. მე უკან მივეყვი.

აი, პატარა ბორცვთან, საფარიდან გერმანელმა წამოჰყო თავი გვერდით, სულ რამდენიმე ნაბიჯზე წინ გასულ მამუდს მოჰკრა თვალი. წამსვე მისკენ შებრუნდა, ცალ ფეხზე ჩაიჩოქა და გაქცეულს თოფი დაუმიზნა. მამუდს ალბათ გულმა უგრძნო, ან გერმანელს თვალი მოჰკრა. ბალა-

ხეებში წაიქცა და დაღმართზე დაკოტრიალდა. გერმანელმა თოფი ესრო-
ლა, მაგრამ ააცდინა. ახლა სცადა წაქცეული ამოედო მიზანში, კისერი
წაიგრძელა, თოფი კვლავ შემართა, მაგრამ მე დავასწარი. ჭახ! დაიგრა-
ლა ჩემმა შაშხანამ და გერმანელი მთელი სიმაღლით წამოიძმართა, ჰაერში
შეხტა, ხელები მძლავრად დაიქნია, რაღაც გერმანულად დაიძახა და მი-
წას მოჭრილი ბოძით დაენარცხა.

მამული მტრის მეტყვიამფრქვევეს ზურგიდან წაეპარა და ხელყუმ-
ბარა სტყორცნა ერთი, მეორე..

ჩემს ახლოს ყუმბარა აფეთქდა და შავ კვამლში გამხვია. რამდენიმე
ნაბიჯზე გავირობინე, თოფი ხელიდან გამივარდა, წავბარბაცდი და მიწაზე
უღონოდ დავეცი. — ვაი, დედა! — მომწყდა მოკუმულ ტუჩებზე. მოლ-
ზე გადავტრიალდ-გადმოვტრიალდი. თავს ძალა დავატანე, მარჯვენა
ხელს დავეყრდენი, ცოტა წამოვიწიე, მარცხენა აღვმართე და უღონოდ,
მაგრამ ძალზე გაბმით დავიძახე — მამულ!.. მამულ! — მამული შედგა.
მიიხედ-მოიხედა... ღრმად ჩავისუნთქე, საშინელი ტკივილები ვიგრძენი.
ახლა კიდევ უფრო ვიძალე და კვლავ გაბმით გავძახე — მამულ!.. მამულ!
დავინახე თუ როგორ შემობრუნდა, ჩემი სახელი დაიძახა, დაიძახა კი არა
იბღავლა და ჩემკენ გამოქანდა. თავბრუ დამესხა, მარჯვენამ ველარ მზი-
და, გამომეშალა და სისხლით მოთხვრილ მოლზე პირქვე დავეცი. მამული
მომვარდა, ყურში ხარივით ჩამბღავლა, გადმომაბრუნა. სახეზე მისი
ცრემლები დამეცა.

ჩემი გამხნევების მაგივრად ბავშვივით ზლუქუნებს, ბიჭო, რა მოგი-
ვიდაო, ჩამძახის. მე ის პირველად ვნახე ატირებული. შემეპრალა და
შევეუტიე.

— მე სიკვდილს არ ვაპირებ, ჯერ ცოლი უნდა მოვიყვანო... — მინ-
დოდა მეხუმრა, არ გამომივიდა და შევეხვეწე — გაჩუმდი, ჩემო მა-
მულ. მე ტირილი არ მიყვარს. აი, ხედავ, არ ვტირი. შენ რა გატირებს,
ბიჭო!.. შენ არ ამბობდი, რომ ომში ყველაფერია მოსალოდნელიო, გა-
მარჯვება უმსხვერპლოდ არ იქნებაო. ამბობდი, ჰო, და აი, გახედე ამ პა-
ტარა ბრძოლის ველს, რაღაც ოც წუთში რამდენის სისხლით მოირწყო.
ამ სისხლმა პატარა, მაგრამ მაინც გამარჯვება მოიტანა... ვინ თქვა, ბი-
ჭო, დედამიწა ბრუნავს?

— რად გინდა? ჯორდანო ბრუნომ.

— ჰოდა ის ჯორდანო ბრუნო სწორი ყოფილა, ახლა ყველაფერი
ბრუნავს; ხეც, მიწაც, ცაც, შენც. თვალებზე ხელი დამაფარე, იქნებ გაჩე-
რდეს. აი, ასე.. არა, არა, მაინც ბრუნავს, მაინც ბრუნავს, ყველაფერი
ისევ ბრუნავს, ბრუნავს...

— მოითმინე, აბა, ჭრილობა სად გაქვს, შეგიხვით.

— არ გინდა. შენ ახლა წადი, გამარჯვებით იარე. მე კი...

— ნუ სულელობ, მე უშენოდ არსადაც არ წავალ. აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი, გესმის, ფეხსაც არ მოვიცვლი!

— შაშხანის საფაზნეში ტყვიები ჩამიწყვე და წადი, წადი!.. ეჰ, ვინ იცის, ვინ იცის, ბიჭო!.. აბა, ახლა შენ არ გაგავიწყდეს ჩემი სოფელი აცანა, დედაჩემი ოღლა. მიხვალ და ყველაფერს ეტყვი, ყველაფერს...

— შენ სასიკვდილო არაფერი გჭირს, თვითონ მიხვალ და ყველაფერს თვითონვე ეტყვი. ჩვენები ახლოს არიან.

ხალათი და პერანგი ფრთხილად გამხდა. უბე სისხლით მქონდა ავსილი. მარცხენა ბეჭს ქვემოთ თბილი სისხლი გადმომდიოდა და მთელ ზურგზე მეღვრებოდა. მამუდმა საველე პაეკტი კბილებით გახსნა და ნახვევი მაგრად შემომიჭირა. წამომაყენა. იმდენი სისხლი დაეკარგე, ფეხზე დადგომა ვეღარ შევიძელი. მამუდმა მხარზე ხურჯინივით გადამიდო, შაშხანა ბერიკაცის ჯოხივით დაიბიჯა და არც კი ვიცი ასე სანამ და რამდენ ხანს მატარა.

თვალი რომ გავახილე, ფორანზე ვიწექი, ფორანში „შევარდენი“ შეეხატ. ყველაფერი ისევ ძველებურად ბრუნავდა.

სიცხით გათანგულს პირი გამიშრა. წყალი მოვითხოვე. პასუხი არავინ გამცა. მამუდს ვუხმე. ვილაცამ ჩაილაპარაკა ბოდავსო. მამუდი არსად ჩანდა.

შემდეგ რკინიგზის ვაგონში გამომეღვიძა. მამუდი არც აქ იყო.

ჰოსპიტალში გავახილე თვალები. თავზე თეთრხალათიანები მადგნენ. წამოწვეა ვცადე, არ დამანებეს. თურმე საოპერაციო მაგიდაზე ვწევარ. ჩემს გვერდით, თვალებექრიალა ქერათმიანი გოგონა წევს და ალერსიანად მიღიმის. ნეტავ ვინ არის, ან რას მელიმება? თვალები დავხუჭე და კვლავ ფიქრებმა წამიღეს. იქნებ მეჩვენება? არა, ის გოგონა კვლავ ჩემს გვერდით წევს, კვლავ მიღიმის. ეს რაღაა, ჩვენ რაღაც რეზინის მილებით ვართ ერთმანეთზე გადაბმული. ჰო, მივხვდი, მივხვდი. მე ხომ დაჭრილი ვარ? ის გოგონა დონორია.

ის მე არ მიცნობს, მაშ რად ვებრალები? ნუთუ კარგი ბიჭი ვარ... ვეცოდები ალბათ. მინდა წამოვდგე, მოვეხვით იმ თვალუუუნა ქერათმიან გოგონას, ვაკოცო, გულში ჩავიკრა. ის ხომ ამიერიდან ჩემი დაა, სისხლით ნათესავი. ჩემს ძარღვებში ახლა მისი სისხლი ჩქეფს. მე ყველაფერი მინდა გავაკეთო მისთვის, ადამიანური, კაცური. მამუდს მივათხოვ... არა, მამუდს ხომ საცოლე ყავს. ჩემს მისამართს მივცემ, დედასთან გავგზავნი. იქ დაისვენებს, დაკარგულ სისხლს უცბად აღიდგენს.

მე უმადური როდი ვარ, მაგრამ ეს ოხერი თავბრუსხვევა... ქვეყანა კვლავ
ბრუნავს, ნუთუ მართლა ბრუნავს, თუ მე მეჩვენება.

აი, უკვე საკაცზე ვწევარ, სადღაც მივყავართ, ნეტავ სად? კვლავ
ვაგონში. ნეტავ სადაა ის გოგონა. არსად ჩანს.

* * *

ომი რომ დამთავრდა, პირველად მამული მოვიკითხე. მითხრეს, უგზო-
უკვლოდ დაიკარგაო. ჭირის ოფლმა დამასხა. დიდხანს ველოდი, რამდენ-
ჯერმე დავაპირე ალამბარში ასვლა, დეიდა აიშეს ნახვა, მაგრამ ძალა არ
მეყო. ძველი იარა ახლაც არ მასვენებს... სულ თვალწინ მიდგას ჩემი მა-
მული.. ჩემი ხახუტა...



რიწა - ზღვა - რიწა

სხვა რა ერქმევა ამ ახირებას,
თუ არა ქროლვა —
რიწა-ზღვა-რიწა,
რა საჭიროა გაჯახირება,
რომ ამ უსაზღვრო მიწას
ზღვარიც აქვს.
ცრემლი სდიოდათ ნისლებს, სევდიანს,
თორემ... რა უნდა სევდას რიწაზე,
მთები, ირწმუნებ, ისე გეტყვიან —
სხვა დაბა არ არის დედამიწაზე,
ისე აფრინდნენ იქ თოლიები,
სულით აზიდეს ზღვის სიწალკოტე.
ფეხზე წამოდგნენ თითქოს იები
და ფრთით გედებმა ნისლიც დაკიდეს.
მაგრამ უსაზღვროდ ფრენად მოცლილებს
ტბამ ვერ გაუძლო თვალი თოლიებს.
გამოეთხოვეს ღამით რიწის მთებს
და... მასპინძლებიც გაიყოლიეს.





აღმოსავლური სამსახური

სკოლის გახსენება

ახალგაზრდობა რომ გაგიფრინდება, კაცს თანდათან ყველაფერი გავიწყდება: წერილების წერა, ვალის გადახდა, ღვინის სმა. ზოგჯერ სკოლაში რომ სწავლობდი, არც ის გახსოვს. მერე შემთხვევით ძველ ფოტოსურათს ნახავ და გულზე ხელს დაირტყამ, თურმე რა ბიჭი ვყოფილვარო!

ერთი ასეთი ფოტოსურათი ახლა ჩემს მაგიდაზე დევს და ოცი წლის წინანდელ ბედნიერ დღეს მახსენებს.

ატესტატები რომ დაგვირიგეს, ეს სურათიც მაშინ გადავიღეთ. ფართოტოტიანი შარვლები და წელში გამოყვანილი კიტელები იმ დროს მოდაში იყო და ჩვენც იმიტომ გამოვეწყვეთ ასე საგანგებოდ.

კახი სალდაძის ბინა ფოტოგრაფის გვერდით იყო და მთელი ჯგუფი მივადექით კარზე. მამამისს მაინცდამაინც არ შეშინებია, თქვენი საყოფი ღვინო კი მაქვს, ოღონდ ლიმონათის მოტანა დამჭირდებაო.

ჩვენც ეს გვინდოდა, ღვინოზე მეტი უშუშუნა ლიმონათი ვსვით და თავი სამოთხეში წარმოვიდგინეთ: არც გაკვეთილის მომზადებას გვავალებდა ვინმე და არც პაპიროსის მოწევის გვიშლიდა.

ცოტა რომ შევმხიარულდით, ერთმანეთს სიყვარული შევფიცეთ და ქუჩაში გამოვედით.

— ახლა რა ვქნათ? — იკითხა ჩვენს შორის ყველაზე მაღალმა გივი თავბერიძემ.

— ახლა დირექტორს ვეწვიოთ სახლში, — წინადადება წამოაყენა შალვა გოგოძემ.

— შენ ჭკუაზე თუ ხარ? — შეშინდა გივი.

— ჩვენ ახლა თავისუფალი მოქალაქეები ვართ და ღირეპტორის არ გვეშინია. სტუმრებს გარეთ ხომ არ გამოგვავდებს, პირიქით გაუხარდება, — ისე დამაჯერებლად თქვა შალვამ, რომ წყალი არ გაუვიდოდა.

ღირეპტორის სახლამდე მისვლა არ იყო ძნელი, მაგრამ ზარის ღარეკვა გაგვიჭირდა. პანაშვიდზე რომ ხალხი ერთმანეთს ეხვეწება, არა შენ შედი პირველი და არა შენო, ისე მოგვივიდა.

ბოლოს მაინც მე გამწირეს, მეღალი შენ მოგცეს და ექვანიც შენ შეაბიო.

კარი ღირეპტორის მეუღლემ ქეთევანმა გაგვიღო. ქიმიას გვასწავლიდა. ისეთი მომთხოვნი და პრინციპული იყო, რომ მისი სამიანი ხუთიანივით გვიხაროდა. სულ იმის ნატვრაში ვიყავით, ერთი მისი გაკვეთილი გავცდენოდა, მაგრამ ჩვენს ჯიბრზე ერთხელაც არ გამხდარა ავად. სამაგიეროდ ყოველ ორშაბათსა და ხუთშაბათს ჩვენი კლასი ხდებოდა ცუდად.

— შეიძლება, პატივცემულო მასწავლებელო?..

ქეთევანმა რომ ჩვენი დაუწყობელი სახეები შეათვალიერა, ყველაფერს მიხვდა. სხვა დროს ალბათ კინწისკვრით გაგვყრიდა, მაგრამ ახლა სხვა დრო არ იყო და თავისუფალი მოქალაქეები სახლში შეგვიბატოქა.

— შემობრძანდით, კარებში რატომ გაჩერებულხართ?

— ჩვენ პატივცემული გიორგის ნახვა გვინდა...

— პატივცემული გიორგი სახლშია, მისი სახელითაც გეპატიყვებით.

სასადილო ოთახში შეგვიყვანა. ღირეპტორი ტახტზე წამოწოლილი დაგვხვდა. ალბათ, ჩვენი დანახვა გაეხარდა, სწრაფად წამოდგა.

— სალამი, ყმაწვილებო, სალამი, დაბრძანდით.

ჩვენ ფეხზე დადგომა ვამჯობინეთ.

ღირეპტორმა „ყაზბეგის“ კოლოფი გახსნა, მაგრამ შიგ სტადიონის ბილეთის მეტი არაფერი იყო. რეზო მენაბდეს ეს მომენტი არ გამოპარვია. კოსტუმიდან ახალი „ყაზბეგი“ ამოიღო და ღირეპტორს გაუწოდა.

— რაა, ბიჭო, ეს? — წარბი შეიკრა გიორგიმ.

რეზო არ დაიბნა.

— მე არ ვეწევი, პატივცემულო ღირეპტორო, მაგრამ სპეციალურად თქვენთვის წამოვიღე.

რა გაეწყობოდა, გიორგიმ მადლობა გადაუხადა და პაპიროსს მოუკიდა.

— დაამთავრეთ ხომ სკოლა? — ჭერში გააბოლა ღირეპტორმა.

— დიახ, დავამთავრეთ.

— ახლა რას აპირებთ? — შემომხედა მე.

— ახლა უმაღლესში უნდა მოვეწყოთ.

— დიდებული საქმეა... ყველა უმაღლესში შედიხართ?

- ვისაც შეუშვებენ, კი, — თავი დაუქნია შალვამ.
- მაინც ვინ უნდა შეუშვან? — დაინტერესდა გიორგი.
- ვისაც ბევრი ფული ექნება.
- ვინ გითხრა, ბიჭო შენ მაგი?
- მამაჩემმა.

— მე რომ ალგებრაში სამიანი დაგიწერე, რამდენი ფული მომეცი, თუ გახსოვს?... უყურე ერთი, როგორ წახდა ხალხი!

ხალხი არ ვიცი და შალვა ნამდვილად წახდა.

— მე, პატივცემულო, ძალიან ვმეცადინეობ...

— იმეცადინე მერე, ვინ დაგიკარგავს ცოდნას. პირიქით, თუ რაიმე შეგატყვეს, დაგეხმარებიან კიდეც... ასე არა ჩემო კახი — მიუბრუნდა გიორგი ყველაზე უკან მდგომ კახი სალდაძეს, რომელიც ძალიან გაოცდა, ამდენ ხალხში რა მაინცდამაინც მე ამომარჩია და ორი ჩემხელა გივი თავ-ბერიძე ვერ დაინახაო.

— კახი, შენ გეკითხებიან! — არ შეეშვა გიორგი.

— რას მეკითხებით, პატივცემულო?

— რას გეკითხები და ღვინოს თუ მიირთმევ, ჩემო კახი-თქვა...

— ღვინოზე უარს როგორ ვიტყვი, — პირველი თამადა ვარ ჭგუფში — თავი გამოიღო კახიმ.

— ქეთევან, გამოუტანე ბავშვებს ღვინო! — გასძახა დირექტორმა სამხარეულოში გასულ მეუღლეს.

— ღვინო, ჩემო გიორგი, არც შენ გინდა ახლა და არც მაგათ.

— ატესტატები რომ არ ჩამეხმარებინა, იცოცხლე, კი დავუშლიდი, მაგრამ ახლა ამაწევინეს ხელი... რას იტყვით, ბიჭებო, თითო ჭიქით რომ დავილოცოთ, ხომ არ გეწყინებათ?

— თითო ჭიქა შეიძლება, — დაამშვიდა ადრე გაშინაურებულმა რეზო მენაბდემ.

— ავაშენათ ღმერთმა! ნულარ მახვეწნინებთ ახლა, შემოვუსხდეთ მაგიდას.

ქეთევან მასწავლებელმა ჯერ ტკბილეულობა გამოიტანა, მერე ღვინის ჭიქები ჩამოგვირიგა.

— რა არის, ქეთო, ეს? — შეიცხადა გიორგიმ.

— კოლეგიაზე გასვლას ხომ არ აპირებ? — დაინტერესდა ქეთევანი.

— ვითომ კოლეგიის წევრები არ სვამენ ღვინოს!

— თავიანთ მოწაფეებთან?

— პერსონალური სადღეგრძელო რომ არ იყოს, ჯარიმას დაგალოცა-
ნებდით, — გააფრთხილა თამადა.

— მიეცი ამისთანა ხალხს ატესტატი! — გაბრაზდა გიორგი.

— ატესტატს არა უშავს, ჭიქა არ უნდა მიგეცა, — გაიცინა ქეთო
მასწავლებელმა.

— მაინც არ მეწყინება, ქეთევან მასწავლებელო, თქვენ კეთილი
გული გაქვთ.

— ორიანი რომ გამოგაყოლე, მაშინ გეთქვა მაგი.

— მაშინ ჭკუა არ მქონდა.

— არც ახლა გისკდება თავი, — ჩაილაპარაკა რეზო მენაბდემ.

— რა ბრძანეთ?

— რაც გაიგონეთ.

— ჯარიმა!

— კი, ბატონო, — არ შედაგებია რეზო.

— მე თქვენს სადღეგრძელოს ვაგრძელებ, პატივცემულო ქეთევან
და პატივცემულო გიორგი...

— არ გვინდა ამდენი!

— მაშ მოკლედ ვთქვათ?

— ძალიან მოკლედ.

— ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ, იხარეთ და იბედნიერეთ ჩემსა-
ვით პატარა საქართველოს სამსახურში!

გიორგიმ ალტაცებისაგან ხელები გაშალა.

— ავაშენა ღმერთმა, კი ყოფილხარ თამადა!

— თქვენ მაშინ ნახეთ, მეორეს რომ ვიტყვი.

— ჯერ პირველი დაგვაღევიანე.

ასეთ სიტუაციაში ჩვენს მჭევრმეტყველებას აზრი არ ჰქონდა და
ყველამ ერთხმად გამოვცალეთ ჭიქები.

სუფრა მეორე სადღეგრძელოს მოლოდინში იყო.

კახი ისევ ფეხზე წამოდგა.

— ამით აუწონელ პურს და აწონილ სიტყვას გაუმარჯოს!

— როგორ თქვი, როგორ? — წამოიწია გიორგი.

კახი მეშვიდე ცაში ფრინავდა.

— როგორ და აუწონელ პურს და აწონილ სიტყვას გაუმარჯოს-მეთქი!

ღირექტორმა ჯერ თამადა გადაკოცნა, მერე ბლოკნოტი ამოიღო და
სადღეგრძელო ჩაწერა.

— აუწონელი პური და აწონილი სიტყვა... დიდებულია ღმერთმანი!
შენ ნახე, ხვალ ბანკეტზე რომ ვიტყვი ამ სადღეგრძელოს.

კახის გაბადრულ სახეს რომ შეეხედე, ველარ მოვითმინე.

- ეს სიტყვები კახი სალდაძემ კი არა, გიორგი ლეონიძემ თქვა.
ერთბაშად სიჩუმე ჩამოვარდა.
- ახლა არ მითხრა, გიორგი ლეონიძესთან ვიჯექი და იქ მოვისმინეო?
- გამაფრთხილა გიორგიმ.
- არა. წიგნში წავიკითხე.
- ეს სადღეგრძელო წერია მერე წიგნში? — თვალებით გამბურლა კახიმ.
- ერთი გლეხი ნატრულობს, ღმერთო, აუწონელი პური მაჭამეო...
- ინატროს მერე, — ხელი ჩაიქნია გიორგიმ, — ამისთვის უნდა დაახრჩო თამადა?
- შური რომ არ გვლუპავდეს, ქართველები ახლა ოცი მილიონი ვიქნებოდით, — თქვა კახიმ და ორი ჭიქა გადმომიწოდა, — ჯარიმა, დაგვილიე, გენაცვალე!..
- უხმოდ დავცალე და თამადას ამაყად გადავხედე.
- თუ ვაყვაცი ხარ, აწი სულ ორ-ორი ჭიქით დავლიოთ მე და შენ. ჩვენი შეჯიბრება დასაწყისშივე აღკვეთა ქეთო მასწავლებელმა.
- ახლა, ბავშვებო, სახლში წასვლის დროა.
- მხოლოდ ორი ჭიქა, ქეთო მასწავლებელო, — შეეხვეწა კახი.
- არც ერთი ჭიქა! აბა, გიორგი, გააცილე ბავშვები. იცოდეთ, სახლში უნდა წახვიდეთ, ყველას დაგირეკავთ და შეგამოწმებთ.
- ვისაც ტელეფონი არა აქვს? — გაეხარდა რეზო მენაბდეს.
- მაინც შევიტყობ თქვენს ამბავს, — დაგვემუქრა ქეთო მასწავლებელი, — გიორგი რას უყურობ?
- მასპინძელმა ეზომდე მიგვაცილა.
- ძალა აღმართს ხნავსო, ხომ გაგიგონიათ?.. ისე მე ვარ დირექტორი ახლა თუ მაგი?
- თქვენ ხართ და მუდამ იქნებით — დავამშვიდეთ ჩვენ.
- პენსიაში მინდოდა გასვლა და უარი ვთქვა?
- რა დროს პენსიაა, პატივცემულო დირექტორო!
- თქვენ ხშირად გამომიარეთ. ჩემო კახი, ახალ სადღეგრძელოებს რომ გამოიგონებ, მეც შემატყობინე.
- აუცილებლად, პატივცემულო გიორგი.
- აბა კარგად იყავით!
- ნახვამდის!

* * *

ეს ოცი წლის წინათ იყო. დღეს ჩვენს სკოლას სხვა დირექტორი ჰყავს. პატივცემული გიორგი კარგა ხანია პენსიონერებში დომინოს თამა-

შობს. ქეთო მასწავლებელიც შვილიშვილებმა ჩამოაცილეს სკოლას. ძვე-
ლი პედაგოგებიდან თითო-ორიღა დარჩა. ახლები მოვიდნენ. კახი სალდა-
ძეც თავის სკოლაში მასწავლებლობს, გივი თავბერიძე ინჟინერია, რეზო
მენაბდე — დოცენტი. აკადემიკოსი და კოსმონავტი ჯერჯერობით არავინ
გამხდარა და ჩვენს სკოლასაც ჯერ-ჯერობით მემორიალური დაფა არ ამშ-
ვენებს. ვინ იცის, დრო წინაა... უკან მხოლოდ ძველი ფოტოსურათები
რჩება.

მერე ნახავ შემთხვევით ამ სურათს და სკოლაში გატარებული დღე-
ები გაგახსენდება...



* * *

მინდა, რომ ხსოვნა, სათნო მუდამ გულით ვატარო
ამ ღლეებისთვის მკერდდაისრულ უკვდავ გმირების,
ვინც გააოცა ომის ცეცხლში მთელი სამყარო,
ძეგლი აიგო არდავიწყების.

ვინც ჩვენი დიდი მიზანსწრაფვა წმინდად ატარა,
და ვისაც ადრე დაუქვრივდა მაყვლისთვალება,
ვის შვილსაც შვენის
მამასავით მწვანე მაზარა,
და ვის საქმესაც ვერ დაჩრდილავს დროის ცვალება.

ჰეი, გმირებო, ეგ გზა-კვალი, მეც შევიცანი,
რომ არ დაირღვეს ეს სიჩუმე და მყუდრო ძილი,
რა უნდა მჭონდეს,
რა მექნება მე სხვა მიზანი,
დედასამშობლოს დაცვაზე ტკბილი.





ნოღაჲ მოღეაჲჲ

სიძოცხლის საიღუელოჲ

ბერიკაცი მთის ფერდობზე, სოფლის ბოლოში ცხოვრობდა. მას იქით ტყე იყო და სოფლის გზაც ჭიმქართან წყდებოდა. ბერიკაცს უყვარდა ტყე, უყვარდა, როცა მაღალი ხეებისა და შქერის ბუჩქებში ბილიკს მიჰყვებოდა და მყუდროებას არავინ ურღევდა. თუმცა გარშემო ყველაფერი დაბურული იყო, მაგრამ იგი ტყეს აღიქვამდა როგორც უსაზღვრო სივრცეს. ზოგჯერ წიფლის ქვეშ წამოწვებოდა, ხელებს თავქვეშ შემოიწყობდა და ტყის მღუმარებას ყურს მიუგდებდა. მან არ იცოდა, რა იზიდავდა, გარინდებული საათობით რატომ უგდებდა ყურს ტყის მღუმარებას.

— რა ოხრობა გინდა ტყეში, შინ დაეტიე, ბერიკაციო, — შეუჩუქუნებდა ხოლმე ცოლი, მაგრამ იცოდა, ტყეში სიარულს ვერ მოაშლევინებდა და ხელს ჩაიქნევდა, რაც გინდა, ის ჰქენიო.

ეზოს ტყის მხარეს მაღალი დობე ერტყა და ბილიკთან ალაგე იყო დატანებული. ძველისძველი წაბლის ოღა-სახლი ეზოს შუაგულში იდგა, ვეებერთელა ცაცხვის გვერდით. ბერიკაცმა ახალი სახლის აშენება დააპირა, მაგრამ ბიჭებმა არ დაანებეს, ჩვენ აქ ცხოვრებას მაინც არ ვაპირებთ, ვისთვის გინდაო.

— თქვენთვის ვამბობ, — უთხრა ერთხელ უფროს შვილს ბერიკაცმა, — თორემ მე ამ სახლში თავს კარგად ვგრძნობ. კარგი იყო, მამა-პაპათა კერა არ მოგეშალათ. ეჰ, მეც ვიყავი ახალგაზრდა, მაგრამ სახლიდან არ გავქცეულვარ!

— ჰმ! მამაჩემო, მაშინ სხვა დრო იყო!

— ჰო, თქვენ ახლა ძველს დასცინით, ასე გგონიათ, მხოლოდ თქვენ იცით ყველაფერი. ცხოვრებას იოლად უყურებთ.

— ჰა, ჰა, ჰა... მამაჩემო, როგორ ბალღივით მსჯელობ!..

ბერიკაცმა წყენით შეხედა, თავი შეუტაცხყოფილად იგრძნო, ეს როგორ მკადრაო, მაგრამ ნერვულ სახეზე რომ შეხედა. მის თვალეზში ბრევული სიამაყე, თვითდაჯერება რომ ამოიკითხა, არაფერი უთქვამს.

— დიდი სურვილები ჰქონდა საწყალს, — იგონებდა ხოლმე ბერიკაცი, — არ დამიჯერა, თორემ სასიკვდილო რა ჰქონდა.

ბერიკაცს ორი ვაჟი ჰყავდა. უფროსმა ბიჭმა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი დაამთავრა. მამა შორს არ იყურებოდა, დაამთავრებს უნივერსიტეტს და ბიჭი სოფელში დაბრუნდებაო. მაგრამ შალვა ასპირანტურაში მოეწყო, მერე ცოლი შეირთო და მშობლები წლების მანძილზე აღარ უნახავს. მაშინაც სოფელში სამი დღით ჩამოვიდა, მეტი დრო არ მაქვს, მუშაობას თბილისში ვიწყებ, უნდა წავიდეთ.

ამ ხნის მანძილზე ბიჭი სულ მთლად გამოცვლილიყო, თმა შეთხელეზბოდა, თეორიკ გარეოდა საფეთქლებზე, ნერვული ჩანდა. თვალეზს ისე ატრიალებდა, თითქოს საკუთარ სახლშიც მტერი ჰყავდა ჩასაფრებული. მამას არ ესიამოვნა მისი გამომეტყველება, არც ლაპარაკი. თბილისში ვიწყებ მუშაობასო, ეს კი თქვა, მაგრამ სად, არ გაამხილა. მხოლოდ ფიქრიან თვალეზში ეტყობოდა, რალაც დიდი რამ გადაეწყვიტა. მაშინ ბერიკაცმა რძალს ჰკითხა, რას აპირებდსო ბიჭი.

— უნივერსიტეტში, კათედრაზე იწყებს მუშაობას.

— კარგი საქმეა შეიღო, — თქვა ჯავრიანად ბერიკაცმა, — მაგრამ აჩქარება რა საჭიროა, მოვა დრო და ყველას დამსახურების მიხედვით ერგება თავისი.

რძალს არ მოეწონა მამამთილის ეჭვიანი კილო, გულუბრყვილობაში ჩამოართვა, მაგრამ ის კი დასძინა. კარგი მომავალი აქვსო.

— ღმერთმა ქნას! — მხოლოდ ეს თქვა ბერიკაცმა.

უმცროსი ბიჭი თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სწავლობდა მესამე კურსზე. ბერიკაცს ერთი იმედიღა დარჩა, იგი მაინც დაბრუნდებაო სოფელში, თუმცა თავისი გულისტიკივილი არავისთვის არ გაუზიარებდა. დილით აღრე ღგებოდა, ცხელ მჟადს ღრმა თეფშზე დაფშვნიდა. ახალ რძეს დასხამდა, ცოტა მარილს მოაყრიდა და მადიანად შეექცეოდა. როცა საუზმედ ქათმის ხორცი, შაშხი ან მხალი ჰქონდა, ერთ ჭიქა რძეს წყალივით დალევდა. თორმეტ საათამდე ერთხელაც არ წაიმუხლებდა, ხან ბოსტანში ფუსფუსებდა, ხანაც სიმიდის ყანას თოხნიდა. მერე, ვიდრე მზე არ გადაიხრებოდა, ჩრდილში იწვა. სადილად ერთ-ორ ჭიქა ღვინოს აუცილებლად დალევდა ხოლმე. ნასადილევს სამხრობამდე ერთხელ კიდეც წაიმუშავებდა. წელს არ იტკენდა, არც ოფლს გამოიდენდა.

ერთხელ ცოლმა უთხრა, ავეჯი შევიძინოთო. თანაც მოჰყვა: სოფელში ვის ედგა ყველაზე კარგი სერვანტი, მაგიდა, საწოლი. ბერიკაცმა ერთხანს უსმინა, მერე თავი გააქნია, ვნახოთო. არ შეწუხებულა, ფული არ გვყოფნის, სად ვიშოვოთო.

იმ ზამთარს უფროსი ბიჭი ესტუმრა. ბერიკაცი ველარ ცნობდა შვილს, თვალი ლოთივით შემუშებოდა, ლაპარაკს გაუბოდა. მამამ გულისტკივილი რძალს გაანდო. რძალმა მხრები აიჩეჩა, გეჩვენება, თორემ ეს რამ გაფიქრებინა, კაცივით არისო. შალვას უკვე სადოქტორო ზარისხი დაეცვა, ბევრს ლაპარაკობდა, მეტწილად სოფლის თავკაცებთან, თანაც ეტყობოდა, ვიღაცაზე გაბრაზებული იყო და ბოლმა აღრჩობდა. მამამ, როგორც კი დაიმართოხელა, ჰკითხა, ასე ვინ გაგაბრაზაო.

— ცხოვრება ბრძოლაა, მამაჩემო, — უთხრა რიხიანად, — თუ ფხიზლად არ იქნები, გაგთელავენ!

— შენ ასეთი საბრძოლო რა გაქვს, შვილო!

— ჰმ! როგორ თუ რა?! სხვამ რატომ უნდა მაჯობოს. არაფერი არ ესმით და მეცნიერებას კი ეპოტინებიან. მთელი უბედურებაც ეს არის, რაკი მეცნიერებაში არ გაუმართლდათ, თანამდებობით უნდათ განიმტკიცონ ავტორიტეტი. ვიღაც ცრუმეცნიერი ჩაიგდებს თუ არა ხელში თბილ ადგილს, კეტს დაიჭერს და აღარავის ინდობს!

მზემოკიდებული სახე ჩაეთუთქა, ცხვირის ნესტოები დაებერა და თვალეში სისხლი მოაწვა. ბერიკაცი მდუმარედ შეჰყურებდა, მისთვის გაუგებარი იყო შვილის სიტყვები. არა, ეს ბიჭი გადაჰყვება ამ ამბავს, არ ესწავლა, სჯობდა. ასეთი დიდი ინტერესი აღარ აღეძვრებოდა.

— არა, ყველაფრის გულთან მიტანა არ ვარგა, — ამბობდა ბერიკაცი თავისთვის, — რაც გაქვს, იმით უნდა დაკმაყოფილდე, სურვილებმა არ უნდა გაგაგოყოს კაცი!

მას შემდეგ შალვა აღარ უნახავს...

უმცროსმა ბიჭმა ცოლი მოიყვანა და ქალაქში დარჩა. ბერიკაცი შეურიგდა ბედს. პატარა ტახტი ოთახის ერთ კუთხეში ედგა და ზედ ბუმბულის ლეიბი ეგო. შეღამებისთანავე წვებოდა, ცისკრისპირზე ცივი წყლით ხელ-პირს დაიბანდა, თმას კოხტად დაივარცხნიდა და საქმეს მიხედავდა. ას წელს აღარაფერი უკლდა. სოფელში ამბობდნენ, ორას წელს იცოცხლებსო, ისე ჯანსაღად გამოიყურებოდა.

ბერიკაცი პარმალში იჯდა ჯორჯოზე, წალები წაეძრო და ფეხი მორზე შემოეწყო. ცოლი კერას მიჯდომოდა, რძეს ადუღებდა. ჭიშკარს მეზობლის გოგონა მოადგა, ეზოში გადმოიხედა და უკან ვიღაცას მიუბრუნდა. ბერიკაცს გულმა უაზრა, სტუმრები უნდა იყოსო.

— ბაბუა თედო, — გადმოიძახა ეზოში გოგონამ.

ბერიკაცი მაშინვე წამოდგა და, რაკი ჭიშკართან სხვებიც შენიშნა, გასძახა:

— მობრძანდით!

თედომ წალებში ფეხი წადგა, ცოლს უთხრა, ვიღაცები არიანო და ჭიშკრისაკენ გაემართა... გრძელკალთიან ბლუზაზე შემორტყმულ ქამარში მარცხენა ხელის ცერი გაიჩქო, მოკლე ნაბიჯით მიდიოდა, თავი მხნელ ეჭირა, თითქოს არავის არ ებუება, არავის არ უნდა აჩვენოს, რომ მხრებზე ასი წელი ადევსო.

ისინი სამნი იყვნენ. წინ კოლმეურნეობის თავმჯდომარე მოუძღოდა. ბერიკაცი თავაზიანად შეეგება სტუმრებს, ოდნავ ლელავდა. სტუმრები მოურიდებლად ჰვრეტდნენ. შეურაცხყოფილად კი იგრძნო თავი თედომ, ნადირი ხომ არ ვარ, ასე რომ მიუყრებნო.

— ქალაქიდან მეცნიერები არიან, — უთხრა მას კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, — აბა, შენ იცი, სიბერე არ შეგატყონ!

სტუმრებს ჩაელიმათ. ბერიკაცმა სიამაყე იგრძნო, მაგრამ მაინც თქვა:

— ეჰ, სადაა ჩემი ახალგაზრდობა!

თედომ შემდეგ გაიგო, რომ ისინი დღეგრძელი ადამიანების ცხოვრებას სწავლობდნენ. იმ დამეს სუფრა გაიშალა. სტუმრებს შორის ერთი ახალგაზრდა ქალი იყო, ასე 28-30 წლისა. თედომ პირველად ნახა თმაშეღებილი ქალი, მოკლე კაბითა და შიშველი მკლავებით. განაგონი ჰქონდა, ქალაქში ქალები მოკლე კაბას იცვამენო, მაგრამ ასე მაინც ვერ წარმოედგინა: ქალის მკლავებისა და მკერდის სიშისვლემ თვალი მოსჭრა, ეუხერხულა და, როცა ახალგაზრდა ქალი წინ დაუჯდა, შეჭარხლდა. ქალი არ მორიდებია, შეკითხვებს რომ აძლევდა, თვალეში ჩასცქეროდა და, ბერიკაცმა პირი რომ მოარიდა, ხელზე შეეხო, აქეთ მოიხედევო. თითქმის ყველაფერი დაწვრილებით გამოკითხა: რას ჭამდა, დღეში რამდენ საათს მუშაობდა, ეტანებოდა თუ არა ღვინოს, არაყს, თამბაქოს თუ ეწეოდა, გადაუტანია თუ არა რაიმე დაავადება. მერე ცოლი განზე გაიხმო და რაღაც ჰკითხა. თედომ შენიშნა, რომ ცოლს ლოყები აეფაკლა და პასუხი ძლივს გასცა. მერე ახალგაზრდა ქალი აივანზე გავიდა, სკამზე დაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიღო და... თედომ თვალეზე ხელი აიფარა...

უმცროსი ვაჟი უკანასკნელად შემოდგომაზე ესტუმრა. ბიჭმა ის სამი დღე ღვინის სმაში გაატარა. მამამ ისიც შენიშნა, ჩუმ-ჩუმად რძალიც სვამდა ღვინოს. ეს კიდევ არაფერი, მაშინ უნდა გენახა, როცა თედომ მეზობლები გადმოიპატიჟა: ცოლ-ქმარმა ერთმანეთს ხელი ხელს ჩაჰკიდეს და ის რაღაც უცხოური ცეკვა იცეკვეს. მას თუ არა, მეზობლებს მაინც მორიდებოდნენ. ბიჭი აღარ იცნობოდა. თმა აეწეწა, თვალეები გადმოუცივდა, პერანგის კალთა ამოუვარდა, ფეხს ხან მაღლა იჩნევდა, ხან განზე, ხანაც ისე დაასხმარტალებდა, გეგონებოდა, ძვალი არ აქვსო. ქალიც მას ბაძავდა, გამხდარ ფეხებს ისე პლაკავდა, ისე გამოაჩენდა ყველაფერს, თითქოს ოთახში მის მეტი არავინ ყოფილიყო. მკერდი გაელედა. ძუძუები გა-

იმ დღეს ქალს მჭადის გამოცხობა შეუგვიანდა, პარმალში ჯორკოზე იჯდა და ხელისგულზე თავჩამოდებული ფიქრს მისცემოდა. წიწილები სამზარეულოს გვერდით იკენებოდნენ. ხბო ვენახში შესულიყო, ღობის ძირას ბალახს წიწქნიდა, ხანაც ვაზს წაეპოტინებოდა. ქალმა გაიფიქრა, ხბოს ვენახიდან გადმოვდენიო, მაგრამ ადგომა გაუჭირდა. ვიდრე ადგებოდა, ჭიშკართან მეზობლის გოგონას მოჰკრა თვალი. მერე სხვებიც მოადგნენ.

— კატო ბებია, სტუმრებია, — გადმოსძახა გოგონამ.

„ბიჭი ხომ არ ამოსულა“, გაიფიქრა ქალმა და სიხარულისაგან გული შეუქანდა. მხრებზე მოხურული თავსაფარი თავზე წაიკრა. ეზოში ოთხი მამაკაცი ჩამოვიდა. პირმომღიმარნი მოდიოდნენ მისკენ.

— გამარჯობა, დედილო, — უთხრა თეთრთმიანმა კაცმა.

კატომ ხელი მოკრძალებით ჩამოართვა. ხელი სხვებმაც ჩამოართვეს მას.

— სად არის ჩვენი ასი წლის მოხუცი? — სიცილით იკითხა ყველაზე ხნიერმა.

— შინ გახლავთ!

— თბილისიდან ვართ, — უთხრა თეთრთმიანმა, — გაზეთში წავიკითხეთ თქვენი მეუღლის შესახებ და პირადად გვინდა გავესაუბროთ.

— თავს როგორ გრძნობს? — მოიკითხა ხნიერმა.

— არა უშავს ბატონო, მხოლოდ ამ ბოლო დროს ცოტა შეუძლოდა.

— ოო, ეს არ ეკადრება, — თქვა ხნიერმა, — მე სამოციისა ვარ და მისგან მინდა ვისწავლო ხანგრძლივი სიცოცხლის საიდუმლოება.

კატოს არაფერი უთქვამს, სხვებმა გაიცინეს და ოდა-სახლის კიბეზე ავიდნენ. ოთახის კარი ღია იყო და ყრუ ხავილი ისმოდა. კატო შეცბა, სტუმრებისათვის არც კი მოუხედავს, ღია კარებისაკენ გაემართა...

ბერიკაცი გულადმა იწვა, ხელები გულზე დაეკრიფა და პირიდან ხავილი ამოსდიოდა. სახე ჩალურჯებოდა, ტუჩები ჩაშავებოდა. ხმა უცებ მიწყდა, პირი უფრო ფართოდ გააღო და ენა გადმოუვარდა. კატოს მუხლები მოეკვეთა, მთელი ხმით შეიყვირა და მეუღლეს მკერდზე დაემხო.

— ველარ მოვუსწარიტ, — ჩაილაპარაკა ხნიერმა.

— ჰო! — კვერი დაუკრა თეთრთმიანმა. მერე კატოსთან მივიდა, წამოაყენა და კოლეგებს მიუბრუნდა, — მკვდარს პირი აქვს ღია, ავუკრათ! — და ეს ისე თქვა, თითქოს ეშინია, ბერიკაცმა სიცოცხლის საიდუმლოება სხვას არ გაანდოსო.



ერებს. მათი საქმიანობა უნდა განვიხილოთ „ცხოვრების ხანგრძლივ პროცესთან“ დაკავშირებით. სწორედ ამ პრინციპიდან გამოდიოდა ენგელსი, როცა ახასიათებდა აღორძინების ეპოქას. ეს ეპოქა მას მიაჩნდა „უდიდეს პროგრესულ გადატრიალებად“.¹ ენგელსმა გვიჩვენა, რომ აღორძინების ეპოქისათვის დამახასიათებელმა დიდმა სოციალურმა ძვრებმა განაპირობეს ისეთი მძლავრი კულტურულ-იდეოლოგიური მოძრაობის ჩასახვა-განვითარება, როგორიც იყო რენესანსი, რომელიც „მოითხოვდა ტიტანებს“ და რომელმაც მართლაც წარმოშვა აზრის ტიტანები. ფაქტურად ამ ეპოქაში დაიწყო ევროპის თანამედროვე ერების ჩამოყალიბება და სწორედ ამ დროს „წარმოიშვა ახალი, პირველი თანამედროვე ლიტერატურა“.

ენგელსს ეკონომიური ბაზისი მიაჩნდა იდეოლოგიური ფორმების მიმართ განმსაზღვრელ ფაქტორად, მაგრამ ბაზისისა და ზედნაშენის ურთიერთდამოკიდებულების განმარტებისას გვაფრთხილებდა, თავი აგვერიდებია სქემატიზმისა და დოგმატიზმისაგან. იგი გვასწავლიდა, ისტორიული კონკრეტულობით და არა შაბლონურად აგვეხსნა ესა თუ ის იდეოლოგიური მოვლენა. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ენგელსის წერილი პაულ ერნსტისადმი, რომელშიც ენგელსი უსაყვედურებს

პაულ ერნსტს იმის გამო, რომ ნორვეგიელ მეშჩანთა ცხოვრების კონკრეტული ანალიზის ნაცვლად ისტორიულ ფაქტებს მზა შაბლონების მიხედვით არჩევდა.

მარქსმა და ენგელსმა მთელი ენერგია და ცოდნა მოახმარეს მუშათა კლასის გათავისუფლების კეთილშობილურ საქმეს. მხატვრულ ლიტერატურასაც ისინი განიხილავდნენ არა მარტო როგორც სინამდვილის ასახვის საშუალებას, არამედ აგრეთვე იდეოლოგიური ბრძოლის ერთ-ერთ მძლავრ იარაღს. ამიტომაც ენგელსი მთელი პარტიული პრინციპულობით იბრძოდა პროლეტარული ლიტერატურის შესაქმნელად, მუშათა კლასს უნერგავდა სიყვარულს მხატვრული ლიტერატურისადმი, რომელიც მიაჩნდა მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთ საუკეთესო შენამენად.

ენგელსი იმთავითვე დიდ ყურადღებას იჩენდა ლიტერატურის საკითხებისადმი. მისი ინტერესის მიღმა არ დარჩენილა თითქმის არც ერთი დიდი მოვლენა ლიტერატურის განვითარების ისტორიაში, დაწყებული ანტიკური პერიოდიდან თვით მის თანამედროვეობამდე.

ენგელსი ფართო ერუდიციისა და მხატვრული გემოვნების მკვლევარი იყო. ახალგაზრდობაში თვითონ სწერდა ლექსებს. იგი დაუკავშირდა გერმანელ პროგრესულ ლიტერატორებს. ამან თავი იჩინა მის ისეთ ლექსებში, როგორიცაა „ბედუინები“, „მოთხრობა

1. ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, თბილისი 1950, გვ. 8.

ზღვის ყაჩაღებზე“, რომლებშიც იგი უმღეროდა ბერძენი ხალხის ეროვნულ - განმათავისუფლებელ ბრძოლას. ენგელსმა მიმართა აგრეთვე მაშინდელ გერმანულ ლიტერატურაში პოპულარულ ჟანრს — მოგზაურობის ამსახველ ნარკვევს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია პოეტური აღმავლობით დაწერილი „ზიგფრიდის სამშობლო“.

გიმნაზიიდან გამოსვლის შემდეგ, 30-იან წლებში, ბრემენის ერთ-ერთ სავაჭრო ფირმაში მუშაობის დროს ენგელსი ძალზე დაინტერესდა ევროპული ლიტერატურის, კერძოდ მშობლიური ლიტერატურის, განვითარების პერსპექტივებით. იგი დაუახლოვდა „ახალგაზრდა გერმანიის“ მწერალთა ჯგუფს და ერთ-ერთი მათგანის კარლ გუცკოვის ჟურნალში „გერმანული ტელეგრაფი“ ბეჭდავდა თავის პირველ ლიტერატურულ ნაწარმოებებს. ამავე ჟურნალში გამოაქვეყნა მწვავე სატირული „წერილები ვუპერტალიდან“, ახალგაზრდობის პერიოდის მეტად მნიშვნელოვანი ლიტერატურული ნარკვევი „გერმანული ხალხური წიგნები“ და აგრეთვე მთელი სერია სტატიებისა გერმანული ლიტერატურის განვითარების საკითხებზე, რომლებშიც ახალგაზრდა მკვლევარი წინა პლანზე აყენებდა ხალხურობისა და პატრიოტიზმის პრობლემებს, ხაზს უსვამდა იმას, რომ 40-იანი წლების გერმანული ლიტერატურა ახალი გზების ძიებაშია.

სტატიებში „ერნსტ მორიც არნოტი“ და „იმერმანის მოგონებანი“, ენგელსი თავს დაესხა შოვინისტურად განწყობილ მწერალ-ნაციონალისტებს, ამხილა შოვინიზმი და ნაციონალიზმი — გერმანული იდეოლოგიის ეს ყველაზე საშიში მოვლენა. ცნობილ გერმანელ რადიკალს ლუდვიგ ბერნესსა და ახალგაზრდა ჰეგელიანელებს იგი მიიჩნევდა მოწინავე გერმანული კულტურის წარმომადგენლებად. რა თქმა უნდა, ენგელსი, რომლის მსოფლმხედველობა უფრო რევოლუციური და რადიკალური იყო, ვიდრე „ახალგაზრდა გერმანიის“ პოლიტიკური პლატფორმა, ვერ შეეწყო კარლ გუცკოვს, რომელიც მოურიდეელი შესწორებებით ცდილობდა გზას აეცდინა ახალგაზრდა კრიტიკოსი. ენგელსმა კავშირი გაწყვიტა გუცკოვთან და დიამეტრულად დაუპირისპირდა „ახალგაზრდა გერმანიას“ თავის სტატიაში „ალექსანდრე იუნგი. ლექციები გერმანელთა თანამედროვე ლიტერატურაზე“ (1842 წ.). პროვინციული მეცნიერის იუნგის ნაშრომის რეცენზიის სახით ენგელსი თავს ესხმოდა ავტორს „ახალგაზრდა გერმანიის“ გაზვიადებული შეფასების გამო და საყვედურობდა მოწინავე გერმანელ პოეტთა — გრიუნის, ლენაუსა, ფრაილიგრატისა და ჰერვეგის შემოქმედების შეუფასებლობას. ამავე სტატიაში ენგელსმა დასვა მოწინავე გერმანული ლიტერატურის შემდგომი გა-

ნვითარების პერსპექტივის საკითხი.

ენგელსი მხატვრული სიტყვის ოსტატი იყო, თავისი აზრების უფრო გასაგებად, სხარტად ჩამოსახსმელად ხშირად მიმართავდა ხალხურ შემოქმედებას, ანტიკური პერიოდის პოეტებს, გოეთესა და ბალზაკს, ბაირონსა და დიკენსს და სხვა მწერლებსა თუ პოეტებს.

ენგელსი მარქსთან ერთად განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდა მუშათა კლასისა და მისი რევოლუციური ტაქტიკის პრობლემას, იგი მხატვრულ ლიტერატურას განიხილავდა როგორც მუშათა კლასის გათავისუფლებისათვის ბრძოლის მძლავრ იარაღს. ამ მხრივ აღსანიშნავია მარქსთან ერთად დაწერილი წიგნი „წმინდა ოჯახი“, რომელშიც ლიტერატურის სოციალური ფუნქციის დადგენის თვალსაზრისით ნიშანდობლივია ლიტერატურისა და კრიტიკისადმი მიძღვნილი ადგილები. ამ წიგნში მარქსმა და ენგელსმა მწვავედ ამხილეს ახალგაზრდა ჰეგელიანელთა დაჯგუფება, რომელსაც სათავეში ედგნენ ძმები ბაუერები. ბრუნო ბაუერის გაზეთში „საყოველთაო ლიტერატურული გაზეთი“ შელიგას ფსევდონიმით გამოქვეყნდა ბაუერების თანამზრახველის ფ. ცეხლინსკის სტატია ფრანგი მწერლის ეჟენ სიუს რომანზე „პარიზის საიდუმლოებანი“. შელიგა - ცეხლინსკიმ ხოტბადიდებით მოიხსენია ეჟენ სიუს ეს რომანი, რომელშიც ფრა-

ნგი მწერალი შეეხო რევოლუციური მოძრაობით დაშინებულ ბურჟუაზიულ წრეში მოღაქცეულ „მუშათა საკითხს“ და ზედაპირულად, ბურჟუაზიულ-ფილანტროპიული პოზიციებიდან ასახა მუშათა კლასის ბედი. მისი აზრით ეს საქმე უნდა მოწესრიგებულიყო „ზევიდან“, ყოველგვარი რევოლუციური ბრძოლის გარეშე. ეჟენ სიუმ შექმნა „ხალხის წრიდან გამოსული ადამიანების“ მეტად ყალბი, არადამაჯერებელი სახეები. შელიგა-ცეხლინსკის პოზიტიურმა მიდგომამ ეჟენ სიუს რომანისადმი „პარიზის საიდუმლოებანი“ გამოააშკარავა ბაურებისა და მათი დაჯგუფების მოღალატური დამოკიდებულება მუშათა კლასისადმი, რაც ასე სასტიკად ამხილეს მარქსმა და ენგელსმა.

ენგელსი მუდამ ზრუნავდა მუშათა კულტურის, პროლეტარული ლიტერატურის განვითარებაზე. მას კარგად ესმოდა, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში არ შეიძლება იყოს ერთიანი უკლასო კულტურა. ნაშრომში „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“ ენგელსი აღნიშნავდა, რომ მსხვილმა მრეწველობამ ინგლისელები დაყო ორ სხვადასხვა ერად. „...ინგლისის მუშათა კლასი თანდათან სხვა ხალხად გადაიქცა, ვიდრე ინგლისის ბურჟუაზიაა. ბურჟუაზიას მეტი რამ აქვს ნათესაური დედამიწის ყველა სხვა ერთან, ვიდრე იმ მუშებთან, რომელნიც მის მახლობლადვე



ცხოვრობენ. მუშები სხვა დია-
ლექტზე ლაპარაკობენ, აქვთ
სხვა იდეები და წარმოდგენები,
სხვა ადათები და ზნეობრივი პრი-
ნციპები, სხვა რელიგია და პოლი-
ტიკა, ვიდრე ბურჟუაზიას. ეს
ორი სულ სხვადასხვა ხალხია, იმ-
დენად სხვადასხვა, რამდენადაც
შეიძლება სხვადასხვა იყოს მხო-
ლოდ ორი რასა“.²

ენგელსი დიდი სიხარულით
აღნიშნავს ინგლისელ მუშათა
ლტოლვას განათლებისაკენ, კულ-
ტურულ ფასეულობათა დაუფ-
ლებისაკენ, მათ დიდ ინტერესს
მხატვრული ლიტერატურისადმი
და ინგლისელ მუშათა საყვარელ
მწერალთა შორის ასახელებს დიდ
ინგლისელ პოეტ-რომანტიკოსებს
— ბაირონსა და შელის, მაშინ,
როცა „ბურჟუა კითხულობს
მხოლოდ დასაჭურისებულ გამო-
ცემებს „family-editions“ (საო-
ჯახო გამოცემებს), რომელიც თა-
ნამედროვე პირმოთნე მორალთან
არის შეგუებული“.³ ენგელსი აღ-
ნიშნავს, თუ რით მიიქცეის ბაი-
რონმა და შელიმ ინგლისელ მუ-
შათა ყურადღება. იგი ხაზს უს-
ვამს ბაირონის შემოქმედების სა-
ტირულ, ერთსა და იმავე დროს
ანტიფეოდალურ და ანტიბურ-
ჟუაზიულ ტენდენციას, ხოლო
„გენიალური წინასწარმეტყვე-
ლის“ შელის პოეზიაში იგი ხე-
დავს პოეტის ცდას, შეიჭრას მო-
მავალში და გვიჩვენოს მომავლის

სურათი. ენგელსი აღნიშნავდა, მა-
რეთვე ჩარტისტული ლიტერა-
ტურის დიდ წარმატებას. ბევრ
ჩარტისტ-ლიტერატორს პირადად
იცნობდა; ხოლო ერთ-ერთი პოეტ-
ჩარტისტის ე. მიდის ლექსები მო-
ჰყავდა თავის წიგნში „მუშათა
კლასის მდგომარეობა ინგლის-
ში“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია
„კომუნისტური პარტიის მანიფეს-
ტი“ მარქსისა და ენგელსის მიერ
მოცემული კლასობრივი იდეო-
ლოგიის დიფერენციაცია, ფეო-
დალური და ბურჟუაზიული კონ-
სერვატიული სოციალიზმის კრი-
ტიკა. მარქსსა და ენგელსს ფეო-
დალური სოციალიზმი სამართ-
ლიანად მიაჩნდათ რეაქციული არ-
ისტოკრატიული იდეოლოგიის გა-
მოვლინებად. ყოველივე ეს ლი-
ტერატურათმცოდნეებს აძლევს
საშუალებას სწორი, მეცნიერუ-
ლი ანალიზი გაუკეთონ მე-19 სა-
უკუნის მწერლობაში გაჩაღებულ
კლასობრივ იდეოლოგიურ ბრძო-
ლას. მასში ვლინდება მოძღვრე-
ბა ყოველ ბურჟუაზიულ ერში
ორი კულტურის არსებობის შესა-
ხებ. როგორც ლიტერატურის ის-
ტორიიდანაა ცნობილი, მე-19
საუკუნის პირველ ნახევარში კა-
პიტალიზმის კრიტიკითა და ძვე-
ლი ფეოდალური წყობილების
შენარჩუნების ლოზუნგით გამო-
ვიდნენ თავადაზნაურთა იდეო-
ლოგები, რეაქციული რომანტი-
ზმის წარმომადგენლები — შა-
ტობრიანი, ჟოზეფ დე მესტრი,
ვიკონტ დე ბონალდი და ლამარ-
ტინი საფრანგეთში, „ტბის სკო-

2 ფ. ენგელსი, მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში, თბილისი, 1935, 83-122.
3 იქვე გვ. 220.

ლის“ პოეტები — უორდსვორთი, კოლრიჯი და საუტი ინგლისში, იენისა და ჰაიდელბერგის რომანტიკული სკოლები. ამავე დროს პროგრესული სოციალური ძალების წარმომადგენლები, რევოლუციური რომანტიზმის პოეტები ბაირონი, შელი და ჰაინე ბურჟუაზიული საზოგადოების კრიტიკის საფუძველზე მოუწოდებდნენ ახალი საზოგადოებრივი წყობილებისათვის ბრძოლისაკენ.

ენგელსი დიდ მზრუნველობას იჩენდა „ახალი რაინის გაზეთში“ მომუშავე მწერლებისა და პოეტების — ვეერთის, ფრაილიგრატისა და სხვათა მიმართ, რომელთა შემოქმედებაში ამა თუ იმ ფორმით გამოძახილი ჰქონდა „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ იდეებმა, თავი იჩინა სინამდვილის ასახვის ახალმა ხედვამ.

ენგელსი მწარედ დასცინოდა ჰოჰენცოლერნების იმპერიის „გაერ-კლოზეტურ“ უხამს ესთეტიკას და მეშინურ კულტურას, უარყოფითად ეკიდებოდა ფრანგულ ნატურალიზმს, მიუთითებდა მე-19 საუკუნის დასასრულის გერმანული ბურჟუაზიული ლიტერატურის უიდეოებაზე, პროვინციალიზმსა და ობივაციულ სულისკვეთებაზე (წერილი პაულ ერნსტს, 1890 წ. 5 ივნისი).

განსაკუთრებით საგულისხმოა ენგელსის გაფრთხილება ყოველგვარი ბურჟუაზიული, ფსევდონოვაციტორული ულტრა „მემარცხენე“ პრეტენზიების მიმართ. ენგელსი მიუთითებს, რომ საჭი-

როა კრიტიკულად მივუდგეთ არა მარტო „ძველ“ ბურჟუაზიულ კულტურას, არამედ მის „უახლეს“ გამოვლინებებსაც, რომლებიც ხშირად გამოდიან „ნოვატორობის“ პრეტენზიით მეცნიერებასა თუ ხელოვნებაში.⁴ იგი აღნიშნავდა, რომ „ჩვენს ამხასიათა შორის“ ბევრი გატაცებულია რაღაც „ახალგამომცხვარი“ „იზმებით“ და ვინმე „აუღიარებელი პოეტური ან მხატვრული გენიით“.

ენგელსის შრომები პარტიული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენენ. ამ შრომებში იგი დაუნდობლად, სარკასტულად ამხელდა გაბატონებულ კლასებს, მაშინ როცა ეგზომ გულთბილად, მზრუნველად და დიდი სიყვარულით გვიჩვენებდა ექსპლოატირებული მასების ცხოვრებას და სახავდა მათი გათავისუფლების რევოლუციურ გზებს. ენგელსი პარტიულობის პრინციპის პოზიციებიდან მწვავედ ამხელდა „ჰემმარიტ სოციალისტებს“ თავის ნაშრომებში „ჰემმარიტი სოციალისტები“ (1847 წ.) და „გერმანული სოციალიზმი ლექსებსა და პროზაში“ (1847 წ.). ენგელსმა მკაცრად გაილაშქრა „ჰემმარიტი სოციალისტების“ ჟურნალების „საზოგადოების სარკის“, „ვეზერ-დამპფბოტის“, „ვერკშტადტის“ და „ფაილხენის“ წინააღმდეგ. მან არ დაინდო აგრე-

4 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზულებანი ტ. 29, გვ. 175 (რუს. გამოც.).

თვე „ჭეშმარიტი სოციალიზმის“ პოეტების ა. მაისნერის, მ. პარტ-მანის, ე. დრონკესა და სხვა ავტორების კრებულები და აღმანახუბი. „ჭეშმარიტი სოციალიზმის“ მხატვრული ლიტერატურის ანალიზისას ენგელსმა ხაზი გაუსვა მის წვრილბურჟუაზიულ ხასიათს, მის როგორც იდეურ, ისე მხატვრულ უბადრუკობას, პროვინციალიზმს, უწიგნურობასა და მეშინურ გემოვნებას.

ენგელსმა სამარცხვინო ბოძე გააკრა ფილისტერი კარლ გრიუნის, რომელიც სტატიაში „გოეთეს შესახებ ადამიანური თვალსაზრისით“ (1846 წ.) შეეცადა გაეკრიტიკებია დიდი გერმანელი პოეტი. ენგელსმა გვიჩვენა თავისი პარტიული დამოკიდებულება გოეთეს შემოქმედების წინააღმდეგობრივი ხასიათისადმი.

ენგელსი მუდამ ხაზს უსვამდა მხატვრულ ნაწარმოებთა ტენდენციურობას. იგი წერდა: „ტრაგედიის მამამთავარი ესქილე და კომედიის მამამთავარი არისტოფანე, ორივე ძლიერ ტენდენციური პოეტები იყვნენ, არანაკლებ დანტე და სერვანტესი, ხოლო შილერის „ვერაგობა და სიყვარულის“ მთავარი ღირსება ისაა, რომ იგი წარმოადგენს პირველ გერმანულ პოლიტიკურ ტენდენციურ დრამას. თანამედროვე რუსი და ნორვეგიელი მწერლები, რომლებიც

საუცხოო რომანებს წერენ, ყველა ტენდენციურია“.⁵

სწორედ ამ ტენდენციურობის თვალსაზრისით ენგელსი განსაკუთრებით უსვამს ხაზს გოეთესა და შილერის შემოქმედების დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის გერმანული ლიტერატურის დახასიათებისას ენგელსი აღნიშნავს, რომ „ამ ეპოქის ყველა მნიშვნელოვანი ნაწარმოები გამსჭვალულია გერმანიის მთელი მაშინდელი საზოგადოების წინააღმდეგ გამოწვევის, აღშფოთების სულისკვეთებით“, რომ გოეთემ თავის „გიოც ფონ ბერლიხინგენში“ „დრამატული ფორმით პატივისცა მეამბოხის ხსოვნას“, „ხოლო შილერმა დაწერა „ყაჩაღები“, სადაც უმღერა ახალგაზრდა ადამიანის კეთილშობილებას, რომელმაც აშკარად გამოუცხადა ომი მთელს საზოგადოებას“.⁶

მაგრამ ენგელსი მუდამ გამოდიოდა შიშველი ქადაგების, ზელოვნების ყალბი ტენდენციურობის წინააღმდეგ, რაც მას მწერლის უსუსურობად მიაჩნდა. მან მწარედ ამხილა ის ზედაპირული ტენდენციურობა, რაც ასე ახასიათებდა „ახალგაზრდა გერმანიის“ ლიტერატურული დაჯგუფების მწერლებს და ზოგიერთ სხვა დე-

5 ფ. ენგელსის წერილი მ. კაუტსკის (1885 წ. 26 ნოემბერი). კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, თბილისი, 1949, გვ. 334.

6 ფ. ენგელსი, მდგომარეობა გერმანიაში, კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 562 (რუს. გამოც.)

მოკრატს. ენგელსი აღნიშნავდა, რომ მათ შორის, განსაკუთრებით კი უფრო დაბალი რანგის ლიტერატორები ცდილობდნენ ნიჭის უკმარობა თავიანთ ნაწარმოებებში შეეცნოთ პოლიტიკური ქარავნით, რათა მიექციათ მკითხველთა ყურადღება.⁷

ენგელსს გერმანელი მწერალი ქალი მინა კაუტსკი მიაჩნდა პარტიულ ლიტერატორად და ცდილობდა მისი შემოქმედება სწორი გზით წარემართა. მინა კაუტსკისადმი წერილში ენგელსი ამხელდა მისი შემოქმედების ზოგიერთ სუსტ მხარესა და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მისი ნაწარმოებების მავნე ხელოვნურ ტენდენციურობას. ენგელსი მოითხოვდა, რომ ტენდენციურობა ნაწარმოებში გარედან კი არ უნდა იყოს თავსმოხვეული, არამედ უნდა გამომდინარეობდეს უშუალოდ ნაწარმოების შინაარსიდან.

მინა კაუტსკის იგი წერდა: „მე ვფიქრობ, რომ ტენდენცია სიტუაციიდან და მოქმედებიდან უნდა გამომდინარეობდეს თავისთავად, ისე რომ განსაკუთრებით არ უნდა გაუსვა მას ხაზი. მწერალი ვალდებული არაა, მზამზარეული სახით მიაწოდოს მკითხველს მის მიერ ასახული საზოგადოებ-

7 ფ. ენგელსი, რევოლუცია და კონტრევოლუცია გერმანიაში. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზულებანი, ტ. 8, გვ. 16 (რუს. გამოც.).

რივი კონფლიქტების მომავალი ისტორიული გადაწყვეტა“.⁸

ენგელსი მიესალმებოდა სოციალისტური ლიტერატურის წარმატებებს და აღნიშნავდა, რომ „სოციალისტური ტენდენციური რომანი“ „თავის დანიშნულებას მთლიანად მაშინ ასრულებს, როდესაც ერთვულად გამოსახავს ნამდვილ ურთიერთობებს. მათ შესახებ გაბატონებულ პირობით ილუზიებს ჩამოაგლეჯს, ბურჟუაზიული ქვეყნის ოპტიმიზმს შეაყევს, არსებულის მარადიული ღირებულებისა და უცვლელობის მიმართ ეჭვს აღძრავს“.⁹

ხელოვნებაზე ენგელსის შეხედულებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რეალიზმის პრობლემას. როგორც ლენინი აღნიშნავს, თვით ენგელსის შრომებს ახასიათებს მუშათა კლასის ბედის „მკაფიოდ და უტყუარად“¹⁰ ასახვა.

ენგელსი, რომელიც ახალგაზრდობაში გატაცებული იყო რომანტიზმით, 1839 წლიდან უკვე კრიტიკულად უდგება ამ მიმდინარეობას. სწორედ რეალიზმის პოზიციებიდან, ცხოვრების სიმართლით ასახვის პოზიციებიდან ესხმოდა თავს იგი რომანტიკოსთა

8 ფ. ენგელსის წერილი მ. კაუტსკის (1885 წ. 26 ნოემბერი). კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, თბილისი, 1949, გვ. 334.

9 ფ. ენგელსის წერილი მ. კაუტსკის (1885 წ. 26 ნოემბერი). კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, თბილისი, 1949, გვ. 334-335.

10 ვ. ი. ლენინი, ფრიდრიხ ენგელსი, თხზ., ტ. 2, გვ. 11, გამოც. მეოთხე.

ცხოვრობენ. მუშები სხვა დიალექტზე ლაპარაკობენ, აქვთ სხვა იდეები და წარმოდგენები, სხვა ადათები და ზნეობრივი პრინციპები, სხვა რელიგია და პოლიტიკა, ვიდრე ბურჟუაზიას. ეს ორი სულ სხვადასხვა ხალხია, იმდენად სხვადასხვა, რამდენადაც შეიძლება სხვადასხვა იყოს მხოლოდ ორი რასა“.²

ენგელსი დიდი სიხარულით აღნიშნავს ინგლისელ მუშათა ლტოლვას განათლებისაკენ, კულტურულ ფასეულობათა დაუფლებისაკენ, მათ დიდ ინტერესს მხატვრული ლიტერატურისადმი და ინგლისელ მუშათა საყვარელ მწერალთა შორის ასახელებს დიდ ინგლისელ პოეტ-რომანტიკოსებს — ბაირონსა და შელის, მაშინ, როცა „ბურჟუა კითხულობს მხოლოდ დასაჭურისებულ გამოცემებს „family - editions“ (საოჯახო გამოცემებს), რომელიც თანამედროვე პირმოთნე მორალთან არის შეგუებული“.³ ენგელსი აღნიშნავს, თუ რით მიიქცეის ბაირონმა და შელიმ ინგლისელ მუშათა ყურადღება. იგი ხაზს უსვამს ბაირონის შემოქმედების სატირულ, ერთსა და იმავე დროს ანტიფეოდალურ და ანტიბურჟუაზიულ ტენდენციას, ხოლო „გენიალური წინასწარმეტყველის“ შელის პოეზიაში იგი ხედავს პოეტის ცდას, შეიჭრას მომავალში და გვიჩვენოს მომავლის

სურათი. ენგელსი აღნიშნავს, რითვე ჩარტისტული ლიტერატურის დიდ წარმატებას. ბევრ ჩარტისტ-ლიტერატორს პირადად იცნობდა, ხოლო ერთ-ერთი პოეტ-ჩარტისტის ე. მიდის ლექსები მოჰყავდა თავის წიგნში „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ მარქსისა და ენგელსის ბიერმოცემული კლასობრივი იდეოლოგიის დიფერენციაცია, ფეოდალური და ბურჟუაზიული კონსერვატიული სოციალიზმის კრიტიკა. მარქსსა და ენგელსს ფეოდალური სოციალიზმი სამართლიანად მიაჩნდათ რეაქციული არისტოკრატიული იდეოლოგიის გამოვლინებად. ყოველივე ეს ლიტერატურათმცოდნეებს აძლევს საშუალებას სწორი, მეცნიერული ანალიზი გაუკეთონ მე-19 საუკუნის მწერლობაში გაჩაღებულ კლასობრივ იდეოლოგიურ ბრძოლას. მასში ვლინდება მოძღვრება ყოველ ბურჟუაზიულ ერში ორი კულტურის არსებობის შესახებ. როგორც ლიტერატურის ისტორიიდანაა ცნობილი, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში კაპიტალიზმის კრიტიკითა და ძველი ფეოდალური წყობილების შენარჩუნების ლოზუნგით გამოვიდნენ თავადაზნაურთა იდეოლოგები, რეაქციული რომანტიზმის წარმომადგენლები — შატობრიანი, ჟოზეფ დე მესტრი, ვიკონტ დე ბონალდი და ლამარტინი საფრანგეთში, „ტბის სკო-

2 ფ. ენგელსი, მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში, თბილისი, 1935, გვ. 122.

3 იქვე გვ. 220.

ლის“ პოეტები — უორდსვორთი, კოლრიჯი და საუტი ინგლისში, იენისა და ჰაიდელბერგის რომანტიკული სკოლები. ამავე დროს პროგრესული სოციალური ძალების წარმომადგენლები, რევოლუციური რომანტიზმის პოეტები ბაირონი, შელი და ჰაინე ბურჟუაზიული საზოგადოების კრიტიკის საფუძველზე მოუწოდებდნენ ახალი საზოგადოებრივი წყობილებისათვის ბრძოლისაკენ.

ენგელსი დიდ მზრუნველობას იჩენდა „ახალი რაინის გაზეთში“ მომუშავე მწერლებისა და პოეტების — ვეერთის, ფრაილიგრატისა და სხვათა მიმართ, რომელთა შემოქმედებაში ამა თუ იმ ფორმით გამოძახილი ჰპოვა „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ იდეებმა, თავი იჩინა სინამდვილის ასახვის ახალმა ხედვამ.

ენგელსი მწარედ დასცინოდა ჰოჰენცოლერნების იმპერიის „ვატერ-კლოზეტურ“ უხამს ესთეტიკას და მეშინურ კულტურას, უარყოფითად ეკიდებოდა ფრანგულ ნატურალიზმს, მიუთითებდა მე-19 საუკუნის დასასრულის გერმანული ბურჟუაზიული ლიტერატურის უიდეობაზე, პროვინციალიზმსა და ობივაციულურ სულისკვეთებაზე (წერილი პაულ ერნსტს, 1890 წ. 5 ივნისი).

განსაკუთრებით საგულისხმოა ენგელსის გაფრთხილება ყოველგვარი ბურჟუაზიული, ფსევდონოვატორული ულტრა „მემარცხენე“ პრეტენზიების მიმართ. ენგელსი მიუთითებს, რომ საჭი-

როა კრიტიკულად მივუდგეთ არა მარტო „ძველ“ ბურჟუაზიულ კულტურას, არამედ მის „უახლეს“ გამოვლინებებსაც, რომლებიც ხშირად გამოდიან „ნოვატორობის“ პრეტენზიით მეცნიერებასა თუ ხელოვნებაში.⁴ იგი აღნიშნავდა, რომ „ჩვენს ამხასიათა შორის“ ბევრი გატაცებულია რაღაც „ახალგამომცხვარი“ „იზმებით“ და ვინმე „აუღიარებელი პოეტური ან მხატვრული გენიით“.

ენგელსის შრომები პარტიული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენენ. ამ შრომებში იგი დაუნდობლად, სარკასტულად ამხელდა გაბატონებულ კლასებს, მაშინ როცა ეგზომ გულთბილად, მზრუნველად და დიდი სიყვარულით გვიჩვენებდა ექსპლოატირებული მასების ცხოვრებას და სახავდა მათი გათავისუფლების რევოლუციურ გზებს. ენგელსი პარტიულობის პრინციპის პოზიციებიდან მწვავედ ამხელდა „ჭეშმარიტ სოციალისტებს“ თავის ნაშრომებში „ჭეშმარიტი სოციალისტები“ (1847 წ.) და „გერმანული სოციალიზმი ლექსებსა და პროზაში“ (1847 წ.). ენგელსმა მკაცრად გაილაშქრა „ჭეშმარიტი სოციალისტების“ ჟურნალების „საზოგადოების სარკის“, „ვეზერ-დამპფობტის“, „ვერკშტადტის“ და „ფაილზენის“ წინააღმდეგ. მან არ დაინდო აგრე-

4 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზულებანი ტ. 29, გვ. 175 (რუს. გამოც).

თვე „ჭეშმარიტი სოციალიზმის“ პოეტების ა. მაისნერის, მ. პარტ-მანის, ე. დრონკესა და სხვა ავტორების კრებულები და აღმანახები. „ჭეშმარიტი სოციალიზმის“ მხატვრული ლიტერატურის ანალიზისას ენგელსმა ხაზი გაუსვა მის წვრილბურჟუაზიულ ხასიათს, მის როგორც იდეურ, ისე მხატვრულ უზადრუკობას, პროვინციალიზმს, უწიგნურობასა და მეშინურ გემოვნებას.

ენგელსმა სამარცხვინო ბოძე გააკრა ფილისტერი კარლ გრიუნი, რომელიც სტატიაში „გოეთეს შესახებ ადამიანური თვალსაზრისით“ (1846 წ.) შეეცადა გაეკრიტიკებია დიდი გერმანელი პოეტი. ენგელსმა გვიჩვენა თავისი პარტიული დამოკიდებულება გოეთეს შემოქმედების წინააღმდეგობრივი ხასიათისადმი.

ენგელსი მუდამ ხაზს უსვამდა მხატვრულ ნაწარმოებთა ტენდენციურობას. იგი წერდა: „ტრაგედიის მამამთავარი ესქილე და კომედიის მამამთავარი არისტოფანე, ორივე ძლიერ ტენდენციური პოეტები იყვნენ, არანაკლებ დანტე და სერვანტესი, ხოლო შილერის „ვერაგობა და სიყვარულის“ მთავარი ღირსება ისაა, რომ იგი წარმოადგენს პირველ გერმანულ პოლიტიკურ ტენდენციურ დრამას. თანამედროვე რუსი და ნორვეგიელი მწერლები, რომლებიც

საუცხოო რომანებს წერენ, ყველა ტენდენციურია“.⁵

სწორედ ამ ტენდენციურობის თვალსაზრისით ენგელსი განსაკუთრებით უსვამს ხაზს გოეთესა და შილერის შემოქმედების დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის გერმანული ლიტერატურის დახასიათებისას ენგელსი აღნიშნავს, რომ „ამ ეპოქის ყველა მნიშვნელოვანი ნაწარმოები გამსჭვალულია გერმანიის მთელი მაშინდელი საზოგადოების წინააღმდეგ გამოწვევის, აღშფოთების სულისკვეთებით“, რომ გოეთემ თავის „გიოც ფონ ბერლინინგენში“ „დრამატული ფორმით პატივი სცა მეამბოხის ხსოვნას“, „ხოლო შილერმა დაწერა „ყაჩაღები“, სადაც უმღერა ახალგაზრდა ადამიანის კეთილშობილებას, რომელმაც ამკარად გამოუცხადა ომი მთელს საზოგადოებას“.⁶

მაგრამ ენგელსი მუდამ გამოდიოდა შიშველი ქადაგების, ხელოვნების ყალბი ტენდენციურობის წინააღმდეგ, რაც მას მწერლის უსუსურობად მიაჩნდა. მან მწარედ ამხილა ის ზედაპირული ტენდენციურობა, რაც ასე ახასიათებდა „ახალგაზრდა გერმანიის“ ლიტერატურული დაჯგუფების მწერლებს და ზოგიერთ სხვა დე-

5 ფ. ენგელსის წერილი მ. კაუტსკის (1885 წ. 26 ნოემბერი). კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, თბილისი, 1949, გვ. 334.

6 ფ. ენგელსი, მდგომარეობა გერმანიაში, კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 562 (რუს. გამოც.)



მოკრატს. ენგელსი აღნიშნავდა, რომ მათ შორის, განსაკუთრებით კი უფრო დაბალი რანგის ლიტერატორები ცდილობდნენ ნიჭის უკმარობა თავიანთ ნაწარმოებებში შეეცსოთ პოლიტიკური ქარავმით, რათა მიექციათ მკითხველთა ყურადღება.⁷

ენგელსს გერმანელი მწერალი ქალი მინა კაუტსკი მიაჩნდა პარტიულ ლიტერატორად და ცდილობდა მისი შემოქმედება სწორი გზით წარემართა. მინა კაუტსკისადმი წერილში ენგელსი ამხელდა მისი შემოქმედების ზოგიერთ სუსტ მხარესა და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მისი ნაწარმოებების მავნე ხელოვნურ ტენდენციურობას. ენგელსი მოითხოვდა, რომ ტენდენციურობა ნაწარმოებში გარედან კი არ უნდა იყოს თავსმოხვეული, არამედ უნდა გამომდინარეობდეს უშუალოდ ნაწარმოების შინაარსიდან.

მინა კაუტსკის იგი წერდა: „მე ვფიქრობ, რომ ტენდენცია სიტუაციიდან და მოქმედებიდან უნდა გამომდინარეობდეს თავისთავად, ისე რომ განსაკუთრებით არ უნდა გაუსვა მას ხაზი. მწერალი ვალდებული არაა, მზამზარეული სახით მიაწოდოს მკითხველს მის მიერ ასახული საზოგადოებ-

7 ფ. ენგელსი, რევოლუცია და კონტრევოლუცია გერმანიაში. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზულებანი, ტ. 8, გვ. 16 (რუს. გამოც.).

რივი კონფლიქტების მომავალი ისტორიული გადაწყვეტა“.⁸

ენგელსი მიესალმებოდა სოციალისტური ლიტერატურის წარმატებებს და აღნიშნავდა, რომ „სოციალისტური ტენდენციური რომანი“ „თავის დანიშნულებას მთლიანად მაშინ ასრულებს, როდესაც ერთგულად გამოსახავს ნამდვილ ურთიერთობებს. მათ შესახებ გაბატონებულ პირობით ილუზიებს ჩამოაგლეჯს, ბურჟუაზიული ქვეყნის ოპტიმიზმს შეარყევს, არსებულის მარადიული ღირებულებისა და უცვლელობის მიმართ ეჭვს აღძრავს“.⁹

ხელოვნებაზე ენგელსის შეხედულებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რეალიზმის პრობლემას. როგორც ლენინი აღნიშნავს, თვით ენგელსის შრომებს ახასიათებს მუშათა კლასის ბედის „მკაფიოდ და უტყუარად“¹⁰ ასახვა.

ენგელსი, რომელიც ახალგაზრდობაში გატაცებული იყო რომანტიზმით, 1839 წლიდან უკვე კრიტიკულად უდგება ამ მიმდინარეობას. სწორედ რეალიზმის პოზიციებიდან, ცხოვრების სიმართლით ასახვის პოზიციებიდან ესხმოდა თავს იგი რომანტიკოსთა

8 ფ. ენგელსის წერილი მ. კაუტსკის (1885 წ. 26 ნოემბერი). კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, თბილისი, 1949, გვ. 334.

9 ფ. ენგელსის წერილი მ. კაუტსკის (1885 წ. 26 ნოემბერი). კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, თბილისი, 1949, გვ. 334-335.

10 ვ. ი. ლენინი, ფრიდრიხ ენგელსი, თხზ., ტ. 2, გვ. 11, გამოც მეოთხე.

შემოქმედებას. მაგრამ ენგელსი როდი უარყოფდა საერთოდ რომანტიკოსთა, განსაკუთრებით კი რევოლუციური რომანტიზმის ისეთი წარმომადგენლების შემოქმედებას, როგორიც იყვნენ ბაირონი, შელი და ჰაინე. დიდი შეფასება მისცა ენგელსმა გერმანელი რომანტიკოსების ძმების გრიმების ნაშრომებსაც, კერძოდ კი იაკობ გრიმის ლინგვისტურ ნაშრომებს, აღტაცებული იყო არნიმისა და ბრენტანოს მიერ შედგენილი გერმანული ხალხური სიმღერების კრებულებით. ენგელსი, რომელიც ასე თანაგრძნობით ეპყრობოდა პროგრესული გერმანელი მწერლების შამისოს, იმერმანისა და პლატენის შემოქმედებას, თავის სტატიაში „პლატენი“ (1840 წ.) იმათაც კი საყვედურობდა, რომ სინამდვილის ასახვას ისინი ცვლიან რეფლექტურობით, არასაკმაო დამაჯერებლობით გვიჩვენებენ ცხოვრებას. ენგელსი ირონიულად შენიშნავდა, რომ პლატენი შეეცადა „თავისი გონების პროდუქტი პოეზიად“¹¹ გაესაღებია.

ენგელსი მწერლის შემოქმედებას აფასებდა ცხოვრებისეული სიმართლის დამაჯერებლად ჩვენების უნარით. სტატიაში „ერნსტ მორიც არნდტი“ (1841 წ.) კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავდა, რომ იმერმანის „მოგონებანი“ მოასწავებენ ამ მწერლის ცდას,

დაეძლია სინამდვილის რომანტიზმისეული სუბიექტური ხედვა, აესახა სინამდვილე უფრო კონკრეტულად და დამაჯერებლად, გაეხსნა ცხოვრების რთული წინააღმდეგობანი. ექვენ სიუს რომანისადმი „პარიზის საიდუმლოებანი“ ენგელსის უარყოფითი დამოკიდებულება, უპირველეს ყოვლისა, განპირობებული იყო სინამდვილის დამახინჯებულად ჩვენებით. ენგელსის უკმაყოფილება გამოიწვია იმან, რომ ეს მრავალტომიანი, ძალზე გაჭიანურებული რომანი სავსე იყო ცხოვრებისეული სიმართლისაგან დაშორებული ფანტასტიკური ამბებით, მოგონილი სიტუაციებითა და ყალბი პერსონაჟებით.

ენგელსს, უპირველეს ყოვლისა, იტაცებდა რეალისტური ხელოვნება არა მარტო როგორც სინამდვილის ასახვის მხატვრული მეთოდი, არამედ აგრეთვე, როგორც ამ სინამდვილის გარდაქმნისათვის ბრძოლის ერთ-ერთი მძლავრი საშუალება. კერძოდ, ენგელსს მიაჩნდა, რომ ცნობილი გერმანელი მხატვარ-რეალისტის გიუბნერის სურათმა, რომელზეც ასახულია ფეიქართა ჯგუფი, გაცილებით უფრო მეტი გააკეთა სოციალისტური აგიტაციისათვის, ვიდრე ამას გააკეთებდა ასობით პამფლეტი.¹² იქვე ენგელსი ასახელებს რეალისტ მწერლებსაც, კერძოდ ჰაინეს, რომელსაც „თანამედრო-

11 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზ., ტ. 2, გვ. 45 (რუს. გამოც.).

12 ფ. ენგელსი, კომუნიზმის სწრაფი წარმატებები გერმანიაში კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზ., ტ. 2, გვ. 519 (რუს. გამოც.).

ვე გერმანელ პოეტთა შორის ყველაზე გამოჩენილს“ უწოდებს, რამდენადაც ჰაინეს პოეზია არა მარტო დამაჯერებლად ასახავს გარემომცველ სინამდვილეს, არამედ მხატვრული სრულყოფილობითაც გვინერგავს სოციალიზმის იდეებს. ენგელსის აზრით, რეალისტური ხელოვნება არ უნდა კმაყოფილდებოდეს მარტო სინამდვილის დამაჯერებელი ჩვენებით, მარტო მისი მხილებით. რეალიზმი ისეთი მხატვრული მეთოდია, რომელიც ცხოვრების მანკიერ მხარეთა მხილებასთან ერთად, უნდა გვისახადეს მათი დაძლევის გზებს, უნდა უჩვენებდეს სოციალურ უსამართლობასთან ბრძოლის პერსპექტივებს, რასაც ასე გაბედულად აკეთებდა ჰაინე თავის პოლიტიკურ ლექსებში, კერძოდ კი ლექსში „ფეიქრები“, რომელთანაც შეპირისპირებულია გიუბნერის სურათი. მასზე ასახულია ფეიქართა მხოლოდ დუხჭირი ცხოვრება და არა მათი ბრძოლა.

1848 წლის შემდგომი პერიოდის გერმანულ ლიტერატურაში ენგელსი განსაკუთრებით გამოყოფდა იმ ნაწარმოებებს, რომლებიც გამოირჩეოდნენ თავიანთი ცხოვრებისეული სიმართლით. იგი ხაზს უსვამდა კრიტიკული რეალიზმის მწერალთა მიერ ისტორიული განვითარების ობიექტური კანონზომიერების ოსტატურად გახსნის უნარს, აღნიშნავდა, რომ ფრანგული კრიტიკული რეალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლის ბალზაკის რომანები

იდლევიან 1815-1848 წლების ფრანგი საზოგადოების გაცილებით უფრო სრულ და დამაჯერებელ სურათს, ვიდრე ბურჟუაზიულ მეცნიერთა შრომები. როგორც ენგელსი აღნიშნავს, ბალზაკმა თავის „ადამიანურ კომედიაში“ მოგვცა „ფრანგი საზოგადოების ყველაზე უფრო შესანიშნავი რეალისტური“ სურათი, „საიდანაც თვითეკონომიური დეტალების აზრითაც კი... უფრო მეტი გავიგე, ვიდრე ამ პერიოდის ყველა სპეციალისტის — ისტორიკოსების, ეკონომისტების, სტატისტიკოსების წიგნებიდან, ყველა ერთად აღებული“.¹³ ბალზაკის, როგორც რეალისტის, დიდ დამსახურებად ენგელსს მიაჩნია ის, რომ დამაჯერებლად უჩვენებდა ფრანგი საზოგადოების განვითარების კანონზომიერებას და „მომავლის ნამდვილადამიანებს ხედავდა იქ, სადაც შეიძლებოდა იმ დროს მათი პოვნა“.¹⁴

ენგელსმა სწორად შენიშნა, რომ ლეგიტიმისტი ბალზაკი, რომლის „სიმპათიები გადაშენების გზაზე დამდგარი კლასის მხარეზე“¹⁵ იყო, იძულებული გახდა, თავისივე კლასობრივი სიმპათიების წინააღმდეგ, „მომავლის ადამიანები“ დაენახა თავის პო-

¹³ ფ. ენგელსის წერილი მ. ჰარკნესს (1888 წ. აპრილი). კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, თბილისი. 1949, გვ. 446-447.
¹⁴ იქვე, გვ. 447.
¹⁵ იქვე.

ლიტიკურ მოწინააღმდეგეებში — 30-40-იანი წლების ფრანგ რესპუბლიკელებში. ენგელსი აღნიშნავს, რომ ის აღამიანები, რომელთა შესახებ ბალზაკი ყოველთვის დაუფარავი აღტაცებით ლაპარაკობს, არიან მისი უღმობელი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები, რესპუბლიკელები, რომლებიც „მამინ (1830-1836 წ. წ.). ნამდვილად ხალხის მასების წარმომადგენლები იყვნენ.“¹⁶ სწორედ ეს მიაჩნია ენგელსს ბალზაკის რეალიზმის ყველაზე დამახასიათებელ ნიშანთვისებად, რაც გულისხმობს იმას, რომ ზოგიერთ კერძო შემთხვევაში რეალისტურ მეთოდს შეუძლია გაიმარჯვოს მწერლის კონსერვატიულ პოლიტიკურ შეხედულებაზე.

რეალიზმის პრინციპების უკეთ გაგებისათვის განსაკუთრებით საგულისხმოა ენგელსის ცნობილი წერილი ინგლისელი მწერალი ჟაკლის მარგარეტ ჰარკნესისადმი. მღვდლის ქალიშვილი მარგარეტ ჰარკნესი, რომელმაც კავშირი გაწყვიტა თავის წრესთან, შეუერთდა სოციალისტურ მოძრაობას და თავის ნაწარმოებებს წერდა ჯონ ლოს ფსევდონიმით. იგი დაინტერესებული იყო ლონდონის მუშათა მდგომარეობით, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდა მუშა ქალთა ბედს. სწორედ ამან დააწერინა მარგარეტ ჰარკნესს ვრცელი მოთხრო-

ბა „ქალაქელი ქალიშვილი“ (1887 წ.), რომელსაც ენგელსი გამოეხმაურა თავისი ცნობილი წერილით. ჰარკნესის მოთხრობა ასახავს ისტენდელი ფეიქარი ქალის ნელის ტრაგიკულ ბედს. ეს ქალი შეაქდინა ბურჟუაზიული ყაიდის ინტელიგენტმა არტურ გრანტმა. ნელის უკანონო შვილი უკვდება. მარგარეტ ჰარკნესი გვიჩვენებს ისტენდის პროლეტარტა გულისხმიერებასა და შრომისმოყვარეობას, მაგრამ ავტორი მხოლოდ ცალმხრივად ასახავს მუშათა კლასის მდგომარეობას. როგორც ენგელსი აღნიშნავს, „ქალაქელი ქალიშვილში“ მუშათა კლასი გამოდის როგორც პასიური მასა, რომელსაც არ შეუძლია დაეხმაროს თავის თავს და არც კი ცდილობს უშველოს თავის თავს. ენგელსი მუდამ მოითხოვდა და აქაც მოითხოვს სოციალური მოვლენებისადმი ისტორიულ მიდგომას. იგი აღნიშნავს, რომ თუ მუშათა კლასის პასიურობა სარწმუნო იყო მე-19 საუკუნის დასაწყისისათვის, 80-იანი წლებისათვის კი ჰარკნესის მოთხრობაში ნაჩვენები მუშების უმოქმედობა ყოვლად დაუჯერებელია. მუშათა კლასის ნამდვილი სოციალური არსის გაუგებრობის შედეგად მარგარეტ ჰარკნესმა თავისი ნაწარმოების გმირი პესიმისტურ დასკვნამდე მიიყვანა. მოთხრობის დასასრულს შვილის საფლავთან ნელი ასე მსჯელობს: „ბოლოს და ბოლოს აქ მისთვის უკეთესია, იგი“

ალბათ, ისევე უბედური იქნებოდა, როგორც მე“.

მარგარეტ ჰარკნესმა საპასუხო წერილში მადლობა გადაუხადა ენგელსს შენიშვნებისათვის და დაეთანხმა მას. მაგრამ შემდგომ მწერალმა ქალმა მაინც ვერ გაართვა თავი მისი, მსოფლმხედველობისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობებს და თავის ნაწარმოებებში ცდილობდა სოციალისტური იდეალები ეკლექტიკურად შეერწყა ბურჟუაზიულ-ფილანტროპიულ იდეალებთან.

მარგარეტ ჰარკნესისადმი წერილში მნიშვნელოვანია არა მისი მოთხრობის „ქალაქელი ქალიშვილის“ სუსტი მხარეების განხილვა: არამედ ის ზოგადთეორიული დებულებანი, რომლებიც ამოსავალ პრინციპებად იქცნენ რეალიზმის ცნების დადგენისათვის. ენგელსი აღნიშნავს: ჩემი შეხედულებით; რეალიზმი დეტალების სიმართლით გადმოცემის გარდა გულისხმობს ტიპურ ვითარებებში ტიპური ხასიათების სწორ რეპროდუქციას.¹⁷ „ტიპური ვითარებაში“ ენგელსი გულისხმობს სოციალურ კონფლიქტებს, იმ სოციალურ ისტორიულ გარემოს, სადაც მოცემულ ისტორიულ მომენტში მოქმედებს ესა თუ ის კლასი, ან სოციალური ფენა. ხოლო „ტიპური ხასიათები“ ეს განზოგადებული სახე-ხასიათებია, რომლებიც, რა თქმა უნდა, არ გა-

მორიცხავენ დრმა ინდივიდუალობას და მთელი სისრულით ასახავენ მოცემული სოციალური წრის არსს კონკრეტულ ისტორიულ მომენტში, მაგრამ ენგელსის ამ ფორმულის აბსოლუტიზირება და მხოლოდ მასზე რეალიზმის კონცეპციის აგება არ იქნება ამომწურავი. ჯერ ერთი, ენგელსის დებულება განსაზღვრავს რეალიზმის მხოლოდ ერთ-ერთ, თუმცა მნიშვნელოვან ნიშანთვისებას, ხოლო მეორე მხრივ, ენგელსი ეხებოდა არა საერთოდ რეალიზმს, არამედ გარკვეული ისტორიული მონაკვეთის, კერძოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის რეალიზმს, „რეალიზმს, რომელიც მე მაქვს მხედველობაში“, როგორც იქვე დასძინდა ენგელსი.

სწორედ რეალიზმის პრინციპების დაცვის სურვილმა გამოიწვია ის ღიდი ინტერესი, რომელიც მარქსმა და ენგელსმა გამოიჩინეს ფერდინანდ ლასალის დრამის „ფრანც ფონ ზიკინგენის“ (1859 წ.) მიმართ. ისინი ლასალს საყვედურობდნენ იმას, რომ ავტორმა დრამის ცენტრში დააყენა შიდაფეოდალური კონფლიქტი, კონფლიქტი რაინდებსა და ფეოდალებს შორის და არა მე-16 საუკუნის გერმანიისათვის დამახასიათებელი კონფლიქტი ფეოდალებსა და „გლეხურ-პლებეურ ოპოზიციას“ შორის, რამაც გამოიწვია 1524-1525 წლების გლეხთა ომი გერმანიაში. მაშასადამე ლასალმა თავის ისტორიულ ტრაგედიაში მოცემული კონფლიქტის

განხილვისას უგულებელყო ისტორიზმი, რითაც საერთოდ გამორიცხა სინამდვილის დამაჯერებელი ასახვის შესაძლებლობა. მარქსი და ენგელსი თანამედროვე გერმანული ლიტერატურისაგან მოითხოვდნენ შემოქმედებითად გამოეყენებია შექსპირისა და განმანათლებელთა რეალიზმის ტრადიციები. მარქსი და ენგელსი აღნიშნავდნენ, რომ ლასალის „ფრანც ფონ ზიკინგენი“ ვერ აკმაყოფილებდა „მომავალი დრამის“ მოთხოვნილებებს და ყურადღება მიაქცევს განსაკუთრებით ორ ძირითად მომენტს: ჯერ ერთი, დრამატურგმა თავის ისტორიულ ტრაგედიაში ვერ გვიჩვენა გლეხთა ომის დროინდელი ნამდვილად რევოლუციური ძალების მოქმედება და პერსპექტივები, მეორეც ის, რომ მან დამახინჯებულად წარმოადგინა თავადაზნაურული დემოკრატიისათვის მებრძოლი აზნაურები ზიკინგენი და ჰუტენი, როცა ისინი გამოიყვანა რევოლუციური მოძრაობის ბელადებად. სწორედ ამით უღალატა ლასალმა ისტორიულ სიმართლეს. ენგელსი ლასალის ყურადღებას მიაქცევდა იმას, რომ „ტრაგიკული იდეის“ კონკრეტული განხორციელებისას დრამატურგმა ვერ შესძლო თავადაზნაურობის მოძრაობის ხასიათისა და მნიშვნელობის გაგება, რამაც ხელი შეუშალა ეჩვენე-

ბია „ზიკინგენის ბედის ნამდვილი ტრაგიკული ელემენტი“.¹⁸

ენგელსის აზრით, ლასალს უნდა ეჩვენებია რევოლუციაში ხალხთა მასების ტრაგედია და ამიტომაც მას დრამის გმირად უნდა აერჩია ისეთი ისტორიული პიროვნება, რომლის მხატვრულ სახეშიც ყველაზე სრულად გამოიკვეთებოდა მასების მისწრაფებანი. გლეხთა ომის ეპოქისათვის ასეთ პირად ენგელსს სამართლიანად მიაჩნდა თომას მიუნცერი.

ლასალისადმი წერილებში მარქსი და ენგელსი ხაზს უსვამდნენ იმას, რომ ლასალი ჩამოცილდა რეალიზმის პრინციპებს. ენგელსი წერდა ლასალს, რომ მის დრამას „ფრანც ფონ ზიკინგენი“ თვლიდა „მეტისმეტად აბსტრაქტულად, არასაკმაო რეალისტურად“.¹⁹ ლასალი თავის ტრაგედიას მსკვალავდა აბსტრაქციითა და ყალბი პათეტიკით, ინდივიდებს აქცევდა, როგორც მარქსი აღნიშნავდა, „ეპოქის სულისკვეთების უბრალო რუპორებად“. მარქსისა და ენგელსის მოთხოვნა, რომ ლასალს უფრო მეტად უნდა მოეხდინა „შექსპირიზება“, „იდეალურის იქით არ დავიწყებოდა რეალისტური, შილერის იქით — შექსპირი“²⁰, იქცა რეალიზმის პროგრამად. ამიტომაც გასაკვირი

18 ფ. ენგელსის წერილი ფ. ლასალს (1859 წ. 18 მაისი). კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, თბილისი, 1949, გვ. 116.

19 იქვე, გვ. 115.

20 იქვე, გვ. 116.

არაა, რომ თანამედროვე მარქსისტულ შრომებში რეალისტური ხელოვნების განსაზღვრისას ყურადღების ცენტრში დგას სწორედ ლასალისადმი წერილები.

ენგელსი მუდამ ხაზს უსვამდა მუშათა კლასის ჩამოყალიბებადი კულტურის ინტერნაციონალურ ხასიათს. ამ იდეამ განსაკუთრებით იჩინა თავი მის სტატიაში „ერთა დღესასწაული ლონდონში“ (1845წ.). ამ სტატიაში ენგელსი აღწერს ერთა დღესასწაულს, რომელიც შედგა 1845 წლის 22 სექტემბერს ლონდონში, საფრანგეთის პირველი რევოლუციის წლისთავზე და რომელზეც თავი მოიყარეს სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლებმა, ემიგრანტმა რევოლუციონერებმა. ენგელსი აქ აღნიშნავს, რომ თანამედროვე დემოკრატია „პროლეტარულ პრინციპად, მასების პრინციპად“ იქცა, რომ მხოლოდ პროლეტარებს შეუძლიათ მოსპონ ნაციონალური განკერძოება, მხოლოდ პროლეტარიატს, რომელიც იღვიძებს, შეუძლია დაამყაროს ძმობა სხვადასხვა ერებს შორის“.²¹

კომუნისტური პარტიის მანიფესტში მარქსმა და ენგელსმა გენიალურად განსაზღვრეს, რომ „ცალკეული ერის გონებრივი ნაწარმოები საერთო კუთვნილებად

ხდება“, რომ „ეროვნული ცალმხრივობა და შეზღუდულობა სულ უფრო და უფრო შეუძლებელი ხდება და მრავალი ეროვნული და ადგილობრივი ლიტერატურიდან ერთიანი მსოფლიო ლიტერატურა იქმნება“.²²

სწორედ მე-19 საუკუნეში ასე თვალნათლივ იჩინა თავი ცალკეულ ლიტერატურათა ურთიერთზეგავლენამ და ურთიერთგამდიდრებამ. ბევრმა ქვეყანამ თავი დააღწია ფეოდალურ კარჩაკეტილობას და ჩაება მსოფლიო ლიტერატურის განვითარების საერთო ფერხულში. სწორედ ამ პროცესმა წინა პლანზე დააყენა მე-19 საუკუნის რუსული რეალისტური ლიტერატურა. სწორედ ამ პროცესის წყალობით ქართული ლიტერატურა ეზიარა სხვა ლიტერატურათა კეთილმყოფელ ზეგავლენას, გამდიდრდა ახალი ჟანრებით და თავის მხრივ გარკვეული წვლილი შეიტანა რეალისტური ლიტერატურის განვითარებაში.

ენგელსი, რომელიც დარწმუნებული იყო მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებაში, „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ იტალიური გამოცემის წინასიტყვაობაში წერდა იმის შესახებ, რომ ორი ეპოქის — კაპიტალისტური

21 ფ. ენგელსი, ერთა დღესასწაული ლონდონში, კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თბ. ტ. 2. 589-590.

22 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბილისი, 1956, გვ. 43.

და სოციალისტური ეპოქის გარ-
დამავალ პერიოდში უნდა გამო-
ჩნდეს ისეთი დიდი პოეტი, რო-
გორიც იყო დანტე.

მარქსთან ერთად ენგელსმა და-
ამტკიცა, რომ კაპიტალისტური
წესწყობილება მეტად დამლუბვე-
ლად მოქმედებს ხელოვნების,
ლიტერატურის განვითარებაზე და
მათ ნამდვილ გაფუფრქვენას უკავ-

შირებდა საზოგადოებრივ ურთი-
ერთობათა რევოლუციურ გარ-
დაქმნას. ასე დაუჟავშირა ენგელს-
მა კულტურის, ხელოვნებისა და
ლიტერატურის ბედი პროლეტა-
რული რევოლუციის პრობლე-
მებს, რევოლუციისა, რომელმაც
გრანდიოზული პერსპექტივები
დაუსახა მხატვრული ლიტერა-
ტურის განვითარებას.



ნ ე რ ი ლ ე ბ ი



აღმასრულებელი რედაქტორი

იან ამოს კომენსკი—დიდი ჰუმანისტი

ნოემბერში შესრულდა დიდი ჩეხი მო-
აზროვნე-ჰუმანისტის, პედაგოგიური მე-
ცნიერების მამამთავრის იან ამოს კომენ-
სკის გარდაცვალების 300 წლისთავი.

კომენსკის სამართლიანად უწოდებენ
ბრწყინვალე გენიას, აღზრდის დარგის
გალილეის, რომელმაც დაჰკარგა თავისი
სამშობლო, მაგრამ შეიძინა მთელი მსო-
ფლიო, გახდა საყოველთაო მრჩეველი.
გამოჩენილი გერმანელი მოაზროვნე, ფი-
ლოსოფოსი ლაიბნიცი კომენსკისადმი მი-
ძღვნილ ლექსს შემდეგი სტრიქონებით
ამთავრებს:

მოვა დრო, ჰოი, კომენსკი,
როს შენს ღვაწლს,
ფიქრსა და ანდერძს ხალხი
უკეთესი შენ დაგვიხსენებს.

ეს დროც მოვიდა. ოქტომბრის სოცია-
ლისტური რევოლუციის გამარჯვებამ
შექმნა ყველა პირობა ჯერ სსრ კავშირში,
ხოლო შემდგომ მომე სოციალისტურ
ქვეყნებში, მათ შორის კომენსკის სამ-
შობლოში — ჩეხოსლოვაკიაში, კომენს-
კის ჰუმანისტურ-დემოკრატიული იდე-
ების განხორციელებისათვის.

სამი საუკუნე გვაშორებს კომენსკის,

მაგრამ იგი კვლავ ახლობელი და ძვირ-
ფასია ჩვენი თაობისათვის, ყველა კეთი-
ლი ნების ადამიანისათვის. და ეს იმი-
ტომ, რომ კომენსკის ღრმად სწამდა ადა-
მიანის გონების უდიდესი შემეცნებითი
და შემოქმედებითი, გარდამქმნელი ძალა,
სჯეროდა მეცნიერებისა და ტექნიკის
ტრიუმფული პროგრესისა. ახლა, როცა
ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების
საიუბილეო წელს საბჭოთა მეცნიერებ-
მა წარმატებით განახორციელეს მთვარე-
ზე ავტომატური სადგურის დაშვება,
გრუნტის აღება და უკან დაბრუნება, არ
შეიძლება არ გავიხსენოთ კომენსკის
მრავლისმთქმელი სიტყვები: ადამიანს, ამ
უმაღლეს კმნილებას რატომ არ უნდა შე-
ეძლოს ბოლომდე შეიცნოს თავისი თა-
ვიც და სხვაც?

ასეთი მაღალი წარმოდგენისა იყო კო-
მენსკი ადამიანზე. ადამიანი და ადამიან-
ურობა კომენსკის ეთიკის უმაღლეს კატე-
გორიას, აპოთეოზს წარმოადგენს. ხოლო
იმისათვის, რომ ადამიანში ჩამოყალიბ-
დეს ადამიანურობა, კომენსკის აზრით,
საჭიროა მან უწინარეს ყოვლისა შეიც-
ნოს გარესამყარო და თავისი თავი. ეს
შეცნობა კი იწყება შეგარძნებით. «გარძნო-
ბა უშუალოდ აწყდება საგანს და, სწრა-

ფად ჩაავლეს რა მას ხელს, ესწრაფვის მის „შეცნობას“. „ამის შესაბამისად, — განაცხადებს კომენსკი, — საჭიროა საშუალება მივცეთ მას (გრძნობას — ა. გ.), წააწყდეს ყოველივეს, რაც უნდა შეიცნოს, რათა დარწმუნებული იყოს, რომ იგი ითვისებს და შეიცნობს არა სხვებზე დაწლებით, არამედ თვითონ, ჭკერტის, მოსმენის, გემოს შეგრძნების საშუალებით“.

როგორც ვხედავთ, კომენსკის ჰუმანიზმი, უწინარეს ყოვლისა, ჩანს მის გნოსეოლოგიურ შეხედულებებში. მას მტკიცედ სჯერა ადამიანის უდიდესი შემეცნებითი უნარისა. იგი თვლის, რომ ადამიანი თვით არის პატარა სამყარო „მიკროკოსმში“, როგორც თვითონ ამბობდა ხოლმე, რომ „ყველა სავანი შექმნილია ადამიანის გულისათვის, მაგრამ ღირსებით მასზე დაბლა დგას“.

კომენსკი აღიარებს ადამიანის მიერ სამყაროს შეცნობადობას, ამასთან ვერ ურიგდება მეცნიერებაში დილეტანტიზმს, უეცობას და სასტიკად დასცინის იმ პირთ, რომელთაც საგანზე ჭეშმარიტი ცოდნა არ გააჩნიათ: „შეგხვდეთ ერთ მაგისტრთაგანს, — წერს კომენსკი, — რომელსაც დაავალეს, დათვალო რამეო, მაგრამ ეს ვერ შეძლო: უბრძანეს, გაეზომა — ესეც ვერ შეძლო, დაესახელებინა ვარსკვლავები — ვერ შეძლო, უცხო ენაზე ელაპარაკა — ვერ შეძლო და ვერც თავის ენაზე მოახერხა ლაპარაკი. ბოლოს უბრძანეს, წაეკითხა და დაეწერა მაინც რამე — ესეც ვერ შეძლო. „რა საცოდაობაა, — ვთქვი მე, — შეიძლია მეცნიერების მაგისტრად იწერებოდე და არაფერი კი არ იცოდე?“ (დ. ლორთქიფანიძე, იან ამოს კომენსკი, 1964, თბილისი, გვ. 129).

კომენსკის ჰუმანიზმი კიდევ უფრო რელიგიურად მოსჩანს მის სოციალურ შეხედულებებში. იგი გადაჭრით დგას მშრომელთა, ჩაგრულთა მხარეზე; ახასიათებს სხვადასხვა წოდების, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს, მმართველ წრეებს, სახელმწიფო—საერო და სასულიერო აპარატის მოხელეების, მოსამა-

რთლეების, ფილოსოფოსებისა და მწიგნობართა მუშაობას და აღმოაჩენს, რომ საზოგადოებაში გამეფებულია ადამიანთა უთანასწორობა. ამ ნიადაგზე უმცირესობა ფუფუნებაში და უქმად ყოფნაში ატარებს წუთისოფელს, ხოლო უმრავლესობა — აუტანელ არაადამიანურ პირობებში ცხოვრობს, გაჭირვებაში გვინავს და საშინელ დამცირებასა და დევნას განიცდის; რომ „ერთნი ცხოვრობენ სიუხვეში, ხოლო მეორენი, პირიქით გაჭირვებისაგან სულს ღაფავენ; ერთნი მუდამ ფუფუნებაში არიან ჩაფლულნი, ხოლო მეორენი შიმშილისა და წყურვილისაგან კვდებიან; ერთნი უღარდელად, სულ უშრომლად ცხოვრობენ, ხოლო მეორენი, როგორც სახედრები, დამაძაბუნებელ შრომაში ატარებენ დღე-ღამეს“.

კომენსკი ეძიებს ადამიანთა შორის უთანასწორობის მიზეზს და ღმერთთანაც კი მართავს პაექრობას, როგორც თანატოლთან. მას ეუბნება, რომ აშკარა უსამართლობაა, მდიდრებს ყველაფერი თავსაყრელი აქვთ, ხოლო მშრომელი ადამიანი გაჭირვებულია. ბევრ მდიდარს „ფარდულები და საკუჭნაოები ისე აქვს გამოტენილი დოვლათით, რომ თავგები უფუტეებენ, ჩვენ კი ამ დროს შიმშილით ვიხოცებით. მათ კარადები ისე აქვთ გამოტენილი ქურქებით, ბეწვეულით, კაბებით, ლაბადებით, რომ ჩრჩილი ანადგურებს, ჩვენ კი ნახევრად ტიტელები დავდივართ“. ბოლოს კომენსკი პროტესტითაც კი მიმართავს ღმერთს: „რით არიან ისინი ჩვენზე უკეთესები, ჩვენზე ასე მაღლა რომ დააყენე და ამპარტყენობის საბაბი მიეცი? მათ დღესასწაულების დღეებშიც კი არა აქვთ იმდენი სინდისი, რომ ჩვენდამი თუნდაც მცირედი სიყვარული გამოავლინონ... ისინი საზეიმო დღეებში ტკბებიან ფუფუნებით, ჭამენ, სვამენ, მოილხენენ, ჩვენ კი ნელ-ნელა ვიხოცებით შიმშილისაგან“ (ი. ა. კომენსკი, სიბრძნის სანიავებელი, 1970, გვ. 66-67).

კომენსკის მზის სინათლეზე გამოაქვს იმდროინდელ საზოგადოებაში გამეფებული ადამიანის ღირსების დამამცირე-



ბელი ქცევა, თანამდებობის პირთა და მოხელეთა შორის გამეფებული უზნეობა, რის წყალობითაც ადამიანები წინაურდებიან არა ნიჭისა და უნარის მიხედვით — ქრთამისა და თვალთმაქცობის მეოხებით: შეეხედე და შეგნიშნე, წერს კომენსკი, რომ „ზოგიერთი მათგანი ადგილს (თანამდებობას) ყიდულობდა, მეორე — თხოვნით შოულობდა იმ ადგილს, მესამე მლიქვნელობით იძენდა, მეოთხე თვითნებურად ჯდებოდა“.

კომენსკი არ იშურებს მუქ ფერებს, რათა ხან ალევგორიულად, ხან პირდაპირ მკაცრი სარკაზმით ამხილოს უგულო თანამდებობის პირები, რომლებიც მშრომელთა ჭირვარამს არაფრად აგდებენ. როცა ამ უკანონოდ დაწინაურებულ ადამიანებს დაუყვირდი, წერს კომენსკი, შეგნიშნე, რომ თითქმის ყველას აცლდა ესა თუ ის ნაწილი, რომელიც აუცილებელია ადამიანისათვის; ზოგს ყურები არ ჰქონდა, რომლითაც შეეძლოთ ქვეშევრდომთა საჩივრის მოსმენა, მეორენი უთვალონი იყვნენ და ცხვირწინ ვერ ხედავდნენ უწყსრიგობას, მესამენი — უცხოვრონი — ვერ იღებდნენ თადლითური ხრიკების, უკანონობის გემს, მეოთხენი უნარი იყვნენ და უტყვი და ჩაგრული ადამიანების ქომაგობას ვერ სწევდნენ, მეხუთენი — უხელონი სამართლიანი განაჩენის სისრულეში მოყვანას ვერ ბედავდნენ, ბევრს გულიც კი არ გააჩნდა, რომ შეესრულებინა ის, რაზედაც სამართლიანობა მიუთითებდა (ი. კომენსკი, რჩ., თხზ. ტ. 2, გვ. 506).

საერო ხელისუფლების კრიტიკის შემდეგ ი. კომენსკი ამხელს სასულიერო წოდებას. იგი ფარდას ხდის ეკლესიის მსახურთა გახრწნილებას და მათ ვერაგობას ხალხის მიმართ. მივედიო, გადმოგვცემს კომენსკი, იქ, სადაც მღვდლები ცხოვრობდნენ, მეგონა, მათ ლოცვაზე დამდგართ ანდა წირვა-ლოცვის შესწავლაში გართულთ ვიხილავდი, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ბუმბულში გახვეულიყვნენ და ზვრინავდნენ, სხვები მაგიდების ირგვლივ შემომსხდარნი, ღრვობდნენ, ღორმუცლობდნენ, ზოგიც მრუ-

შობასა და უხანსობას არ ერიდებოდნენ „ღვთის გულისათვის, შემებრალებად წამოიძახებს კომენსკი, — ნუთუ ასეთები უნდა იყვნენ სამოთხის მოციქულები და სათნოების მაგალითის მიმცემნი... ეფიქრობ, — დაასკვნის კომენსკი, — მაგათ შეცდომით უწოდებენ სულიერ მამებს. უფრო სწორი იქნებოდა მხვეწელი მამები ეწოდებინათ“ (ი. კომენსკი, რჩ., ტ. 2, გვ. 449).

ასე გაბედულად აკრიტიკებს კომენსკი ეკლესიის მსახურთ. ეს მაშინ, როცა კათოლიკური ეკლესიის მიერ გაჩაღებული ინკვიზიციის კოცონები ჯერ კდეც ჩამქრალი არ იყო, როცა საფრთხე ელოდა ყოველივე ჯანსაღსა და პროგრესული აზრის არა მარტო გამომთქმელს, გამფიქრებელსაც კი. ამის შემდეგ ერთგვარ მკრეხელობად გვეჩვენება აქცენტი გადავიტანოთ კომენსკის ლიტერატურულ-თეორიული შემკვიდრებობის რელიგიურ-ხასიათზე. სამწუხაროდ, ეს ტენდენცია შეინიშნება ზოგიერთ ნაშრომში. კიდევ მეტი, ასეთ ცალმხრივობას ეპოულობთ ზოგიერთ სახელმძღვანელოშიც. მაგალითად, პედაგოგიკის ისტორიაში, რომლის რედაქტორია ნ. ა. კონსტანტინოვი და სხვ. (1959 წ.) 56-ე გვერდზე ვკითხულობთ: „აღზრდის მიზანი კომენსკის გამოჰყავდა რელიგიიდან; აცხადებდა, რომ ამ მიზანს შეადგენს ადამიანის მოზადება მუდმივი, იმქვეყნიური ცხოვრებისათვის“.

რასაკვირველია, კომენსკის მსოფლმხედველობაში ბევრია წინააღმდეგობრივი და არასწორი. მის შრომებში შეიძლება ვიპოვოთ ისეთი რამ, რაც ხელს აძლევს თანამედროვე თეოლოგებსაც. მაგრამ მთავარია ვხედავდეთ ძირითად ხაზს, ორიენტაციას მიწისაკენ და არა ზეცისაკენ, ცხოვრების გაუკეთესებისაკენ. აღზრდის მიზანიც ამ ამოცანისადმი დაქვემდებარებული. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ კომენსკი, როგორც „ჩეხთა ძმობის“ ეპისკოპოსი, თავისებურ ხარკს უხდიდა ეპოქას, თავის წოდებას. ილია ჭავჭავაძე წერდა: „ქეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ-

იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შეილ-ნიცა“ (ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ კრ., ტ. 2, 1941, გვ. 346).

ცხადია, დაუშვებელია ძველი დროის პედაგოგების იდეალიზაცია, შელამაზება, მათი მოძღვრების სუსტი მხარეების მიჩ-ქმაღვა. ამასთან, როგორც წარსულის კულტურული მემკვიდრეობისადმი ლე-ნიწური მიდგომა მოითხოვს, ამ მემკვიდ-რეობის განხილვის დროს ყურადღება განსაკუთრებით არ უნდა გავამახვილოთ მათ ისტორიულად გაპირობებულ დრო-მოქმულ მხარეებზე. სასიხარულოა აღი-ნიშნოს, რომ მსოფლიო კომუნოლოგებს შორის კომენსკის პედაგოგიური მემკვი-დრეობისადმი ჭეშმარიტი მარქსისტული მიდგომის ნიშნად გვიჩვენა ქართველმა მეცნიერმა, სსრ კავშირის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონ-დენტმა, ბრატისლავის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორმა პროფესორმა დავით ონისიმეს ძე ლორთქიფანიძემ, რომელ-ზეც ჩემი პროფესორი მიროსლავ ციპრო ამას წინათ წერდა: დ. ლორთქიფანიძემ „გაიკეთა გზა კომენსკის უმდიდრესი პე-დაგოგიური მემკვიდრეობის სამართლია-ნი შეფასებისა და გამოყენებისათვის“ (გაზ. სახალხო განათლება“, 4. IX. 1970).

კომენსკი არ დაკმაყოფილებულა არსე-ბული საზოგადოებრივი ცხოვრების მან-კიერი მხარეების მარტო მხილებით. იგი, მართალია, უტოპიური სახით, მაგრამ მაინც იძლევა უკეთესი საზოგადოების სქემასაც, სადაც „ყველასათვის ყველა-ფერი საერთოა და ერთი სული აქვთ, ისინი ერთ ოჯახს შეადგენენ, გამოირჩე-ვიან გულუბლიაობით და შეკავშირებული არიან წმინდა ამხანაგობით... არავის ერ-თიმეორეზე მეტი არა აბადია რა, ვარდა შემთხვევითი ნივთებისა. ამიტომ ერთმა-ნეთს ასწრებენ ნუგეშსაც და სალამსაც და ხალისით ეხმარებიან ერთიმეორეს. ყველა სარგებლობს თავისი ადგილით, რომ სხვებს რჩევა-დარიგებით გამოად-გეს. ვისაც რჩევის მიცემა შეუძლია — ურჩევს, ვისაც ცოდნა აქვს — ასწავლის, ვისაც ღონე აქვს — სხვებს იცავს. ვი-

საც მმართველობა ხელთ უპყრის, მათვე ლაფერში წესრიგი აქვს. თუ ვინმე რა-მეში შეცდება, სხვები ეხმარებიან გამო-სწორებაში, თუ ვინმე შესცოდავს, სჯიან მას და არაეინ იშურებს არც რჩევას, არც დარიგებას, ოღონდ სასჯელი მოიხი-დოს, დამნაშავე კი სულითა და გულით ცდილობს მითითებისამებრ გამოისყიდოს შეცოდება თავისი და გასწიროს თვით ხორცი თვისი, თუკი დაუმტკიცებენ, რომ იგი მას არ ეუფლებინ“ (ი. კომენსკი, თხზ., ტ. 2, გვ. 571).

ეს გრძელი ამონაწერი იმითმ მოვი-ტანეთ, რომ მკითხველისათვის უფრო ნათლად წარმოგვედგინა დიდი ჰუმანი-ტის საწუქვარი ოცნება — ეხილა კაცო-ბრიობა ბედნიერი და ქვეყანაზე გამეფე-ბულიყო კაცთმოყვარეობა. მართალია, აქ ერთგვარი ქრისტიანული კომუნიზმის იდეებია გადმოცემული, მაგრამ არსები-თი ისაა, რომ კომენსკი ხალხთა უკეთესი მერმისის ფიქრით იყო შეპყრობილი. ეს კიდევ უფრო რელიგიურადაა წარმო-დგენილი მის ნაშრომში „საყოველთაო რჩევა-დარიგება ადამიანთა საქმეების გამოსასწორებლად“.

კომენსკის დაწერილი ჰქონდა სოციალ-პოლიტიკური და ფილოსოფიურ-პედა-გოგიური შრომა „ადამიანთა საქმეების გამოსწორების ზოგადი რჩევა“. მაგრამ ამ შრომიდან დიდხანს მხოლოდ ორი ტომი იყო ცნობილი და მიაჩნდათ, რომ სხვა ტომები დაკარგა. მეორე მსოფ-ლიო ომის შემდეგ შესაძლებელი გახდა, აღმოეჩინათ ვრცელი მასალა — 125 ნაბეჭდი თაბახი ლათინურ ენაზე. ეს არის შვიდი ტომისაგან შემდგარი ფუნ-დამენტური ნაშრომი საერთო სათაუ-რით „საყოველთაო რჩევა“. სწორედ აქ, ამ ნაშრომში აქვს კომენსკის გადმოცე-მული მსოფლიოს გარდაქმნის თავისი გეგმა.

1967 წლის 21-22 სექტემბერს ჩეხოს-ლოვაკიაში, ქ. ოლომოუცში მიმდინა-რეობდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ი. კომენსკის ახალ-აღმოჩენილ შრომას. მოისმინეს 27 მოხ-სენება, მათ შორის ოთხი საბჭოთა მე-

ნიერისა იყო, კერძოდ, ნ. კ. გონჩარო-
ვის, ი. ა. კაიროვის, ა. პისკუნოვისა და
ჩვენი თანამემამულის, ცნობილი კომენ-
ტოლოგის დ. ო. ლორთქიფანიძისა.

„საყოველთაო რჩევის“ მე-6 წიგნი.—
„ბანარტონია ანუ საყოველთაო გამოს-
წორება“, როგორც პროცესორი დ. ლო-
რთქიფანიძე აღნიშნავს, კომენსკის ყველა
შრომის გვირგვინია. იგი ეხება საზოგა-
დოებასა და მის სოციალ-პოლიტიკურ
საფუძვლებს. მასში გაშუქებულია რო-
გორც სახელმწიფოს შიგნით, ასევე სა-
ხელმწიფოთა შორის ურთიერთობის ვა-
რდაქმნისა და ახალ საფუძვლებზე მოწყ-
ვრილების საკითხები. ამ შრომაში აღძ-
რული და განვითარებული დებულებანი
არამარტო მოწმობს კომენსკის ხანგრძ-
ლივ და ღრმა დაკვირვებას საზოგადოე-
ბრივი ცხოვრების ურთულეს მოვლენე-
ბზე, არამედ ცხადყოფს აგრეთვე კომენ-
სკის დიდ ჰუმანიზმსა და დემოკრატიზმს.

ქართველი მკითხველი კომენსკის აღნი-
შნულ შრომას ეცნობა ძირითადად
პროფ. დ. ლორთქიფანიძის ფუნდამენ-
ტური ნაშრომით „იან ამოს კომენსკი“,
(1964, თბ.) და ახლახან იუბილესთან
დაკავშირებით გამოცემული ი. ა. კომე-
ნსკის შრომის „სიბრძნის სანიავებელი“
დამატებებით (1970 წ. თბილისი).

კომენსკი ოცნებობდა იმაზე, რომ
კაცობრიობა ეხილა ერთიანი, როგორც
პარმონიული ოჯახი, რომელშიც ყველა
ადამიანი და ყველა ხალხი იცხოვრებდა
თანასწორი უფლებით, ყოველგვარი ქა-
ლადობისა და ომების გარეშე, ერთიანი
მაღალი საკაცობრიო იდეალებით. დიდი
ჰუმანისტი, დემოკრატი თვლიდა, რომ
საზოგადოების გარდაქმნა და აღორძინე-
ბა არა მარტო საესებით შესაძლებელია,
ბუნებრივადაც აუცილებელია. საგუ-
ლისხმოა, რომ კომენსკი ამ გარდაქმნაში
გადამწყვეტ როლს აკუთვნებს ხალხს,
მის აქტივობას.

ადამიანთა საქმეების გამოსწორების
ძირითად გზად კომენსკი თვლის „სინათ-
ლის გზას“, ამიტომ იგი „იდეალურ სა-
ზოგადოებად“ მიიჩნევს ისეთ საზოგა-
დოებას, სადაც ყოველი ხალხი თანასწო-

რია, მიუხედავად იმისა პატარაა თუ დი-
დი თავისი რაოდენობით. „თავისუფლე-
ბის მზე, — კომენსკის მიხედვით, — ყვე-
ლა ხალხს თანაბრად უნდა უნათებდეს,
არ ედგას მონობის უღელი“. კომენსკის
მოთხოვნა იყო, რომ ყველა სახელმწიფოს
ეზრუნა ხალხის ინტერესების შესაბამი-
სად, რათა ააყვავოს ერთიანული კულტუ-
რა, ენა, აამღლოს ხალხის კეთილდღეობა
და უზრუნველყოს თანასწორი ადგილი
სხვა ხალხთა შორის. მას ღრმად სწამდა,
რომ „მოვა დრო, როცა მთელი ქვეყნის
საუხავე მოხმარდება ყველას და არა ერ-
თეულებს, ისე რომ ყველა ადამიანს შე-
საძლებლობა ექნება ჰამოს, სვას, ჩაიღ-
ვას და მშვიდობიანად გაატაროს თავისი
სიცოცხლე“ (დ. ლორთქიფანიძე, იან
ამოს კომენსკი, 1964, გვ. 163).

ადამიანი, კომენსკის აზრით, „უსაზღვ-
როდ აღერსიანი, მისიყვარულე და
წყნარი უნდა იყოს. მაგრამ ის გარემოე-
ბა, რომ ადამიანი თავს არიდებს ად-
მიანს, არ შეუძლია მტრულად არ მოეპყ-
რას სხვების აზრს, რომ ერთი მეორის
მიმართ ბოროტად არის განწყობილი, —
ყოველივე ეს მოწმობს ჰუმანურობის
სრულ დაცემას ჩვენს დროში“. კომენს-
კის შეუწყნარებლად მიაჩნია ადამიანთა
ასეთი დამოკიდებულება და თავის უკმა-
ყოფილებას საკმაოდ მკაცრ ფორმებში
გამოხატავს. აი რას წერს იგი: „ასეთი
მაგალითები არ მოიძებნება არც ერთ
უენო ცხოველში, გარდა ავი ძაღლებისა,
რომლებიც განუწყვეტელი უღრქენენ
კბილებს ერთმანეთს, ყეფენ, იკბინებიან
და ერთმანეთს ასისხლიანებენ“. (ი. ა.
კომენსკი, სიბრძნის სანიავებელი, 1970,
გვ. 78).

ადამიანის ბუნების უდიდესი მცოდნე
ყველაზე მეტ მნიშვნელობას ადამიანი-
სთვის ანიჭებს თავისუფლებას; ად-
მიანს არავითარ შემთხვევაში არ სურს
და არ შეუძლია დაუშვას ძალადობა.
იგი შექმნილია როგორც ყველაფერში
თანასწორი თავის მახლობლებთან... მეტ-
ნაკლები ნიჭიერება, გონიერულობა ან
მეხსიერება არ წყვეტს საკითხს არის იგი
ადამიანი თუ არა, ისინი მოწმობენ მხო-

ლოდ მეტ-ნაკლებად სწრაფ განვითარებას... თავისუფლება — ეს ყველაზე ძვირფასია, რაც კი აქვს ადამიანს... საჭიროა მივალწოთ, რომ თავისუფლების მზე ყველას ერთნაირად უნათებდეს (იქვე, გვ. 81).

რამდენადმე უტოპიურია მაგრამ ღრმა ჰუმანიზმით არის გამსჭვალული ი. კომენსკის გეგმა საერთაშორისო ორგანოს დაარსების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფდა ადამიანებსა, ხალხებსა და სახელმწიფოთა შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარებას. აქ ყურადღებას იპყრობს კომენსკის პროგნოზი ამჟამად არსებული გაერთიანებული ერების ასამბლეის მსგავსი საერთაშორისო ორგანოს შექმნის შესახებ. ი. კომენსკის აზრით, ამ ორგანოს ძირითადი ფუნქცია უნდა იყოს მშვიდობის დაცვა, ომების თავიდან აცილება, ყველა საკითხის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა. ამასთან დიდი ჰუმანიტი ერთი წუთითაც არ იეიწყებს ადამიანის პიროვნებას, პიროვნების თავისუფლებას და რჩევას აძლევს ასეთი საერთაშორისო ორგანოს მესვეურებს: „საჭირო იქნება ვიმოქმედოთ დიდი სიფრთხილით, რომ ღონისძიებები ატარებდეს არა დადგენილებების, არამედ რეკომენდაციების ფორმას... ვინაიდან ადამიანი თავისი ბუნებით ძალიან უფრთხილდება თავისუფლებას და ვერ იტანს განკარგულებებს, ის ამჯობინებს მიიღოს უფრო ცუდი საგანი თავისი შერჩევით, ვიდრე სხვისი შერჩევით უკეთესი... მისი სურვილია, მას პატივს სცემდნენ და არ ამცირებდნენ“.

იმისათვის რომ სახელმწიფოთა და ადამიანთა შორის აღმოიფხვრას უთანხმოებანი, კომენსკის აზრით, უნდა მიმართონ სამ გზას: ადამიანები უნდა გადაევიონ თავის გრძნობებზე მეტისმეტად მინდობას, მხედველობაში უნდა ჰქონდეთ საერთო ადამიანური სისუსტე და უღირსი საქციელად თვლიდნენ ადამიანის მიერ ადამიანის სიძულვილს წვრილმანი მიზეზების გამო, უნდა დაივიწყონ წარსულში ერთმანეთს შორის დავა, ცილისწამება და შეურაცხყოფა; მეორე გზა:

არავინ ძალით თავს არ უნდა მოახვიოს სხვას თავისი შეხედულებებით... უნდა მიეცეს შესაძლებლობა დაიცვას თავისი საკუთარი შეხედულებანი და მშვიდლად იცხოვროს თავისი შეხედულებისამებრ; მესამე გზა: ყველამ საერთო ძალღონით და ბეჯითად უნდა ეძიოს უკეთესი და ისწრაფოდეს გრძნობების, სურვილებისა და მოქმედების ერთიანობისაკენ (ი. ა. კომენსკი, სიბრძნის სანიაღვრეები, გვ. 78).

იან ამოს კომენსკი მხარს უჭერდა ხალხთა შორის სოლიდარობასა და ინტერნაციონალურ დამოკიდებულებას, ილაშქრებდა ნაციონალიზმისა და კუთხურობის, განკერძოებულობის მაგნე ტენდენციების წინააღმდეგ. „მცირერიცხოვნება, უფრო მცირე მამული, სხვა სახელი, სხვა ეროვნება ან ენა, ან სხვა ამის მსგავსი, ადვილად შეიძლება გახდეს იმის საბაბი, რომ ადამიანები ერთმანეთს პატივს არ სცემდნენ“ (დ. ლორთქიფანიძე, „იან ამოს კომენსკი“, გვ. 169).

ადამიანთა მოდგმის ყველაზე დიდ უბედურებად კომენსკი თვლიდა ომებს და იღვა ხალხთა უშიშროებისა და ღირსების საფუშავოზე, სასტიკად გამობდა ომის გამჩალებლებს: „ოი, ბარბაროსობა, პირუტყვობა! — აღშფოთებით ამბობდა კომენსკი, — ნუთუ არ არსებობს შერიგების სხვა საშუალება. მხოლოდ გამძვინვარებულ არაზნალებს და არა ადამიანებს ახასიათებთ ასეთი მორიგება“. იგი ვაბედულად უკიყინებდა ომის გამჩალებლებს — დაეყარათ იარაღი და „მახვილი და შუბი გადაედნოთ ნამგლად და სახნისად“. სულიერი კულტურა და ომი ერთმანეთთან შეუთვისებელია, წერდა კომენსკი. რასაკვირველია, კომენსკი ილაშქრებდა მტაცებლური, დაპყრობითი ომების წინააღმდეგ, რაც შეეხება სამშობლოს დაცვისათვის გაჩაღებულ ომს, — იგი აქტიურად უჭერდა მხარს. ამას მოწმობს მისი თავგამოდებული ბრძოლა ჩეხეთის დამოუკიდებლობისათვის.

მარქსამდელი ვერც ერთი მოაზროვნე ვერ ამალდა საზოგადოების განვითარ-

რების მატერიალისტურ გაგებად. ამ მხრივ გამოჩაყლის კომენსკიც არ წარმოადგენს. „ხალხთა საქმეების გამოსწორების“ მთავარ გზად მას მიაჩნდა საყოველთაო განათლება. იგი ვერ ურიგდებოდა თავისი დროის სქოლასტიკურ-დოგმატიკურ სწავლა-აღზრდის სისტემას და სასტიკად აკრიტიკებდა მას: „სკოლებში გაბატონებული უთაურობის შედეგად მათ არ მოაქვთ მოსალოდნელი ნაყოფი, — წერდა დიდი პედაგოგი, — სკოლები თავისი სახელოსნოებიდან ნატიფი ქანდაკებების ნაცვლად უშვებენ უხეშ ჭირკებს, ქვეყნის ლამპარის ნაცვლად — მხრჩოლავ მუგუზულებს, უმანკო კრავების ნაცვლად — ავხორცა თხებს, ნაყოფიანი ხეების ნაცვლად — ეკლიან ბუჩქნარებს“.

იან ამოს კომენსკი თვითონ ჩაუდგა სათავეში სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნისათვის ბრძოლას და, მართალია, ისტორიული ვითარებით გაპირობებული შეზღუდულობის გამო პრაქტიკულად ბევრი რამ ვერ განახორციელა, მაგრამ გასდა პედაგოგიკური მეცნიერების ფუძემდებელი, მისი მამამთავარი. კომენსკი ისტორიას მოეწვინა, როგორც ნამდვილი რევოლუციონერი პედაგოგიკის დარგში.

კომენსკი ფიქრობდა კაცობრიობის ცხოვრების გარდაქმნას აღზრდის გზით. ეს, რასაკვირველია, უტოპიაა, მაგრამ ამასთან ერთად თავისებური რევოლუციური მიმართულებაც. საქმე ისაა, რომ კომენსკი მოითხოვდა თავისი დროის სააღმზრდელო სისტემის ძირეულ გარდაქმნას, მის გამსჭვალვას ჰუმანიზმის სულისკვეთებით. ამიტომაც, როცა ვაანალი-

ზებთ კომენსკის დამოკიდებულებას ძირითად საზოგადოებრივ პრობლემებთან, იქმნება შთაბეჭდილება, რომ იგი ცხოვრობს ჩვენს დროში, ჩვენს ეპოქაში. ჩვენთან ერთად იბრძვის მშვიდობისათვის, სახელმწიფოთა და ხალხთა შორის თანამშრომლობისათვის. იგი წარმოგვიდგება არა მხოლოდ სწავლული მოაზროვნე და ფილოსოფოსი, არამედ როგორც უდიდესი პოლიტიკური, საზოგადო მოღვაწე და დიპლომატი. იგი ქრისტიანული მორჩილების მქადაგებელი, უნიადგო პაციფისტი - მეოცნებე, სანტიმენტალისტ-ჰუმანისტი კი არა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისა და სახელმწიფოთა შორის კონფლიქტების დაძლევისათვის შეუდრეკელი, ქედუხრელი მებრძოლია.

აღორძინების ეპოქის ჰუმანიზმი იყო შედარებით ვიწრო წრის — განათლებულ ადამიანთა იდეოლოგია, მას არ ჰქონდა ფართო დემოკრატიული ხასიათი. კომენსკის ჰუმანიზმი კი მჭიდროდაა დაკავშირებული დემოკრატიზმთან, იგი მასების ჰუმანიზმია, კაცობრიობის ჰუმანიზმია. აღორძინების ჰუმანიზმი თვლიდა, მაგალითად, რომ ლათინური ენა არის რჩეულთა ენა და თითქმის არავითარ ყურადღებას არ უთმობდა მშობლიურ ენას. კომენსკიმ სწავლების საფუძვლად გამოაცხადა მშობლიური ენა.

კომენსკის უმდიდრეს ლიტერატურულ-თეორიულ-პედაგოგიკურ მემკვიდრეობას თავიდან ბოლომდე წითელ ზოლად გასდევს დემოკრატიზმით გამსჭვალული ჰუმანიზმი. მისი ჰუმანიზმი არაა აბსტრაქტული, მკვრეტელობითი. აღორ-

ძინების ეპოქის ჰუმანიზმი ასახავდა აღმავალი ბურჟუაზიის მსოფლმხედველობას და ეძიებდა თავისი შეხედულებების დასაბუთებას ანტიკური სამყაროს მხატვრულ, ფილოსოფიურ და სხვა ნაწარმოებებში. კომენსკის ჰუმანიზმი გამოდის მისი თანადროულობის ანალიზიდან, საზოგადოების სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრე-

ბიდან და დაფუძნებულია დემოკრატიული შეხედულებებზე. ამიტომაც რომ კომენსკი არ ეკუთვნის მარტო წარსულს, იგი აქტიურად ეხმიანება ჩვენს დღევანდელობას. სწორედ ამიტომ იყო რომ ნადევდა კრუპსკაია წერდა: ძალიან ბევრი აქვს კომენსკის ისეთი, რაც ძეარუასია ჩვენთვის სოციალიზმის პოზიციებიდან.



ახლანა ჩვენმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა ცნობილი ქართველი პოეტის ხარტონ ვარდოშვილის დაბადების 75 წლისთავი. ამ თარიღს რომ ვულოცავდით და ახალ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებდით, მოულოდნელად მოვიდა სამწუხარო ცნობა პოეტის გარდაცვალების შესახებ.

შეწყდა სიცოცხლე მეტად თავზიანი, მოკრძალებული ადამიანისა, რომელიც ნახევარი საუკუნის მანძილზე მთელი არსებით ემსახურებოდა მშობლიურ ლიტერატურას, თავის ხალხსა და საქვეყნო საქმეს, გულწრფელად უმღეროდა ახალ საქართველოს, მის უებრო გამარჯვებებს, ეწეოდა ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშაობას — მკითხველებს აცნობდა მსოფლიო პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს.

ხარტონ ვარდოშვილი ქაბუკობიდანვე დაკავშირებული იყო აჭარასთან, უყვარდა მისი ადამიანები, ბუნება, უკიდევანო ზღვა. არაერთი ლექსი უძღვნა ბათუმს. მისი ერთ-ერთი ბოლო ლექსიც, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში რომ გამოვეცხადებო, ბათუმის ტრფიალითაა შთაგონებული.

ვაქვეყნებთ ამ ლექსს.

ხაკიზონ ვაჩოშვილი

* * *

ბათუმო, ჩემო ბათუმო,
ქალაქო უსაყვარლესო,
დიდი ხანია ვერ გნახე
და გული დარდით ამევსო.
ვაჰ, ნუთუ ისე მოვკვდები
კვლავ ვერ ვიხილავ შენს არეს,

შენს სილამაზეს ზღაპრულსა,
ზღვას ლურჯ ზვირთივით
მჩქეფარეს,
გული რომ გამიხალისეს,
ლექსი მზით ამიღვარეს!
ვერ ვესაუბრო მეგობრებს

სამშობლოს მოერთგულებთ,
ჩემი აჭარის პოეტებს,
ლექსით ანთებულ გულებსა?
ველარ გავხედო ზვიად მთებს,
ზეცის სხივოსან ლაქვარდებს,
შენს იერს, მომჭადოებელს,
მუდამ, ყველგან რომ თანა მდევს?
თან დამდევს შენი ნიავის

სინაზე გასაკვირველი, ^{ქართული}
და შენსკენ ილტვის ეს გული —
ფრთადაკოდელი ფრინველი.
ნუთუ კვლავ ველარ ვიხარებ
შენი ცის სინარნარში?
ბათუმო, შენი ტრფიალი
ჩამყვება ცივ სამარეში!



ილინოისის უნივერსიტეტი

ნიბნების მიმოხილვა



გიორგი სალუქვაძის ახალი ლექსები

გიორგი სალუქვაძის ახალი ლექსების კრებულს რომ ეცნობით, უნებლიეთ გებადებათ კითხვა: სად არის დღეს საძიებელი წყალგამყოფი ქედი მოქალაქობრივ და ინტიმურ პოეზიას შორის. თავის დროზე პოეზიის ასეთ დაყოფას საფუძვლად ედო ლირიკული გმირის, როგორც „მოქალაქისა“ და „ადამიანის“, განსხვავებული ცხოვრება, ინტერესები, მისწრაფებები, გრძნობები.

რა თქმა უნდა, „მოქალაქისა“ და „ადამიანის“ დაცალკავება თავიდანვე ასეთი ისე პირობითი იყო, მაგრამ დღეს, როცა საზოგადოებისა და პიროვნების ინტერესები სულ უფრო და უფრო ემთხვევა ერთმანეთს, როცა ერთი საერთო მიზანი, საერთო მისწრაფება აახლოებს არა მარტო ცალკეულ ადამიანებს, არამედ მთელ ხალხებსაც კი, მისი პირობითობა სრულიად აშკარა ხდება. საზოგადოებრივი და პირადული, „მოქალაქე“ და „ადამიანი“ ისე დაუახლოვდნენ ერთმანეთს, რომ ხშირად ძნელი გასარჩევია კი ხდება, სად მთავრდება ერთი და სად იწყება მეორე. ისინი შეუმჩნევლად გადადიან ერთმანეთში, როგორც ერთი ტონის ფერები. „მოქალაქისა“ და „ადამიანის“ ასეთი დაახლოება-განვითარების ტენდენცია, განუწყვეტელი პროცესია,

რომელიც ალბათ, კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

გიორგი სალუქვაძის ახალი ლექსების უმთავრესი ღირსებაც, ჩვენი აზრით, სწორედ ის არის, რომ მათში საკმაოდ მკაფიოდ გამოიკვეთა თანამედროვეობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი — „მოქალაქისა“ და „ადამიანის“ ინტეგრაცია, ლირიკულ-ინტიმური დამოკიდებულება ცხოვრებისადმი. ეს უპირველეს ყოვლისა იმით გამოიხატა, რომ ლირიკული გმირი საზოგადოებრივს აღიქვამს არა როგორც მისგან დამოუკიდებლად არსებულს, „გარეშე“ მოვლენას, არამედ როგორც თავისი ცხოვრების ორგანულ ნაწილს. მართალია, ინტიმური ნაკადი მუდამ ძლიერ იყო გ. სალუქვაძის პოეზიაში, მაგრამ ბოლო წლებში იგი მოიცავს თითქმის მთელ ცხოვრებას და არა მარტო ცალკეულ მოვლენებს.

გავიხსენოთ კრებულის ლექსები „ძველი სახლი“ და „ქარიან ღამით“, ორივე ნაწარმოები ღრმად ინტიმურია, გამოხატავს ლირიკული გმირის პირადულ განცდებს, მის ინდივიდუალურ ბედს. ერთ შემთხვევაში ძველი სახლი მძიმე მოგონებებს აღუძრავს შვილს, რომელმაც მამა დაკარგა ფრონტზე, და იგი თითქოს გრძნობს იმ ტყუილ სიძიმეს, მამა რომ გაუგებია. „გზურუნდები უკან და მკერდით დამაქვს ტყვია, რომელიც ესროლეს მამას“. მეორე ლექსში ვეცნობით მარტოხელა ქალს, მის მწარე ხვედრს. ქარიან ღამით იგი ისევ ერთის,

* გ. სალუქვაძე, „დღე“, გამომცემლობა „საბჭოთა აპარა“, 1970 წ.

ლეღვს, როგორც ახალგაზრდობისას, „მაგრამ დარჩენილს ოთახში კენტად დაიძინეო, არ ეტყვის ქმარი“. თავისი ნუგეშისმცემელი ქალს ფრონტზე დაეღუპა და მარტოსული დარჩა.

გარეგნულად არც ერთი ლექსი არ აღიზრავს რაიმე საზოგადოებრივ პრობლემას, არც ერთი არ გამოდის ინტიმური ლირიკული სფეროდან, მაგრამ ერთიც და მეორეც გვაფიქრებს, გვაღელვებს, მოგვაგონებს გარდასულ ომს, რომელმაც ბევრი ადამიანის ცხოვრება შეცვალა და სულ სხვა გზით წარმართა. ასე მივყავართ ლირიკულ გმირს თანამედროვეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემასთან — ომისა და მშვიდობის პრობლემასთან. ჩვენ უნებლიეთ ვიწყებთ ფიქრს მომავალზე, გვაღელვებს ჩვენი შვილების, ახლობლების, მთელი კაცობრიობის ბედი. რა იქნება ხვალ, ხომ არ განმეორდება წარსული ომის საშინელება, კვლავ ხომ არ გავსევნა მსოფლიო ომის დამღუპველ ხანძარში? მკითხველი თვითონ მიდის იმ დასკვნამდე, რომ ვისაც სურს არ განმეორდეს ომი, აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს მშვიდობისათვის ბრძოლაში, გაბედულად და გადაჭრით გაილაშქროს ომის გამჩალებელთა წინააღმდეგ, ამხილოს მათი ხრიკები და საშუალება არ მისცეს იმპერიალისტებს განაპოროცელონ თავიანთი ბნელი, ანტი-ხალხური ზრახვები.

მეორე მხრივ, პოეტი არწმუნებს მკითხველებს, რომ საცხებით ბუნებრივი მასწრაფება — იყოს ბედნიერი, აერთიანებს ყველა კეთილი ნების ადამიანს, რაზმავს მათ და მსჭვალავს საერთო მასწრაფებით — გზა გადაუღობონ ომს, განამტკიცონ მშვიდობა მთელ დედამიწაზე. „თოფი არსაით გავარდეს, სიცოცხლის დამამხოველი“, ამბობს პოეტი და გვკვრავს, რომ ასეც იქნება, კაცობრიობა შეძლებს თავიდან აიცილოს ახალი ომი.

კრებულის ლექსებში მკაფიოდ ჩანს თანამედროვე პოეზიის კიდევ ერთი თვალსაჩინო ნიშანი — ლირიკული გმირის თვალთახედვის სიღრმე და ფართო მასშტაბი, გართულებული დამოკიდებუ-

ლება ცხოვრებისადმი. მეცნიერებისა და ტექნიკის არნახულად სწრაფმა განვითარებამ, მიკრო და მაკროსამყაროთა ბევრი საიდუმლოების ამოხსნამ, ადამიანის შექცეამ კოსმოსში გააფართოვა და გააღრმავა ჩვენი წარმოდგენა, ჩვენი ცოდნა. ახლა ადამიანი სულ სხვა მასშტაბით აზროვნებს და განიხილავს მოვლენებს. „მიწა მეგონა უზომოდ დიდი და მიწას ჩემთვის არ ჰქონდა ზღვარი“, წერს პოეტი ლექსში „დრო გადის“. სინამდვილეში კი „თურმე რაღიგად პატარა იყო ადამიანთა ლურჯი პლანეტა“. ახლა ადამიანს გალაქტიკა იზიდავს ანუ, როგორც პოეტი ამბობს, „სული სივრცეებს ითხოვს“, მას სურს „დაუპყრობელის დაპყრობა“, სურს მისწვდეს მიუწვდომელს და „სხვაგვარად ვზომავთ დროსა და მანძილს“.

აი ამიტომ საკვირველი როდია, თუ თანამედროვე ადამიანის სულიერი ინტერესები, მისწრაფებანი, ოცნებები შორს გასცდა პირადულ ცხოვრებას და ხშირად მთელ დედამიწას, სამყაროს მოიცავს. უშუალოდ ეკვრის და გადადის საზოგადოებრივში. ეს მნიშვნელოვანწილად განპირობა იმ ფაქტმაც, რომ ხალხის მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობა საშუალებას აძლევს ჩვენი საზოგადოების თითოეულ წევრს, ეზიაროს კაცობრიობის კულტურულ მონაპოვრებს, გაიმდიდროს თავისი სულიერი სამყარო. ამ თვალსაზრისით საგულისხმო დეტალს ვხვდებით გ. სალუქვაძის ლექსში „თოვლი“. პოეტი მასში ხატავს ზამთრის ნაცნობ სურათს: თოვლი, ყინვა, ბავშვები, ჩიტუნები... ახალი მხოლოდ ის არის, რომ ბიჭუნა ოთახში ზის და როიალზე უკრავს ჩაიკოვსკის „თებერვალს“. ერთი შეხედვით, თითქოს უმნიშვნელო დეტალია, საკმაოდ გავრცელებული ჩვენს დროში. მაგრამ წინათ? მას ვერ იპოვით არათუ კლასიკოსების, არამედ უფროსი თაობის საბჭოთა პოეტების ლექსებშიც კი. ვფიქრობთ, საჭირო არ არის ხაზი გაუსვავთ, რომ იმ ადამიანის სულიერი ინტერესები, სულიერი სამყარო, რომელიც როიალზე უკრავს და იც-

ნობს ჩაიკოვსკისა და სხვა დიდი კომპოზიტორების ქმნილებებს, გაცილებით უფრო მდიდარი, მრავალფეროვანი და ლამაზია, ვიდრე მისი წინაპრებისა.

ლირიკული გმირის თვალთახედვის გაფართოვებამ, სულეირი ინტერესების გამდიდრებამ შეცვალა, რამდენადმე გაართულა მისი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ გ. სალუქვაძის პოეზიის ლირიკული გმირი აღარ არის ახალგაზრდა. მან განვლო ომის მძიმე და მრისხანე წლები, გამოსცადა ომის საშინელებაც და გამარჯვების სიხარულიც, ახლა კი აქტიურად მონაწილეობს კომუნიზმის მშენებლობაში. სამშობლოს მგზნებარე პატრიოტს მიაჩნია, რომ „სამშობლო უმთავრესია“ და თავისი სიცოცხლის უმძლავეს მიზნად თვლის ხალხის, ქვეყნის უანგარო სამსახურს.

გასაგებია, რომ გ. სალუქვაძის პოეზიის ლირიკულ გმირს მუდამ უყვარდა ცხოვრება, მას უცქერდა როგორც სიხარულის დაუშრეტელ წყაროს, ბედნიერების მომნიჭებელს, სწამდა მომავალი და გაუღწეოილი იყო ოპტიმისტური სულისკვეთებით. ხასიათის ეს განმსაზღვრელი ნიშან-თვისებანი ლირიკულმა გმირმა დღესაც შეინარჩუნა, მაგრამ მისი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი უფრო მრავალფეროვანი გახდა, მამასადამე, რამდენადმე გართულდა. ცხოვრება კვლავ ძლიერ სიხარულს ანიჭებს მას, კვლავ მთელი ძალით უყვარს და შეტრფის მას, მაგრამ რამდენადაც ძლიერად უყვარს იგი, იმდენად აფიქრებს წუთისოფლის ხანმოკლეობა. ახლა ადამიანი გაცილებით მეტს ცოცხლობს, ვიდრე წინათ, მაგრამ თუნდაც ასი წელი იცოცხლოს, ამით ბევრი არაფერი შეიცვლება. აბა, რა არის ასი წელი სიცოცხლის დაუსრულებელ მდინარეებში? მხოლოდ ერთი წამი, მხოლოდ ერთი თვალის დახამამება. ამიტომ ამბობს პოეტი „უსასრულოა მხოლოდ სამყარო, სიცოცხლეს ჩვენსას უდევს საზღვარი“ („ფიქრი“). კიდევ მეტი, ადამიანის სიცოცხლე არა მარტო საოცრად ხანმოკლეა, იგი გა-

ნუმეორებელიც არის. არავინ მეორედ არ გაჩნდება ამქვეყნად, თუმცა დედამიწაზე ბევრი რამ მეორდება. „ბოლო არა აქვს განმეორებას და ჩემს სიცოცხლეს არა აქვს დღებლი“ („დღებლი“).

სიცოცხლის ხანმოკლეობისა და განუმეორებლობის შეგნებამ გ. სალუქვაძის პოეზიაში დასაბამი მისცა ჩუმ ნალევლს, თავისებურ სევდას. თავისებურს იმიტომ, რომ პოეტის ნალველი, სევდა არ გადადის პესიმიზმში, არ უდრის სიცოცხლის უარყოფას. იგი, პუშკინის გამოთქმა რომ ვიხმართ, „ნათელი სევდაა“, რომელსაც სიცოცხლის სიყვარული წარმოშობს და ასაზრდოებს. ცხოვრება ისე წარმატადი და მომხიბვლელია, რომ ადამიანს არ სურს მოკვდეს, უნდა დიდხანს, დიდხანს იცოცხლოს. მაგრამ მან იცის, რომ „სიკვდილი არავის არ შეიციოდებს, მზიანი დარის ბელოთ შემცვლელი“. და რაკი ასეა, დე ვადღეგრძელოთ კაცის სიცოცხლე, „ცხოვრება ისეც არის დღეგრძელი“ („ფიქრი“).

ამის მიუხედავად, სიცოცხლის ხანმოკლეობისა და განუმეორებლობის მიუხედავად, ლირიკული გმირი ბედნიერია, ამქვეყნად რომ მოვიდა და მისი სილამაზე იხილა. „მადლობელი ვარ, რომ მერგო ხვედრად ვერდასათმობი წუთისოფელი“ („ფიქრი“). ამ ხვედრს, ამ ბედნიერებას, პოეტის აზრით, დაფასება უნდა, სამაგიეროს მივება. ადამიანმა ისე უნდა იცხოვროს, რომ ჰკავდეს შორეულ მნათობს, რომელიც შვილი ათასი წლის წინათ გაქრა სამყაროს უსასრულობაში, მაგრამ მისი გამონაშუქი სხივები დღესაც განაგრძობენ მოგზაურობას გალაქტიკაში და მოისწრაფვიან დედამიწისაკენ, სხვა პლანეტებისაკენ. ეს უკვე უკვადებაა. „შენც ხომ გინდა, რომ ამგვარი სხივის იყო მფლობელი?“, ეკითხება პოეტი ლექსში „სხივი“ თავის მკითხველს და სჯერა, რომ დადებით პასუხს მიიღებს.

ბევრი ადამიანი მართლაც ისე ხარავს სიცოცხლეს, რომელიც მას მხოლოდ ერთხელ ენიჭება, რომ ამქვეყნად სიკვდილის შემდეგაც განაგრძობს არსე-

ბობას ჩაღის მესხიერებაში და მართ-
ლაც ემსგავსება გადამქრალი მნათობის
სხივს, ხდება მისი მფლობელი. სწორედ
ასე დახარჯული სიცოცხლეა „კაცური
სიცოცხლე“. მაგრამ რა არის საჭირო,
პოეტის აზრით, იმისათვის, რომ „მუ-
ლამ ვიყოთ ხალხის გულში“, ე. ი. კა-
ცურად ვიცხოვროთ? „იარე! თესე სიკე-
თე, აღიდე კაცის ნათესი“, მოგვიწოდებს
იგი ერთ-ერთ ლექსში („იარე“) და ეს
სრულიად არ არის შემთხვევითი ფრა-
ზა. გ. სალუქვაძემ კარგად იცის, რომ სი-
კეთე უკვდავების ყველაზე მყარი სა-
ფუძველია. მხოლოდ სიკეთე ანიჭებს
ადამიანს ნამდვილ სიხარულს, მხო-
ლოდ კეთილი საქმე ახანგრძლივებს მის
სიცოცხლეს ამქვეყნად გარდაცვალების
შემდეგ. მურმან ლებანიძისადმი მიძღ-
ვნილ ლექსში „კაცი უნდა იყო“ პოეტი
საკმაოდ მკაფიოდ აყალიბებს „კაცური
სიცოცხლის“ მთავარ მოთხოვნებს და,
ბოლოს დასკვნის: „და გწამდეს სიცო-
ცხლე კაცური, ნუ გინდა სიცოცხლე
სხვაგვარი“.

რა თქმა უნდა, კრებულში არის „წმინ-
და“ ინტიმურ-ლირიკული ლექსებიც,
რომლებშიც გ. სალუქვაძე გადმოგვცემს
ადამიანის პირადულ განცდებს, უპირა-
ტესად წარმავალ მოვლენებს რომ ეყრდ-
ნობა და არ ასაზრდოებს სოციალური
გარემო. ერთი ასეთი ლექსია „საგარეუბ-
ნო ავტობუსები“. ლირიკულ გმირს ძვე-
ლი სახლი დაუტოვებია, ახალ ბინაში,
ახალ რაიონში გადასულა საცხოვრებ-
ლად. საესეებით ჩვეულებრივი ამბავია,
განსაკუთრებით ბოლო წლებში, მაგრამ
არაინა ადამიანები, რომლებიც ძნელად
გუგუნიან ახალ უბანს და თავს ისე
გრძნობენ, თითქმის სხვა ქალაქში გადა-
სახლდნენ. ლირიკულ გმირსაც დარდი,
სინანული იპყრობს, როცა ძველ უბანში
მოხვდება, „საგარეუბნო ავტობუსები
ძველი მარშრუტით როცა მოქრიან“. ბე-
ვრისათვის ამ ძალზე ნაცნობ განცდას
არა აქვს რაიმე სოციალური საფუძველი,
იგი წარმავალი გრძნობაა. გაივლის დრო,
ლირიკული გმირი შეეჩვევა ახალ გარე-
მოს და იგი ისევე საყვარელი გახდება,

როგორც ძველი. მსგავსი ხასიათის
„წმინდა“ პირადულ-ინტიმური, „ადამი-
ანური“ ლექსებია აგრეთვე „გურიელიძის
ქალო“, „ფიქრიანი ღამე“ და ზოგიერთი
სხვა. ეს მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ
ინტეგრაციის მიუხედავად, „ადამიანს“
კვლავ რჩება თავისი სამოქმედო ასპარე-
ზი, სულიერი სამყაროს გარკვეული ნა-
წილი და, ალბათ, კიდევ დიდხანს დარ-
ჩება, თუ სამუდამოდ არა.

ასე გართულდა, ასე მრავალფეროვანი
გახდა ბოლო წლებში გ. სალუქვაძის
პოეზიის ლირიკული გმირის სულიე-
რი სამყარო, მისი დამოკიდებულება ცხო-
ვრებისადმი და სასიამოვნოა, რომ პოეტ-
მა იგი გვიჩვენა მხატვრული სიმართლით
და დამაჯერებლად, ზომიერების გრძნო-
ბით, ახლებურად. საგულისხმოა ისიც,
რომ პოეტი თავის იდეალს ყოველთვის
პოზიტიურად გვიჩვენებს, თითქმის ვერც
კი ამჩნევს ცხოვრების უარყოფით, ნეგა-
ტიურ მოვლენებს. მის ყურადღებას
მხოლოდ დადებითი იპყრობს. პოეტის
ეს ესთეტიკური პოზიცია იმ რწმენას
ეყრდნობა, რომ თუ ვიცით როგორი უნ-
და ვიყოთ, როგორ უნდა ვიცხოვროთ,
მაშინ ისიც გვეცოდინება, თუ როგორი
არ უნდა ვიყოთ და როგორ არ უნდა ვი-
ცხოვროთ.

არანაკლებ საინტერესოა გ. სალუქვაძის
ლექსები ბუნებაზე. მათში ბევრი ლამაზი
პეიზაჟი, ლამაზი სურათია, მაგრამ მარ-
ტო ამით როდი იპყრობენ ისინი ყურა-
დღებას. მთავარი ის არის, რომ ბუნების
სურათებში პოეტს შეაქვს თავისი გან-
წყობილება, სოციალურ-პოლიტიკური
მოტივი და ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს
„მოქალაქისა“ და „ადამიანის“ ინტეგრა-
ციას. ადამიანი არა მარტო ტკბება ბუნე-
ბის მშვენიერებით, ბუნება მას ფიქრებ-
საც აღუძრავს. საოცრად კამკამა ზღვა
პოეტს ლაზების ისტორიულ ხვედრს,
მათს ცრემლს მოაგონებს („ზღვა სარფ-
თან“), ხოლო გონიოს ციხის კედელზე
თავმოშწონე ია შორეულ ასოციაციებს
იწვევს („ია“).

ჩვენ განსაკუთრებით მოგვეწონა ეს
ლექსი „ია“. ვინ იცის, რამდენმა პოეტმა

მიუძღვნა „ლურჯოვალა იას“ აღფთო-
ვანებული სტრიქონები, მაგრამ მათგან
მაინც გამოირჩევა გ. სალუქვაძის „ია“.
პოეტს იზიდავს იის არა სურნელი და
სილამაზე, მას აკვირებს ამ ნაზი მცენა-
რის სითამამე. იამ გაბედა და ბინა დაი-
ღო მრისხანე გონიოს ციხის მაღალ კე-
დელზე. მისი უშიშარობით მოხიბლული
პოეტი წერს: „ასე მგონია — კეთილ გო-
ლიათს მხარზე ლურჯოვალა გოგონა
უზის“. ეს მშვენიერი სურათი უნებლიეთ
მოგვაგონებს ბერლინში აღმართულ საბ-
ჭოთა ჯარისკაცის მონუმენტს გულზე
მიკრული პატარა გოგონათი და ლექსი
მოულოდნელად იძენს საზოგადოებრივ
ეღერადობას. ჩვენ გვაოცებს არა იის სი-
თამამე, არამედ გოლიათის სიკეთე, მისი
დიდი გული. ძლიერი სპობს სუსტს. ასე-
თი იყო ფაშისტების კონცეფცია. ძლიე-
რი იცავს სუსტს, ასეთია ჩვენი კონ-
ცეფცია და სწორედ ეს არის უმაღლესი
სიკეთე. კაცობრიობა ზიზღით იგონებს
ფაშისტ ჯარისკაცს, რომელიც ჭლებდა
ბავშვებს. იმავე კაცობრიობამ ძეგლი აუ-
გო საბჭოთა ჯარისკაცს, რომელმაც საკუ-
თარი სიცოცხლის ფასად მილიონობით
ბავშვი გამოსტაცა სიკვდილს. ძლიერი
მხოლოდ მაშინ უყვართ, როცა იგი კე-
თილიცაა, კეთილ საქმეს ემსახურება,
ძალა და სიკეთე სიამის ტყუბებივით გა-

ნუყრელი უნდა იყვნენ. აი რამდენი რამ
განგაცდევინა და გვაფიქრებინა პოეტის
სულ პატარა, ორთაეპიანმა ლექსმა „ია“.

კრებულში ფართოდ არის წარმოდგე-
ნილი აგრეთვე ინტიმურ-სატრფიალო
ლექსები. ზოგ მათგანს უკვე იცნობს მკი-
თხველი პოეტის სხვა წიგნებიდან, ბევრი
კიდევ ნაცნობ მოტივებს შეიცავს. სიახ-
ლით გამოირჩევა სევდანარევი „აგონდე-
ბოდა“. ჯერ ერთი, იგი მრჩბოლედია,
რომელსაც ძლიერ იშვიათად ვხვდებით
გ. სალუქვაძის პოეზიაში, მეორეც და,
რაც მთავარია, ლექსი გვიზიდავს ახალი
თემით, ახალი მოტივით. რესტორანში
გაისმის ვალსი, ცეკვავენ წყვილები. მხო-
ლოდ ცალფეხა უზის მარტოკა მაგიდას
და აგონდება, როგორ ცეკვადა ოდეს-
ღაც თვითონაც. „და მხოლოდ ერთი
წუთია ბრალში, რომ მარტო დარჩნენ
თვითონ და ვალსი“. ეს სევდა გარდა-
სულზე, დაუბრუნებელზე ჩვენს გულ-
წრფელ თანაგრძნობას იწვევს.

დავასკვნათ: კრებული „დღე“ მოწ-
მობს, რომ გიორგი სალუქვაძეს შემოქ-
მელებითი შემოდგომა დაუდგა. დაჭარ-
მაგდა პოეტის ლირიკული გმირიც, უფ-
რო მდიდარი და ლამაზი გახდა მისი
სულიერი სამყარო.

ძ. შავგულიძე.



ვეფხისტყაოსანი ქალიშვილები

აკარძიან

საქართველოს მიწას ხან მშვიდი, ხან აქაფებული ზღვის ზვირთები ეხეთქება სარფიდან აღღერის მისასვლელბამდე. უძველესი საზღვაო ქვეყანაა. ფოთის, ბიჭინთის, ქობულეთ-ფიჭვნარის ნავსადგურების ძველთაძველობა დადასტურებულია ლიტერატურული წყაროებით და არქეოლოგიური აღმოჩენებით. ეახუშტი ბაგრატიონს თავის უკვდავ საქართველოს გეოგრაფიაში ქობულეთი ეგულება „მცირე ქალაქსავით და ნავსადგური ფრიად კეთილი“. ვინც ერთხელ მაინც დამტკბარა ზღვის სივრცის მზერით და მეზღვაურის რომანტიკულ ცხოვრებას დაკვირვებია, შეუძლებელია მათდამი პატივისცემით არ განიშსკვალოს. ქართული მწერლობა ოდითგანვე ხარკს უხდიდა ზღვის ვეფხის—მეზღვაურის სიმამაცეს. ამის ნათელი დადასტურებაა მოსე ხონელის „ამირანდარეჯანი“, სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“, არჩილის „საქართველოს ზნეობანი“ და სხვა ნაწარმოებები.

მცურაობაც კარგი არის,
მაგრამე სჯობს ნათე ხმარება,
ვინც არ იცის, დიდროანს
წყლებს ვერავინ მიეკარება.

ახლაც მოწოდებად გაისმის ახალბედა ზღვაოსნის მიმართ მეფე-პოეტის ეს შეგონება. „ვეფხისტყაოსანი“ ხომ წინაპართა საზღვაო დიდების გვირგვინიც გახლავთ. სიუჟეტის განსაზღვრთარებლად შოთა რუსთაველმა ზღვის ფონი ბრწყინვალედ გამოიყენა, რო-

გორც კარგი სურათის ნატიფი ჩარჩო. მისი ზვირთების მღელვარებაც ისევე სრულყოფილად აღბეჭდა, როგორც პოემის გმირების სახეები.

ზღვისადმი ძველი მწერლობის ასეთი ყურადღების ფონზე ადვილად შეიმჩნევა, რომ თანამედროვე ქართველი მწერლები ჯერ კიდევ ვალში არიან მოღვივლები სივრცისა და მისი მპყრობელების მიმართ. ამ დარგში რამდენადმე თვალსაჩინო მემკვიდრეობა არ დაუტოვებიათ ჩვენი საუკუნის გამოჩენილ მწერლებსაც კი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტიცინს ტაბიძის პოემას „რიონი-პორტი“, რომელშიც პოეტმა გადმოგვცა ფოთიდან ორპირამდე მდინარით მგზავრობის შთაბეჭდილებანი.

თანამედროვე მკითხველი ყოველთვის მოუთმენლად მოელის ახალ ქმნილებებს ზღვის თემაზე. ამის მკაფიო, მეტყველოთაქტია თუნდაც ის, რომ მარინისტული წიგნები მალაზიების თაროებზე ძალიან ცოტა ხანს რჩება. ახალგაზრდობა, და არა მარტო იგი, სიამოვნებით ეტანება მეზღვაურთა ცხოვრებისა და ბრძოლის ამსახველ ნაწარმოებებს. მკითხველმა გულთბილად მიიღო ანდროლომიძის, როდამ ჩაჩანიძის, ალექსანდრე ჩხაიძისა და სხვათა წიგნები, რომლებშიც ზღვაოსანთა რომანტიკული ყოველდღიურობაა აღბეჭდილი.

ამ ბოლო დროს გამომცემლობა „საბჭოთა აქარამ“ უპრეცედენტო გამოცემით გავახარა. უპრეცედენტოთი, იმიტომ, რომ ქართულ ლიტერატურაში პირველად შეგვხვით ესოდენ დი-



დებამოსილ მეზღვაურ ქალს და ისიც
ოთხს ერთად. ოთხი შტურმანი ზღვა-
სა და ოკეანეში დიდი ძალაა. მასასა-
დამე, ოთხი ხომალდის უსაფრთხო
ცურვა უზრუნველყოფილია. და ამას
აღწევნე ქართველი ქალიშვილები. ალ.
ჩხაიძემ სწორედ მათი სახეები გამო-
ძერწა წიგნში „ზღვა და ოთხი ქალი-
შვილი“. ვიდრე ამ ნაწარმოებზე ჩვენს
მოსაზრებას გამოვთქვამდეთ, შეუძ-
ლებელია არ გავიხსენოთ წიგნის ერთ-
ერთი პერსონაჟი — პირველი ქართვე-
ლი საბჭოთა მარინისტი მწერა-
ლი გიორგი ჩიკვაძე. იგი დიდ-
ხანს მოღვაწეობდა ბათუმში და პირ-
ველმა გატეხა თანამედროვე ქართულ
ლიტერატურაში მარინისტული ყამირი.
დიდი სამამულო ომის მონაწილე ავ-
ტორმა სიყვარულით გამოძერწა ანა-
ტოლ კაჭარავას მებრძოლი ბუნება და
უდრეკი ხასიათი. მოთხრობაში „კუნ-
ძულ ბელუხასთან“ ჩრდილოეთის სა-
ზღვაო ბრძოლის გმირს იგი ანატოლ
ოდიშელის სახელით გვაცნობს. ამავე
დროს გ. ჩიკვაძემ არის ავტორი კინო-
სცენარისა „ოკეანის დაღუპვა“ და
მკითხველის მიერ აღიარებული ნაწარ-
მოებების: „ბედნიერი ვარსკვლავი“,
„ოთხი შეხვედრა“, „უფსკრული“. ალ.
ჩხაიძე აგრძელებს ამ გზას. იგი ზღვის
თემატიკას ჯერ კიდევ რამდენიმე წლის
წინათ ეზიარა. წიგნში „ზღვის შვილი“
მკაფიოდ ასახა ზღვაოსნობის ერთ-
ერთი დიდოსტატის სახე, ახლახან ბა-
თუმში გამოცემული წიგნით კი გაბე-
დული ნაბიჯი გადადგა წინ. ლეკნი
ლომისა სწორნი თურმე შავ ზღვასაც
გამოუზრდია. ერთეულ ქალს წააწყდე-
ბოდით (კაპიტნებადაც კი!) რუსულ თუ
პოლონურ ხომალდებზე, მაგრამ ბატა-
რა კუთხის — ჯვარის ოთხმა შტურმან-
მა ქალმა ერთდროულად გადასეროს
მსოფლიოს საზღვაო გზები და დედა-
მიწის თითქმის ყველა კუთხეში ასა-
ხელოს სამშობლო — ეს ხომ საოცრე-
ბაა, საჩინო მაგალითია მეზღვაური
ახალგაზრდობისათვის. ძველადაც ყო-

ფილა ცდა, გემბანზე მეზღვაურის ფეხ-
რმინი ქალები ჰყოლოდათ. თუ „ჩე-
რნომორსკი ვესტნიკის“ 1902 წლის
7 სექტემბრის ნომრის სტრიქონებს და-
ევუჯერებთ, ბათუმელ კაპიტან კალა-
ცეროვიჩის სირიიდან ნიუ-იორკში ჩა-
უყვანია ხომალდი „ზორა“, რომლის
ეკიპაჟში „ყველა მატროსი, ცეცხლფა-
რეში, მზარეული არაბი ქალები იყვნენ“.
ხომალდის ღუმელის ნახშირით „გა-
თბობდა, კაიუტებსა და გემბანზე სისუფ-
თავის დაცვა, სადილ-ვახშმის მომზადე-
ბა მეზღვაურული ცხოვრების ჩვეულე-
ბრივი ატრიბუტებია. ეს ყველას შეუქ-
ლია. მთავარი ხომალდის კურსის უსა-
ფრთხოების უზრუნველყოფაა. და ამას
აკეთებდნენ ა. ჩხაიძის დოკუმენტური
ნაწარმოების მთავარი გმირები იულია-
ფაილოძე, შოშანა თუმანიშვილი, ვაიდე
გვარიშვილი და ნინო კალანდაძე.
თითოეული მათგანი შეუცდომლად და-
ატარებდა ხომალდს უკიდვანო საზ-
ღვაო ტრასებზე და ზოგჯერ გაუკვა-
ლავი გზითაც კი.

კითხულობ წიგნს და გული სია-
მაყით გვესება. მასში, როგორც სარ-
კეში, ჩანს აჭარელთა ოთხეულის შემა-
რთება. ჯერ კიდევ ადრე ლენინდ სო-
ბოლევმა ოთხეული ბრძოლისა და გა-
მარჯვების სინონიმად აქცია. გა-
იხსენეთ მისი ნაწარმოები „ოთხის ათა-
სეული“. მის ერთ-ერთ მთავარ გმირს
რომან პერეპელიცას დიდი სამამულო
ომის დროს ორი მეზღვაური საბრძო-
ლო ოცეულად, სამი კი ასეულად მია-
ჩნდა. რამდენი ვართ ჩვენ? ოთხნი? —
იკითხა მან და დასკვნა „ათასეული“
ისმინე ჩემი ბძანება: ნაბიჯით იარ!“.

რაოდენ საამაყო და სასიამოვნოა,
რომ აჭარელთა „ოთხეულის ათასეული“
მხნე და გაბედული ქალიშვილებისაგან
შედგებოდა! არამეზღვაური მწერლისა-
თვის მათი ცხოვრების აღწერა დამატე-
ბით სიძნელეებს იწვევდა. ზღვას მრავალი
თავისებურება, კაპრიზი, ხიფათი
გაჩნია და მათში გარკვევა ადვილი
როდია. შეუპოვარი შრომით ა. ჩხა-

იქმე სიძნელენი გადალახა და საყურადღებო ნაწარმოები შექმნა, მრავალი კარგი მხატვრული სახე და ეროვნული საზღვაო ტერმინი მისაწვდომი გახდა მკითხველისათვის. ზღვაში შეცურებულ ხომალდს ავტორი მთვლემარე მთას ადარებს. მოგლვარე ზღვაზე აცანცახებული ესახება მთვარის ცივი შუქი. ასეთი შედარებები ბევრია. წიგნი ხალისით იკითხება იმიტომ, რომ ავტორი თხრობის ნაირსახეობებს იყენებს. მხატვრულ ნაამბობს გმირთა წერილები ენაცვლება. პერსონაჟების მოგზაურობის აღწერა გამდიდრებულია იმ ადგილების გეოგრაფიული ცნობებით, სადაც გემის წყავანის ხელოვნებას ეუფლებოდნენ, დაძაბულ შრომას ეწეოდნენ თუ ზღვის ჰიტლერულ ყაჩაღებთან გააფთრებულ ბრძოლაში იყვნენ ჩაბმულნი. მკითხველი ეცნობა წყნარი დონის სანაპიროს სილამაზეს და არქტიკული სამყაროს სიმკაცრეს, პეტროპავლოვსკის აღმოცენების ისტორიას და კასპიის ზღვის წარსულს.

თავზარი გეცემათ, როცა ტყობილობთ, ჩრდილოეთის წყლის სივრცემ შთანთქა ფაშისტ მეკობრეთა მიერ განგმირული შტურმანი ქალიშვილ ნინო კალანდაძე. დიდი სამამულო ომის ქარცეცხლში გადაარჩენილ და გამარჯვებულ მის თითოეულ მეგობარს საკუთარი ბედი გააჩნია და ავტორი მოგვითხრობს მათი მღელვარე ცხოვრების ძნელ გზებსა და საინტერესო ფინალზე. იგი მხატვრული ხერხებით გადმოგვცემს თითოეულის ფიქრს, განცდას, ინდივიდუალურ ხასიათ-თვისებას. ოთხეულთან შეხვედრებში უცხოელთა მხრივ არა მარტო მანდილოსნებისადმი, არამედ მათი ქვეყნის მიმართ გამოჩენილი პატივისცემაც ჩანს. განსაკუთრებით საინტერესოა ამერიკელი ჟურნალისტის ჰენრი ფორდის მიერ იქაურ პრესაში დასტამებული სენსაცია. სან-ფრანცისკოში მან პირველად დაინახა საბჭოთა გემი, რომლის შტურმანი იყო

ქართველი ქალი იულია ფაილოძე. ისიც და ნინოც ხომალდების ეკიპაჟებთან ერთად იარაღით, საქურვლითა და სურსათით ამარაგებდნენ ფრონტს, დაცურავდნენ ინდოეთში, ამერიკაში, ავსტრალიაში. სიდნეის ჰოსპიტალში წოლის დროს იულია ინახულა ქალაქის მერმა. გამოჯანსაღების შემდეგ მეზღვაური ქალი საავადმყოფოს ეზოში დაკრეფილი ყვავილებით გამოაცილეს. ასევე საინტერესო და გულთან მისატანია ავტორის მიერ გამოყენებული სხვა მასალებიც.

მშვიდობიანობის დროს შუშანა თუმანიშვილს და ვაიდე გვარიშვილს სასმელი წყალი და სხვა ტვირთი გადაჰქონდათ კრასნოვოდსკში, ომის მრისხანე დღეებში კი სამშობლოს ღირსებას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას იცავდნენ კასპიის ზღვაზე. შუშანას ევაკუირებული მოსახლეობა გადაჰყავდა და დემონტირებული ფაბრიკა-ქარხნები გადაჰქონდა ღრმა ზურგში. ვაიდემ ახალი ტრასა გაკვალა და საბჭოთა არმიის პირველი ნაწილები ჩაიყვანა ირანში, მოკავშირეებისაგან მოწოდებულ საომარ მასალასა და საქურველს ეზიდებოდა ფრონტისათვის. თანამებრძოლებთან ერთად ორივემ თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ჰიტლერული ურდოების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მთავარ გმირთა საფუძვლიან დახასიათებას ერთგვარად ეხმარებიან ეპიზოდურად წარმოჩენილი პერსონაჟები. მკითხველის მახსოვრობაში რჩება აზერბაიჯანელი რაშიდ მამედის, რუსი ჰაბუკი ანატოლ მუხას, ფეჰლეველი ამბალის — მტერთავე მუსტაფას კეთილი სახეები.

მათ და ბევრ სხვა პერსონაჟს ავტორი ხალხთა ძმობის ასპექტში წარმოგვიდგენს. ამ თვალსაზრისით „ზღვა და ოთხი ქალიშვილი“ ხალხთა ლენინური მეგობრობის შთამაგონებელი ნაწარმოები გახლავთ.

ათასგზის მართალია ავტორი, როცა
ბოლოთქმაში აღნიშნავს: „ზღვის ზედა-
პირზე არ რჩება ნაკვალევი, მაგრამ მე-
ზღვაურთა ნატერფალი უკვალოდ არ
იკარგება“. ნათქვამის საუკეთესო დამა-
დასტურებელი სწორედ ეს წიგნიც არის!
მეზღვაურთა ნაკვალევის მიგნება და
მკითხველთა ფართო მასისათვის გაცნო-

ბა მწერლის საპატიო მოვალეობაა. ა.
ჩხაიძემ კიდევ ერთი სერიოზული ნაბიჯი
გადადგა ამ გზაზე.

ვეფხისტყაოსან ქალიშვილთა — „ოთ-
ხის ათასეულის“ სიმამაცე და გმირობა
თაობიდან თაობას გადაეცემა. ჰეშმარი-
ტად ლეგენდარული ოთხეული ვიხილეთ
უპრეტენზიო დოკუმენტური ნაწარმოე-
ბის ფურცლებზე.



ქუჩნალ „ზორგის“ 1970 წლის ნომრების შინაარსი

ჩედაქცისაგან, № 1.

ლენინიანა

დიასამიძე ღ. — სოციალისტური რე-
ვოლუციის ლენინური თეორია და თანა-
მედროვეობა, № 1.

ლექსები

ართილაყვა რ. — ჩემი პლანეტის დრო
(პოემა), № 2; *** (უნდა იცოცხლო ბე-
რი), № 5.

ანანიძე ღ. — ომისა, უძილო ღამე,
№ 3; *** (მინდა, რომ...), № 6.

გორგილაძე ზ. — დაბრუნება, № 4.

გურგენიძე ა. — საუბარი ლექსთან,
უცხო მგზავრი გურიაში, № 5.

დავითაძე ე. — რიწა-ზღვა-რიწა, № 6.

ვარშანიძე მ. — თქვენ ალავერდი,
№ 5; *** (როს მივდიოდი...), *** (მტრე-
დებს ვუცქერი...), *** (იმ თოვლ-ქლო-
ფაში...), *** (მტკვარს მივყვებით და...),
*** (თმოვეცი...), *** (ო, პირველქმნი-
ლო), *** (ეს საფაშოა, სატახტო და...),
№ 6.

ზოიძე შ. — *** (მე შენ მოგელი), ხე-
ლები, *** (დღეს კვირაა და...), *** (ჯერ
კიდევ ბევრი...), *** (გაღებულა ყველა
სარკმელი), სვანეთში, *** (ნაპირზე იდ-
გა ღამაში ქალი), *** (ნაცნობი სახეე-
ბით), № 1; გამოძახილი, № 4; საქართვე-
ლო, ჩანაფიქრი, № 5.

კუყერაძე ზ. — ვაზი, № 5.

მუავია ქ. — მისი სახელი, № 2; გამო-
ლევება, № 5.

მეტრეველი ბ. — დედა, კრწანისის
მოლანდება, № 3.

მელია ი. — არის წარსული, მოგონე-
ბა, ბინდი და ფიქრი, № 3.

მალაზონია ნ. — მომეცით კიდევ,
ზღვაზე, ზღვის მადლი, № 5.

სალუქვაძე გ. — დედა, ჯერ, ფერის-
ცვალობა, გრიგალი ზღვაზე, ის დღე,
ახალბეობა, № 1, პოეზია, № 5.

სეიდიშვილი ღ. — *** (ნეტარ არი-
ან...), *** (პაუ, რა მზეა!), წინანდლის
დები, *** (საქართველო), სინათლე,
*** (ზეცას შერჩენია...), ჰულაპუპი, № 6.

უშვერიძე ი. — ნიავი, № 4.

ქათამაძე ქ. — ლენინის ძეგლი, სამშო-
ბლოსადმი, ვასილ გოგუა, ვინ გვაბა-
ტიებს, გული, *** (ბუჩქზე აფრინდა ჩი-
ტი), № 1; სამშობლოვ, სურათი, რაც მა-
ბადია, დილა, ციხისძირი, № 5.

ჩხაიძე ა. — მაშ, გაუმარჯოს, № 2.

ხალვაში ფ. — მადლობა ლენინს, № 2;
მესხურო, № 5.

ჯაყელი ჯ. — წიგნო ქართულო, სიყ-
ვარულის ბალადა, ეს მიტომ იყო, № 4.

მოთხრობები, ნოველები, მინიატურები, პიესები

ახვლედიანი ვ. — ნაილე, № 4.

კლდიაშვილი ს. — ფატიმა, № 1.

ლორია პ. — ბედის ძებნაში, № 2;

საით? № 4, № 5.

მოღებაძე ნ. — სიცოცხლის საიდუმლოება, № 6.

უდენი ნ. — ჭაშნიკი, № 1; მეც ომის მონაწილე ვარ, № 3; წვიმიან ღამეს, № 4.

სურმანიძე რ., კიჩაკოვი ი. — სამი მანდარინი, № 2.

სამსონია ა. — სკოლის გახსენება, № 6.

შერვაშიძე ა. — ინესა არმანდი, № 2.

ჩხაიძე ვ. — ხახუტა, № 6.

ჩხაიძე ნ. — სეანის ქუდი, № 5.

ხალვაში ფ. — შეხვედრა და განშორება, № 1.

ჭაყელი ჯ. — „სტამბოლის კაფი“, № 6.

თარგმნილი მოთხრობები

ბუღიონი ს. — შეხვედრა ილიჩთან (თარგმნა ტ. ხინთიბიძემ), № 3.

ბრეხტი ბ. — აუგსბურგული ცარცის წრე (თარგმნა გ. მაჭუტაძემ), № 5.

ვოლფი ქ. — გაყოფილი ზეცა (გერმანულიდან თარგმნა ი. გაჩეჩილაძემ), № 4.

ტიხონოვი ნ. — აპრილის საღამო (თარგმნა ტ. ხინთიბიძემ), № 1.

ხოსე დე ლა კუდრა — ახალი წმინდანი (ესპანურიდან თარგმნა გ. არჩვაძემ), № 2.

ჩვენი პუბლიკაცია

ვარღოვილი ს. — *** (ბათუმო...), № 6.

მესხი ს. — ორი კვირა მაჰმადიანურ საქართველოში, № 1.

გიორგი ლენინი

დაბადების 70 წლისთავი

ლონინი გ. — აჭარაში, მაჭახელა, № 3.

ხალვაში ფ. — ჭოქოელ ლენინებთან, № 3.

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

დუმბაძე ნ. — კოლაუ ნადირაძის შექმედება, № 4.

ქურიძე შ. — ბუნება და პოეტები, № 1; ლენინი ლიტერატურის შესახებ, № 2; მამულით შთაგონებული, № 5.

შრიდრის მწამლის
დაბადების 150 წლისთავი



ჯორბენაძე პ. — ენგელსი მხატვრული ლიტერატურის შესახებ, № 6.

წამილები

ბეჟირიშვილი ი. — ალექსი ტოლსტოის სამი ინტერვიუ აჭარაზე, № 5.

გოცირაძე მ. — საქართველოს მაჰმადიან ქალთა პირველი ყრილობა, № 3.

გობრონიძე ა. — იან ამოს კომენსკი — დიდი ჰუმანისტი, № 6.

ვარშანიძე შ. — აჭარა საზღვარგარეთულ პრესაში, № 3.

კომახიძე თ. — ქალაქ ბათუმში ბინათმშენებლობის განვითარების ზოგიერთი საკითხი, № 4.

მეგრელიძე ი. — ლაზარობა აჭარაში, № 4.

ტაბაყუა ს. — კოლმეურნე გლეხობის პატრიოტიზმი სამამულო ომში, № 3.

შავაძე ო. — ლამაზი სიცოცხლე, № 2.

ცივაძე ე. — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები დღევანდელ აჭარაში, № 4.

ცომაია კ. — ლენის მუშათა დახვერტა და მისი გამოძახილი აჭარაში, № 5.

ხალვაში ი. — ხიხანის (ხირხათის) ეტიმოლოგიისათვის, № 1.

მოგონებანი

პოვიცკი ლ. — ესენინი ბათუმში, № 1.

გულს გული იცნობს

შონია ა. — აჭარა-მესხეთის გზებზე, № 5.

ხელოვნება

შარაშიძე ლ. — ვ. ი. ლენინი სახვით ხელოვნებაში, № 2.

ხინიკაძე მ. — დაუვიწყარი სცენური სახეები, № 2.

წიგნების მიმოხილვა

ნაცვლიშვილი პ. — პატრიოტიზმით
შთაგონებული, № 3.

სურგულაძე ა. — საინტერესო გამოკ-
ვლევა, № 5.

შანიძე კ. — უკვდავება, № 2; ყვავი-
ლები და ლექსები, № 3.

შავგულიძე ქ. — გიორგი სალუქვაძის
ახალი ლექსები, № 6.

ჭავჭავაძე ი. — ვეფხისტყაოსანი ქა-
ლიშვილები აჭარიდან, № 6.



3360 40 333.

В. И. Давидов
редактор
гос. реп. у
Библио

У 5

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ

ИНДЕКС 76118